# ლელო

№052
(12 428)

4 მარტი სამშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

სროლა



## გული მწყდება, რომ მაინც მეორეზე დავრჩი

წინასაოლიმპიადე განწყობა.
**ინტერვიუ**
ნინო სალუქვაძესთან 11

კალათბურთი

## სნაიპერი მანუ

ლეგიონერები 12



## რავა სულ მსაჯია მართალი?!

საქართველოს ჩემპიონატი 13



ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი. საპასუხო მატჩების წინ

# კახა კალაძე: მთავარია, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ



კარლო ანჩელოტი და კახა კალაძე გუშინდელ პრესკონფერენციაზე

დღეს "მილანი" "არსენალთან" ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალურ მატჩს გამართავს. პირველი შეხვედრა "ემირითსზე" 0:0 დასრულდა. "სან სიროზეც" დაძაბულ ბრძოლას ელიან. პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია. "მეთოფეები" პრემიერლიგის ლიდერები არიან და ამით ყველაფერია ნათქვამი. "როსონერი" კი სერია A-ს წვალებაში ატარებს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ "არსენალი" ნყვილის ფავორიტია.

"მილანში" არსებული სატრავმო ეპიდემიიდან გამომდინარე, აქვე ვთქვათ, რომ **კახა კალაძე** ჯანმრთელადაა და ძირითად შემადგენლობაშიც მოიაზრება. გუშინ მან **კარლო ანჩელოტისთან** ერთად პრესკონფერენცია გამართა. როგორც მცველს, კალაძეს პირველ რიგში **ემანუელ ადებაიორის** განეიტრალების პრობლემა ალელვებს და ამაზე ცალკე საკითხად ისაუბრა. ტოგოელ გიგანტზე ის მაღალი წარმოდგენისაა. ზოგადად მატჩის წინ კი ასეთი განწყობა აქვს:

*"ძალიან გადატვირთული კალენდარი გვაქვს. ბოლო ორი თვეა, თითქმის*

### მილანს ნესტა, პირლო და კაკა უბრუნდებიან

*ყოველ მესამე დღეს გვიწევს თამაში. "ლაციოსთან" განვლილ მატჩში ტრავმებმა შეგვიშალა ხელი. თავად განსაჯეთ, ტაიმის მიწურულსა და შესვენების დროს, სამი იძულებითი ცვლილების გაკეთება მოგვიწია. ეს იმიტომ, რომ ემერსონი, ზეედორფი და იანკულოვსკი ტკივილმა შეაწუხა. ამის გამო, ქულაზე მეტი ვერ ავილეთ. მაგრამ სჯობს, "არსენალთან" სამშაბათის მატჩზე ვიფიქროთ. ზეედორფი უკეთაა და შეიძლება, ლონდონელთა წინააღმდეგ ითამაშოს კიდეც. ჩემპიონთა ლიგა სულ სხვა მოტივაციაა და მჯერა, "არსენალთან" სწორედაც რომ სხვა, გაცილებით უკეთეს, ანუ, ჩვენს ფეხბურთს ვითამაშებთ. "მილანისთვის" ეს მნიშვნელოვანი მატჩია. მეოთხედფინალში აუცილებლად უნდა გავიდეთ და ეს ყველას კარგად გვაქვს გათავისებული", - აღნიშნა კალაძემ.*

ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო 6



# ორთვიანი მკურნალობა და ბოლო ტურის პერსპექტივა

ინტერვიუ ლევან მჭედლიძესთან 2

# ხელისუფლება ფეხბურთში ღიად აკეთებს ფულს

## თუ მიჩივლებენ, ამას ფაქტებით დავამტკიცებ

ინტერვიუ აკაკი ასათიანთან 2



გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ინტერვიუ აკაკი ასათიანთან

# ხელისუფლება ფეხბურთში ღიად აკეთებს ფულს

## თუ მიჩივლებენ, ამას ფაქტებით დავამტკიცებ



დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პარლამენტის თავმჯდომარე, "ტრადიციონალისტთა კავშირის" ხელმძღვანელი აკაკი ასათიანი რამდენიმე წელია, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე აღარ დადის, თუმცა ქართული ფეხბურთის ავან-ჩავანი მისთვის უცხო არ არის - ის ფეხბურთის გულშემატკივარია და ცხადია, ასეთ პოლიტიკოსს ჩვენს ფეხბურთში მიმდინარე მოვლენებზე სათქმელი უნდა ჰქონდეს.

ასათიანს პირველ რიგში იმაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა, თუ ბოლო დროს რატომ არ ისმოდა მისი კრიტიკა თუ რიტორიკა ზედმიწევნით გაპოლიტიზირებულ ქართულ ფეხბურთზე.

**- არ შესულხართ ოპოზიციის გაერთიანებულ საბჭოში, არ ჩანდით ნოემბრის მოვლენების დროს, თქვენი ხმა არ გაგვიგია იმ პროცესებზეც, რაც ბოლო დროს ქართულ ფეხბურთში ხდებოდა - თითქოს აქტიური აღარ ხართ არც პოლიტიკაში და არც საფეხბურთო აურზაურში...**

- ხელისუფლება თუ არ შეიცვლება, ქართულ ფეხბურთს არაფერი ეშველება. დააკვირდით, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები კარში ბურთს ისე ურტყამენ... გიგი უგულავას და მიხეილ სააკაშვილს კენწვლაც არ შეუძლიათ და თუ საქმე არ გიყვარს და არ იცი, არაფერი გამოვა. ფედერაციის პრეზიდენტად ნოდარ ახალკაცის შვილი დანიშნო - ეს არ არის საქმე. უფროსი ახალკაცი უფრო კარგი მენეჯერი იყო, ვიდრე ტაქტიკოსი მწვრთნელი, რომელიც კონცეპტუალურად მოქმედებდა. ის რომ კარგი მენეჯერი იყო, სამოქალაქო ომის დროსაც დაამტკიცა, როცა მაინც ტარდებოდა ეროვნული ჩემპიონატი. უმცროსი ახალკაცი და ჩვენი ნაკრების გერმანელი მწვრთნელი კი თუ რისი მაქნისები არიან, ეს გასული შესარჩევის შედეგითაც ჩანს.

**- ფედერაციის პრეზიდენტის შარშანდელი, ერთობ სკანდალური არჩევნები ოპოზიციური სპექტრისთვის მაინცდამაინც საინტერესო არ აღმოჩნდა - როგორ ახსნიდით ამას?**

- ვფიქრობ, ოპოზიცია სწორად მოიქცა, ამ ფაქტით მაინცდამაინც რომ არ დაინტერესდა და მეც ასე მოვიქცეოდი - ფედერაციის შარშანდელი არჩევნები ხელისუფლების სხვადასხვა კლანის დაპირისპირება იყო და არ მაინტერესებდა, რომელი მხარე გაიმარჯვებდა.

**- გასაგებია, მაგრამ თვითონ ფაქტს ხომ სჭირდებოდა შეფასება საზოგადოებისგან...**

- რამე რომ გამოსწორდეს, მთლიანად ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. რაც შეეხება საზოგადოების პოზიციას, არსად არ იცავენ ისეთ კაცს, რომელიც ასეთი დამარცხების შემდეგ ხელსაც კი არ იქნევს.

**- და რა უნდა ქნას საფეხბურთო სამყარომ? ნუთუ გგონიათ, რომ ამ სამყაროში საინტერესო ხალხი აღარ დარჩა?**

- არ მეშინია! ამ ლოზუნგს და ამ მოძრაობას მე არ შევუერთდი, რადგან არც მანამდე მეშინოდა. ახლა არ არის ის ეპოქა, რომ დისიდენტობით გამოიდო თავი, უბრალოდ, ყველა სფეროში კოორდინირებული ბრძოლაა საჭირო.

**- უმსგავსოებასთან ბრძოლას სოლიდარობა სჭირდება, ეს კი თითქმის მიუღწეველია ქართულ საფეხბურთო სამყაროში...**

- არასდროს ველოდი სოლიდარობას ჩემ მიმართ, სოლიდარობას ყოველთვის ველი იმისთვის, რისთვისაც ვიბრძვი. ასე რომ, არ არის აუცილებელი, ვიღაცას გამოუცხადო სოლიდარობა. ხელისუფლება ფეხბურთში ღიად აკეთებს ფულს - ამას უნდა ვებრძოლოთ. თუ ასე არ არის, მაშინ რატომ დატოვეს შედეგის არმქონე მწვრთნელი პოსტზე?!

**- თქვენი ეს განცხადება ლოგიკას ეყრდნობა თუ კონკრეტულ ფაქტებს?**

- თუ მიჩივლებენ, სიმართლეს ფაქტებით დავამტკიცებ. ამ განცხადებით კი უბრალოდ, საკითხის პროვოცირებას ვახდენ.

**- ამ ეტაპზე ქართული ფეხბურთისთვის პოზიტიურს ვერაფერს ამჩნევთ?**

- ცოტა არ იყოს, ხელი მაქვს ჩაქნეული ფეხბურთზე, არადა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე რამდენიმე წელი სისტემატურად დავდიოდი. რაგბიში დიდი ფული არ არის და ეს ხელისუფლებამ რომ შეიტყო, იქ ხელს არ აფათურებს. რაგბიში აღმოჩნდა ის შიდა რესურსი, რომელმაც წარმატებები მოიტანა. ქართულ ფეხბურთს კი საბჭოთა პერიოდიდან დიდი სენი გამოყვა - ჟარგონზე ამას მაყუთის კეთება ჰქვია.

**- როგორც უნდა იყოს, არის ხალხი, ვინც საქართველოში ფეხბურთის კლუბებს ქმნის, ფეხბურთის კომერციალიზაციას ცდილობს, საქმეს აკეთებს...**

- მიკვირს იმ ბიზნესმენების, რომლებიც ახალი გუნდის სახელს იგონებენ და და ასე ქმნიან საფეხბურთო კლუბს. საქართველოში ხომ რამდენიმე ტრადიციული გუნდია, რომელთაც ფინანსური დახმარება, პატრონობა სჭირდებათ.

**- ამ ბიზნესმენებს ახალი ფურცლით სურთ საქმის დაწყება...**

- ფეხბურთი სუფთა ფურცლით არ გამოდის, ფეხბურთი ტრადიციული თამაშია, ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ ქართველი ბიზნესმენები ტრადიციული გუნდების აღორძინებაზე იზრუნებენ.

**- საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროგრამის ძირითად მიმართულებებს, ალბათ იცნობთ. ამ პროგრამით ფინანსურად რვა მდგრადი გუნდი როგორ შეიქმნება, გამოცანას ჰგავს, მაგრამ თუ რვა სტადიონი აშენდება, ეს ალბათ მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება საფეხბურთო მეურნეობისთვის. ხელისუფლებისგან ესეც არ მოგწონთ?**

- თუ საერთო კონცეფციაზე მიდგება საქმე, მიმაჩნია, რომ საქართველოში სპორტულ ფედერაციათა კონგლომერატი უნდა შეიქმნას. განისაზღვროს პრიორიტეტები და მერე გამოიყოს სახელმწიფო დოტაციები სპორტული ფედერაციებისთვის. ასეთი მოდელი შეიქმნა ბრაზილიაში და ასეთი ტიპის სპორტულ კონფედერაციას შემდგომში ფიფას პრეზიდენტი ჟოაო ავილანჟი ხელმძღვანელობდა. აუცილებლად უნდა დაუწესდეთ საგადასახადო შეღავათები იმ ბიზნესმენებს, რომელთა მიერ დაფინანსებული გუნდები ევროტურნირებზე იასპარეზებენ - ასეთ წარმატებულ ხალხს სტიმული და მხარდაჭერა სჭირდება.

**დავით თავართქილაძე**

# ორთვიანი მკურნალობა და ბოლო ტურის პერსპექტივა



საქართველოს ნაკრებში არაერთგზის თამაშისა და შოტლანდიასთან გოლის გატანის მიუხედავად, ლევან მჭედლიძეს დღემდე არ მისცემია სერია ა-ში თამაშის შესაძლებლობა. უთამაშებლობის მიზეზი თავდაპირველად გამოცდილება, ბოლო დროს კი მოხშირებული ტრავმებია...

- ყველაფერი კარგადაა იტალიაში თუ არ ჩავთვლით ტრავმას...

**- რა ტრავმას?**

- მუხლის ტრავმა მაქვს საკმაოდ რთული, ორი თვე დასვენება მომიწევს.

**- როგორც მახსოვს შოტლანდიასთან თამაშამდეც გაწუხებდა ფეხი და "ემპოლის" შენი გამოშვება არ სურდა. ის ტრავმა ხომ არ გაიმიზეზე?**

- არა, ეს ის ტრავმა არაა. მაშინ ახალი ნაოპერაციები მქონდა მუხლი. ვარჯიში მხოლოდ ერთი კვირის დაწყებული მქონდა პირდაპირ ნაკრებში რომ ვითამაშე, რადგან იქ თამაში ჩემთვის ბევრს ნიშნავს. სწორედ ამიტომ არ სურდა "ემპოლის" ჩემი გამოშვება. ბურთს კონტაქტში პირველად ნაკრების ვარჯიშზე შევეხე. რაც შეეხება ამ ტრავმას, ახლა უკვე მეორე მუხლი მაწუხებს. ძლიერი დარტყმა მივიღე და შიგნითა მხრიდან მყესები მაქვს დაზიანებული.

**- სად დაიზიანე მუხლი?**

- ლატვიასთან თამაშის დროს მიკრო ტრავმა მივიღე, რის შემდეგაც ოთხი დღე დავისვენე. მერე კი დუბლებთან მოვითხოვე თამაში, რადგან ფორმა აღმედგინა და სათამაშო პრაქტიკა მიმეღო. მოკლედ ვითამაშე დუბლებში და მატჩის ბოლო წუთზე მეკარესთან პირისპირ გასულს, უკნიდან ვიღაცამ ჩამარტყა ფეხი, მერე კი არაფერი მახსოვს.

**- ექიმები რას ამბობენ, გამოჯანმრთელების პროცესი კარგად მიდის?**

- მათი თქმით ერთ თვეში შევძლებ ვარჯიშს, მაგრამ ვერ გავრისკავ, იმიტომ რომ არაა სახუმარო ტრავმა. არც ძალიან რთულია. მისახედია, ასე ვიტყოდი. ჯობს მოვირჩინო, მერე კიდევ რომ არ გამაწვალოს... მირჩევნია 10 დღე მოვითმინო და ბოლომდე ვიყო მზად.

**- ამ სეზონში მოგიწევს სერია ა-ში თამაში?**

- შესაძლებელია ბოლო ტურებისთვის მზად ვიყო, მაგრამ ზუსტად ახლა ვერაფერს გეტყვი. ვნახოთ, დრო გვიჩვენებს. ახლა მთავარია მალე მოვირჩინო მუხლი და გუნდს შევუერთდე.

**- "ემპოლისთან" 2010 წლამდე გაქვს კონტრაქტი. ადრე გავრცელდა ინფორმაცია რამდენიმე კლუბის დაინტერესებაზე შენ მიმართ. მას მერე თუ ყოფილა რაიმე შემოთავაზება?**

- კი იყო და არის კიდეც, მაგრამ ამაზე არ ვფიქრობ, რადგან სეზონის დამთავრებამდე დრო ბევრია და თამაშის ძალიან დიდი სურვილი მაქვს. მერე კი შევხედავ ყველაფერს, ვფიქრობ, ეს არ არის ცუდი ვარიანტი.

**- რომელი გუნდები იყვნენ დაინტერესებული?**

- გერმანული, იტალიური და ესპანური გუნდებიდანაა დაინტერესება, მაგრამ ვნახოთ რა იქნება ზაფხულში. ჩემი აზრით, საჩქარო არაფერია.

**- და რა დონის გუნდებზეა საუბარი?**

- საშუალოებიც არიან და უმაღლესი დონისანიც.

**- ტრავმის გამო ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგურ მატჩს გამოტოვებ...**

- დიახ, ჩრდილოირლანდიასთან თამაში გამორიცხულია. ძალიან ვწუხვარ ბიჭებს გვერდით რომ ვერ დავუდგები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ნაკრები კარგ თამაშს აჩვენებს და ხალხიც კმაყოფილი იქნება... ისღა დამრჩენია ამ თამაშზე ჩვენ გუნდს ისე დავუდგე გვერდით, როგორც თითოეული ქართველი გულშემატკივარი.

**- სამაისოდ კი ალბათ, მზად იქნები...**

- ყოველ შემთხვევაში ამის დიდი იმედი მაქვს, თუმცა დარწმუნებული არ ვარ. მკურნალობას იტალიაში გავდივარ კარგ სპეციალისტებთან, ნელ-ნელა უკვე ველოსიპედსაც მივუჯექი და სამაისოდ წესით მზად უნდა ვიყო.

**ავთანდილ ცეცხლაძე**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge




ინტერვიუ გიორგი ფოფხაძესთან

# ზაფხულში აუემე უარი ვთქვი

გიორგი ფოფხაძე მომჯობინდა და დანიის ჩემპიონატის მეორე წრისთვის დიდი იმედებით ემზადება. ახლა გიორგისთვის მნიშვნელოვანი ეტაპია. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და "ვიბორგის" მცველი "ლელოს" ესაუბრება.

**- გიორგი, საკმაოდ დიდი ხანი მკურნალობდი. ბოლოდროინდელი ამბებით ვიცით, რომ მომჯობინდი და მოედანს დაუბრუნდი.**

- ერთი თვეა, რაც ვარჯიში დავიწყე. რუსეთთან შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე ხელი მოვიტეხე და დრო ამიტომ გამიცდა. სანამ ვმკურნალობდი, მანამდე გუნდში ბევრი ცვლილება მოხდა, ახალი მწვრთნელი დანიშნეს, ახალი ფეხბურთელები მოიყვანეს.

რამდენიმე საკონტროლო შეხვედრაც ჩავატარე და მგონი, მწვრთენლზე ცუდი შთაბეჭდილება არ დამიტოვებია. სხვათა შორის, ერთხელ ნახევარდაცვაში დამაყენა.

**- ამპლუას ხომ არ გიცვლის?**

- არა მგონია, უბრალოდ, მომსინჯა, ამ პოზიციაზე რა შემეძლო. ესპანეთში ვემზადებით, სეზონი კი 16 მარტს იწყება.

**- ფორმა აღიდგინე?**

- კი, ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, არც მეგონა ასე სწრაფად თუ მოვმჯობინდებოდი. ესპანეთში მოსკოვის ცსკა-ს უნდა შევხვდეთ და იმედი მაქვს, მათ წინააღმდეგ დამაყენებენ. მათთან სხვა მონდომებით ვითამაშებ. რუსების ახალგაზრდულთან რომ ვერ ვითამაშე, იმაზე გული დამწყდა და იქნებ ახლა მაინც შევძლო. რუსებთან ნებისმიერი შეხვედრისთვის დიდი მონდომებით ვემზადები.

**- მართალია, თითქოს, გუნდის შეცვლას აპირებდი?**

- იყო მეორე ბუნდესლიგის ვარიანტი, "აუე" მიწევდა, მაგრამ არ წავედი.

**- რატომ?**

- ახალი მწვრთნელი კარგი თვალით მიყურებს, მითხრა კიდეც, ძველის წასვლით, შემადგენლობაში შანსი არ გიმცირდება, წასვლაზე არც იფიქრო, მჭირდებიო. მაშინ ფორმაში არ ვიყავი და მისმა სიტყვებმა დამაჯერებლად იმოქმედა. თუმცა წასვლა გონებიდან მაინც არ ამომიგდია. აღარ მინდა აქ გაჩერება.

**- ისე ლაპარაკობ, თითქოს "ვიბორგში" თამაშს ნანობ.**

- არა, არ ვნანობ. დანიის ჩემპიონატში 30 შეხვედრა გავმართე, რაც 20 წლის ბიჭისთვის საკმაოდ დიდი რეკლამაა. საქართველოს შემდეგ, აქაურ ჩემპიონატში გამოსვლა მისწრებაა. მიმაჩნია, რომ "ოლიმპიაკოსში" თამაშიც შემეძლო, თუმცა, ჯერ არსად მეჩქარება.

**- რამდენად მართალია, რომ "ოლიმპიაკოსის" მენეჯერი ანდრო ნინიადისი ისევ დაგიკავშირდა?**

- ურთიერთობა მართლა გვაქვს. ის გუნდის პირველ სკაუტად დანიშეს, ძალიან დიდი ავტორიტეტი გააჩნია და ახლა ის წყვეტს, ვინ აიყვანონ და ვინ - არა. მცირე ხნის წინათ დამიკავშირდა და მითხრა, ჯერ შენთვის დიდი გუნდში თამაშინაადრევია, ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი იქნები. შენი კარიერისთვის ჯობია, "ვიბორგის" დონის გუნდში ითამაშო ჯერ, გამოცდილებას შეიძენ და დიდ გუნდებზეც მერე იფიქრეო. მართალიცაა, ეტაპების გავლა აუცილებელია.

ვგრძნობ, რომ დანიაში ჩამოსვლის შემდეგ საკმაოდ მოვუმატე, თავდაჯერებულიც გავხდი. "ოლიმპიაკოსის" ძირითადში მოხვედრის გარანტიას კი ვერავინ მომცემდა და შეიძლება, გაზრდის ნაცვლად, ერთ ადგილზე გავჩერებულიყავი.

ახლა კი ვგრძნობ, ამ დონის გუნდებზე უფრო თამამად შემიძლია ვიფიქრო. სხვათა შორის, "ვიბორგის" ერთ-ერთ საკონტროლო შეხვედრას "ოლიმპიაკოსის" წარმომადგენელი დაესწრო. ძალიან მესიამოვნა.

**- ანუ, ისევ გაკვირდებიან?**

- იმედია, ტყუილად კაცს ხომ არ გამოუშვებდნენ...

**- საერთოდ, ევროპის პატარა ქვეყნებიდან და განსაკუთრებით, დანიიდან, ძლიერ ლიგაში მოხვედრა იოლია.**

- რა თქმა უნდა.

**- შენი აზრით, რა არის ამის მიზეზი? რუსეთზე მაღალი დონის ჩემპიონატი არაა და მაინც, დანიაში მოთამაშეებზე ევროპაში უფრო მეტი მოთხოვნილებაა.**

- რუსეთში ფეხბურთელებს გაცილებით დიდი ხელფასებს აძლევენ და მერე წასვლა უჭირთ. დანიაში გაცილებით დაბალი ხელფასებია, აქ იაფად იყიდიან საკმაოდ მომზადებულ მოთამაშეს და უნდა ნახოთ, თუნდაც აუტსაიდერების შეხვედრებს რამდენი ევროპელი მენეჯერი ესწრება. მე მირჩევნია, ახლა ავილო ცოტა თანხა და ევროპაში იოლად წავიდე, ვიდრე თავიდანვე ბევრი ავილო და ერთ ადგილზე გავჩერდე. ჩემხელა ბიჭს დიდი ხელფასი რომ აქვს, შეიძლება, მერე წინსვლის სტიმული მოაკლდეს.

**- უცნაურ ამბავს ვიტყვი, რომელიც ერთმა მენეჯერმა მითხრა, ფეხბურთელებში ქართული გუნდები უფრო მეტს ითხოვენ, ვიდრე სკანდინავიურებიო. მართლა ასეა?**

- მასეა, ხომ იცი ქართველების მადა. გული მწყდება, საქართველოში ისეთი ტალანტები იკარგება, დანიელებს რომ არ დაესიზმრებათ. აქ მაგალითად, თორნიკე აფციაურის დონის ფეხბურთელი არ ჰყავთ. მას დანიაში რომ ეთამაშა, ფანკლუბს შეუქმნიდნენ.

**- წელან ახსენე და უნდა გკითხო: ცნობილი მოვლენაა, ახალი მწვრთნელის მოსვლა და შემადგენლობის შეცვლა ლამის ავტომატურად ხდება. შენ როგორ გადაურჩი?**

- მელაპარაკა, შენ ყველა თვისება გაგაჩნია, დიდი ფეხბურთი რომ ითამაშო. ეგაა, ტაქტიკური განათლება გაკლიაო და დანიშვნის შემდეგ ცალკე ლექციებს მიკითხავს. შვილივით მიყურებს და ძალიან მიხარია. მისგან ბევრი შევიძინე და კიდევ შევიძენ. ფიზიკურად კი უკვე ისე ვარ, გაგიჟებულია კაცი, შენნაირი ჯანი არავის აქვსო.

წელან მკითხე, დანიაში გადასვლას ხომ არ ნანობო. რა უნდა ვინანო, გუნდი შეიძლება აუტსაიდერი იყოს, მაგრამ ელემენტარული პირობებით ყველა უზრუნველყოფილია. ერთი კვირის წინათ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად ხელი სპეციალურ აპარატზე გამატარებინეს. გავგიჟდი კაცი, დეტალური დიაგნოზი გადმომცეს, ჩემი ორგანიზმი რა მდგომარეობაში იყო, რომელი კბილი მქონდა დასაპლომბი და ა.შ. საქართველოში ამაზე წარმოდგენაც არ მქონდა. სანანებელი რა მაქვს?

**მერაბ მამულაშვილი**



# იაშვილმა თემა დახურა

## კარლსრუემ 50-ს დაუმიზნა

2005 წლის მაისის შემდეგ **ალექსანდრე იაშვილმა** პირველი ბუნდესლიგური გოლი გაიტანა. ეს მან "ვოლფსბურგთან" შეძლო - ბუნდესლიგის უკანასკნელი ტურში იაშვილის "კარლსრუემ" 3:1 იმარჯვა.

მეორე ბუნდესლიგაში ჩაყურყუმელავებული "ფრაიბურგიდან" იაშვილი "კარლსრუეში" საამსეზონოდ გადავიდა და **ედმუნდ ბეკერის** გუნდში მყისვე ვერ მოახერხა ზედაპირზე ყოფნა - ამისთვის მას რამდენიმე თვე დასჭირდა - პირველი წრის ბოლოს "იაში", როგორც მას ბადენვიურტერბერგელმა ქომაგმა შეარქვა, ჩინებულად ათამაშდა და ერთხელ "კიკერის" ვერსიით ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

იაშვილმა საშუასეზონო პერიოდშიც გამოიჩინა თავი და მეორე წრეშიც ისე ყოჩაღობს, რომ უკვე "კარლსრუეს" ერთ-ერთი წარმმართველი ფეხბურთელია.

*"შეიძლება ითქვას, რომ "კარლსრუეში" უკვე ვიპოვე საკუთარი თავი",* - გვითხრა იაშვილმა, რომელიც **კლაუს ტოპმიოლერმა** ეროვნული ნაკრებიდან წინა შესარჩევში უკრაინასთან საშინაო მატჩის შემდეგ მოკვეთა.

*"ნაკრებში ჩემს დაბრუნებაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. ეროვნული გუნდიდან მოწვევა მას შემდეგ არ მომსვლია და არც არავის დაურეკავს. ასე რომ, ამ საკითხზე ლაპარაკი ჯერ არ ღირს".*

ბეკერი იაშვილს ისეთ მარცხენა ნახევარმცველად ათამაშებს, რომლის უმთავრესი მოვალეობა შეტევაა. "კარლსრუეს" ჩვენებურმა გვითხრა, ამ პოზიციაზე თავს უკვე მშვენივრად ვგრძნობო. იაშვილს "კარლსრუეში" აკლდა ერთადერთი რამ - გოლი!

*"წინა თამაშებშიც არაერთხელ შემეძლო გატანა. ფაქტია, მეორე წრის ყველა მატჩში კარგად წამივიდა თამაში. როდის შეაგდებს გოლს იაშვილი? ძალიან სასიხარულოა, რომ ეს თემა აღარ არსებობს".*

როცა სეზონი იწყებოდა, "კარლსრუეს" მიზანი თვრამეტგუნდა ბუნდესლიგის ზედა ნახევარში, მინიმუმ მეცხრე ადგილზე გასვლა იყო. ახლა კი გუნდი მე-5 ადგილზეა, რაც უეფას თასის საგზურს იძლევა.

*"ვოლფსბურგთან" მატჩის წინ ბეკერი ფეხბურთელებს საგანგებოდ დაგველაპარაკა, რას ფიქრობთ, მიზანი იგივე უნდა დავტოვოთ, თუ უფრო მეტისთვის უნდა ვიბრძოლოთო. გუნდის პასუხი იყო, ამ ბუნდესლიგაში 50 ქულა უნდა დავაგროვოთო. ეს საკმაოდ ბევრია, თუ ამას შევძლებთ, მერე გამოჩნდება, შევწვდებით თუ არა უეფას თასის საგზურს",* - გვითხრა "იაშმ", რომლის გუნდს ახლა 36 ქულა აქვს, ბუნდესლიგის დასრულებას კი 12 ტური უკლია.

**დავით თავართქილაძე**

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი
www.pfl.ge
უმაღლესი ლიგა. მეორე წრე. XV ტური. მიმოხილვა

# სიახლე ბევრია, სამეული კი უცვლელი


ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია 0:1

**როგორც** მოსალოდნელი იყო, გასულმა ტურმა ცხრილის ზედა ნაწილში ვითარება ვერ შეცვალა. ჩემპიონობისთვის მებრძოლმა სამივე გუნდმა გამარჯვება იზეიმა, თუმცა განსხვავებულ ვითარებაში. "ზესტაფონმა" "მესხეთს" შინ იოლად აჯობა, სამაგიეროდ, "დინამოსა" და "ვიტ ჯორჯიას" სტუმრად მძიმე ბრძოლები გადახდათ და შეხვედრების მიწურულსლა მოახერხეს მეტოქის გატეხვა.

## დინამოს მსაჯმა მოაგებინაო...

იშვიათია ისეთი ტური, რომელსაც არაობიექტურ მსაჯობაზე საუბარი არ მოჰყვება ხოლმე. ამჯერად "შავოსნებისგან" დაჩაგრულად თავს სიონელები გრძნობენ, თუმცა **ლევან კვარაცხელიას** ბრიგადის გადაწყვეტილებათა ოფიციალურად გასაჩივრებას ბოლნისური კლუბის მესვეურები არ აპირებენ - აზრი არა აქვს, ფული ტყუილად უნდა გადავიხადოთო.

"სიონი"-"დინამოს" მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთი რჩებოდა, ანგარიში 1:1 იყო, როცა მასპინძელთა ფეხბურთელი სტუმართა მეკარის პირისპირ გავიდა. მსაჯებმა თამაშგარე დააფიქსირეს, "სიონის" წარმომადგენელთა თქმით, მათი მოთამაშე "დინამოს" ბოლო მცველზე მინიმუმ ერთი მეტრით უკან იყო.

სამსაჯო კომისია ეპიზოდის ვიდეოჩანაწერს დეტალურად გაარჩევს და შესაძლოა, კვარაცხელიასა და მისი ასისტენტის შეცდომაც დადგინდეს, თუმცა ბუნებრივია, ამით "სიონს" ვერაფერი შეემატება.

"დინამოს" გამარჯვება კი მაინც გამოსარჩევი ამბავია. სხვა თუ არაფერი, **უჰრინის** გუნდმა 2008 წლის პირველი ოფიციალური გამარჯვება მოიპოვა, მხოლოდ მესამე ცდით.

## იღბლიანი შეცვლა

მატჩის დასრულებამდე ათიოდე წუთი რჩებოდა, ინერტული **აკირემის** ნაცვლად უჰრინმა მოედანზე **მათე ვაწაძე** რომ შეუშვა. ყმაწვილი დინამოელი ბოლო დროს სისტემატურად შედის შეცვლებზე და ხშირ შემთხვევებში, თამაშის გამწვავებაც გამოსდის. წინა ტურში, "ოლიმპთან" ვაწაძეს რამდენიმე წუთი საგოლე პასისთვის ეყო, შაბათს კი უმაღლეს ლიგაში პირველი ბურთი გაიტანა - თანაც, უმნიშვნელოვანესი. "დინამომ" ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა და კალენდარს თუ გადავხედავთ, უახლოეს ტურებში პირველი საფეხურის შენარჩუნების მშვენიერი შანსი აქვს. ყოველ შემთხვევაში, წყალი არ გაუვა იმას, რომ შემდეგი ტური "დინამოს" კვლავ ლიდერად დატოვებს - დედაქალაქელები "ბორჯომს" მასპინძლობენ...

## უბერებელი მეგოლე

თუკი ვაწაძეს ათი წუთი ერთი გოლისთვის ეყო, **ზურაბ იონანიძემ** ერთ ტაიმში სამჯერ გაიტანა. 36 წლის ბომბარდირმა "მესხეთს" ლამის მარტომ მოუგო და კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ მაღალი დონის პროფესიონალი თავის ოსტატობას სოლიდურ საფეხბურთო ასაკშიც დაამტკიცებს. იმის მიუხედავად, რომ 90 წუთს ველარ თამაშობს, იონა "ზესტაფონის" საუკეთესო მეგოლედ და მთავარ დამრტყმელ ძალად რჩება!

## მეგრელაძე დუბლით დაბრუნდა

ნელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ, **გიორგი მეგრელაძე** კვლავ საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს. იგი ქართულ სარბიელზე მაშინაც ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი იყო და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ახლაც ასე იქნება. მეგრელაძე "ბორჯომში" "სპარტაკთან" მატჩის წინა დღეს მივიდა, ძირითადშიც გაამწესეს და მაშინვე დაამტკიცა, რომ საქართველოს ჩემპიონატისთვის სამყოფ ფორმაშია. ძნელი სათქმელია, შეძლებდნენ თუ არა მის გარეშე "ბორჯომის" გამოუცდელი ყმაწვილები მნიშვნელოვანი სამი ქულის მოპოვებას.

## ტური უგმიროდ

რაკი გასულ ტურში გამოკვეთილი ცენტრალური დაპირისპირება არ ყოფილა, საუკეთესოდ ერთ ფეხბურთელს ვერ დავასახელებთ. გამორჩევას კი ჩვენი აზრით, ჰეთთრიქოსანი **იონანიძე**, დუბლის ავტორი **მეგრელაძე**, "დინამოს" ლიდერი **გიორგი მერებაშვილი** და "ოლიმპის" პერსპექტიული ნახევარმცველი **დავით დევდარიანი** იმსახურებენ.




## თითქმის სასწაულმოქმედი

ყოველ ექვს თვეში **ვლადიმერ ხაჩიძეს** "ბორჯომში" ახალი გუნდის აწყობა უწევს - თანაც, მეტწილად, გამოუცდელი ყმაწვილებით. ამჯერადაც ასე მოხდა. გუნდი, რომელიც პირველ წრეში ლიდერებს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, ზამთარში მთლიანად დაიშალა. "ბორჯომის" დაფინანსება სათუო იყო, ხაჩიძე უკვე მერამდენედ აპირებდა კლუბიდან წასვლას, თუმცა ზედ სეზონის განახლების წინ "ბორჯომში" ახალწვეულები გამოჩნდნენ, ძირითადად, ისეთები, რომლებსაც უმაღლეს ლიგაში აქამდე არ უთამაშიათ. ხაჩიძემ ჩვეული პირდაპირობით თქვა, ჩემი ფეხბურთელები თამაშის წინ გავიცანიო... შედეგი კი სამცხელებს მაინც აქვთ - "სპარტაკის" ძლევით "ბორჯომმა" ცხრილის შუაგულში ადგილი გაიმყარა და სეზონის პირველ ნახევარში ნაჩვენები შედეგის წყალობით, პირველ ლიგაში დაქვეითება არ უნდა დაემუქროს.

**ლევან ჯანეზაშვილი**
**გია ტუხაშვილი**


მერანი-მგლები 0:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 15 | 13 | 0 | 2 | 38-7 | 39 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 15 | 12 | 1 | 2 | 28-9 | 37 |
| 3. ზესტაფონი | 15 | 12 | 1 | 2 | 31-9 | 37 |
| 4. ოლიმპი | 15 | 9 | 3 | 3 | 16-9 | 30 |
| 5. ბორჯომი | 15 | 8 | 4 | 3 | 19-11 | 28 |
| 6. ამერი | 15 | 8 | 1 | 6 | 24-17 | 25 |
| 7. მესხეთი | 14 | 6 | 2 | 6 | 16-21 | 20 |
| 8. მგლები | 14 | 6 | 0 | 8 | 15-19 | 18 |
| 9. სიონი | 15 | 5 | 3 | 7 | 19-19 | 18 |
| 10. მერანი | 15 | 4 | 1 | 10 | 8-24 | 13 |
| 11. სპარტაკი | 15 | 3 | 3 | 9 | 6-18 | 12 |
| 12. ლოკომოტივი | 15 | 3 | 1 | 11 | 9-23 | 10 |
| 13. დილა | 15 | 1 | 4 | 10 | 7-26 | 7 |
| 14. ბათუმი | 15 | 1 | 2 | 12 | 5-29 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 10 |
| მერებაშვილი (დინამო) | 10 |
| გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 10 |

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონი

# ადამიამ მამალაძეს დუელი მოუგო

## მამედოვის მოტანილი პირველი ქულა

აზერბაიჯანში მე-16 ტურის მატჩებში სამი ქართული გოლი გავიდა, აქედან ორი პენალტით, ორივე – გამარჯვების. თავი **ირაკლი ვაშაკიძემ, დავით ბოლქვაძემ** და **გიორგი ადამიამ** გამოიჩინეს. ადამიას „ნეფთჩი" 36 ქულით მეორე ადგილზეა და საჩემპიონო რბოლაში კვალში 40-ქულიან „ოლიმპიკს" უდგას. „ნეფთჩი" ყველაზე ქართულ კლუბს „კაბალის" ენვია და 3:2 იმარჯვა. კაბალას სტადიონზე 3 ათასი გულშემატკივარი ამაოდ უჭერდა მხარს ადგილობრივ გუნდს. მატჩის ბოლო წუთზე მასპინძელთა კარში მსაჯმა პენალტი დანიშნა. **თორნიკე აფციაურმა** სტუმართა ფორვარდი საჯარიმოში წააქცია, მსაჯმა მასპინძელთა პროტესტის მიუხედავად პენალტი მაინც დანიშნა. ქართული დუელი გიორგი ადამიას გამარჯვებით დასრულდა, მან ბურთი სხვა კუთხეში გაგზავნა, **ზურაბ მამალაძე** კი სხვაში გადახტა. ამ მატჩის 75-ე წუთზე ანგარიში 2:2 მასპინძელთა მცველმა ირაკლი ვაშაკიძემ გახადა თავური დარტყმით, თუმცა ნერტილი შეხვედრას გიორგი ადამიამ დაუსვა. **გიორგი გაბიდაურმა**, ისევე როგორც ყველა კაბალელმა ქართველმა, 90 წუთი ითამაშა. გაბიდაური და აფციაური მსაჯმა გააფრთხილა. „კაბალა" 24 ქულით მეშვიდე ადგილზეა.

თოვუზში აზერბაიჯანულ კარიერაში მესამე მატჩში მეორე გოლი გაიტანა **დავით ბოლქვაძემ**, „სიმურგმა" კი 2:1 მოუგო „თურანს". ბოლქვაძემ მე-10 წუთზე გაიტანა. ამ მატჩში კიდევ ერთი პენალტი დაინიშნა, თუმცა, „თურანელმა" **ირაკლი ბერაიამ** 30-ე წუთზე მეკარეს ვერ აჯობა, ამ ეპიზოდში გოლი მაინც გავიდა ბერაიას დარტყმულს ზუსტად თანაგუნდელმა დაამატა. „სიმურგი" 27 ქულით მეექვსე ადგილზეა, „თურანს" მხოლოდ 8 ქულა აქვს და ბოლოსწინაა.

„ბაქომ" „ინტერთან" პირველად წააგო დერბი, ქართველთა გუნდმა გოლი ბოლო წუთზე გაუშვა – 0:1. **ალექსანდრე გოგობერიშვილს** და **ამირან მუჯირს** ტრავმის გამო არ უთამაშიათ. „ბაქო" 27 ქულით მეხუთეა, ამ სეზონში ეს კლუბი უამბიციოდ რჩება.

პირველი ქულა მოიპოვა აზერბაიჯანში ქართველმა მწვრთნელმა **კახი ცხადაძემ**, მისი „სტანდარდი" სტუმრად „მასალის" დაუზავდა – 1:1. პირველი ქულა დამრიგებელს **ასიფ მამედოვმა** მსაჯის მიერ წამატებულ დროში მოუტანა. ცხადაძემ **ლადო უგრეხელიძე** 76-ე წუთზე შეცვალა. მასპინძელთა რიგებში **ვაჟა ლომაშვილმა** 90 წუთი ითამაშა და მეორე ტაიმში ყვითელი ბარათი დაიმსახურა. „სტანდარდი" 15 ქულით მე-11 ადგილზეა, „მასალი" 17 ქულით მეცხრეა.

**გოგა ბერაიას** „ყარაბახმა" უქართველოდ სძლია ჩემპიონ „ხაზარს" – 2:0. ლტოლვილთა გუნდს 22 ქულა აქვს და მერვე ადგილზეა. ქართველთა კიდევ ერთი კლუბი „ქარვანი" მოულოდნელად სტუმრად 0:2 დამარცხდა დებიუტანტ აზნ-სთან. ამ შეხვედრაში სამივე ჩვენებური სასტარტოში იყო: **ალექსანდრე ინწკირველმა** და **გოჩა ტრაპაიძემ** ყვითელი ბარათები დაიმსახურეს, **რომან ახალკაცი** კი 59-ე წუთზე შეცვალეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ზაალ ელიავა

# ელიავამ ანჟის ქართველებიანად სძლია

რუსულ კლუბებს შორის გამართულ მორიგ ამხანაგურ მატჩში კიდევ ერთი ქართული დერბი დაფიქსირდა. პერმის "ამკარმა" მახაჭყალის "ანჟი" 1:0 დაამარცხა. გატანილი გოლიდან 2 წუთში პერმელები კაცნაკლულნი დარჩნენ, მაგრამ მოგება მაინც მოახერხეს. პერმელთა გუნდში ტესტირებაზე მყოფი მცველი **ზაალ ელიავა** სასტარტოში იყო და თამაშიც ჩაამთავრა. "ანჟის" ძირითადში კი სამი ქართველი გახლდათ –**ვალერი აბრამიძე, გოჩა ხოჯავა** და **მიხეილ აშვეთია**. აბრამიძემ თამაში ჩაამთავრა, ხოჯავა მე-80 წუთზე **რევაზ ჯიქიამ** შეცვალა, ხოლო აშვეთიას ნაცვლად, ბოლო 5 წუთი **რევაზ ბარაბაძემ** ითამაშა. 78-ე წუთზე ჩაერთო თამაშში **ზურაბ არზიანი**.

*"მართალია დავმარცხდით, მაგრამ ჩემი გუნდის თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. ფრეზეც და გაშვებული ბურთის შემდეგაც გვქონდა საგოლე მომენტები. თუმცა ბურთი ვერ გავიტანეთ. ვფიქრობ, საგოლე მომენტების გამოყენებაზე უფრო მეტი მუშაობა მოგვიწევს"*, - მახაჭყალელთა გუნდის მთავარი მწვრთნელის **ომარ თეთრაძის** კომენტარი "ანჟის" ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა.

**დავით ცაბაძე**

# ჩვენები დარჩებიან, თუკი...

## ლევან ნოდია სომხურ კლუბში დაინიშნა

წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელი **ლევან ნოდია** სომხეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის, აშტარაქსის "მიკას" სპორტულ დირექტორად დაინიშნა. გუნდის მთავარი მწვრთნელი სომხური ფეხბურთის ექსვარსკვლავი **არკადი ანდრეასიანია.** მან სთხოვა 70-იანი წლების ქართველ ფორვარდს თანადგომა.

ორი კვირის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ "მიკაში" სამი ქართველი ფეხბურთელი მიიწვიეს, სამივე ყოფილი დინამოელი - **ვიტალი დარასელია, მიხეილ ბობოხიძე** და **რატი ალექსიძე**. როგორც შევიტყვეთ, ალექსიძე წამოვიდა, დანარჩენი ორის ამბავი კი ახლახან შევიტყვეთ.

"მიკა" მას შემდეგ თურქმენეთის პრეზიდენტის თასზე მონაწილეობდა, სომხურ გუნდში ქართველებს არ უთამაშიათ. სწორედ ამის გამო, სომხური საფეხბურთო გაზეთის, " ,"ფუტბოლ+-ის" ჟურნალისტმა მთავარმა მწვრთნელ არკადი ანდრეასიანს ჰკითხა, ქართველი ფეხბურთელების სამსახურზე უარი თქვითო?

*"მათ საკუთარი მოთხოვნები წამოგვიყენეს: თუკი კლუბის ხელმძღვანელობას შეუთანხმდებიან, ჩვენთან დარჩებიან, სხვა შემთხვევაში, დაგვტოვებენ. ისინი ჩვენთან ერევანში ჩამოვიდნენ და "მიკას" სპონსორ მიქაელ ბალდასარიანთან მოლაპარაკება უნდა გამართონ,"* - განაცხადა ანდრეასიანმა.

ფუტზალი

# ორი სირცხვილი

ქართველი ფუტზალელების წარმატებას არც ველოდით, მაგრამ ასეთი საშინელი შედეგები მაინც ძალიან ცუდ განწყობას ქმნის. როგორც ჩანს, ქართულ ფუტზალს საქმე ფეხბურთზე უარესად მისდის. ესპანეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა ორი მატჩი საერთო ანგარიშით 2:21 წააგო. ესპანეთმა 13:1 გაგვანადგურა, ხორვატიამ კი - 8:1. ცნობისათვის, სამგუნდიან ჯგუფში პირველი ადგილი ევროპის ჩემპიონმა ესპანეთმა დაიკავა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში ხორვატიას 3:1 სძლია.

ესპანეთში **პეტრე თაბუკაშვილის** გუნდის ღირსებას შემდეგი ფეხბურთელები "იცავდნენ": **ზაქაიძე, კუბლაშვილი, დარჩია, ასათიანი, ცნობილაძე, ბოკერია, ნეფარიძე, ზოიძე, ოსეფაშვილი, იოსებიძე, გაბუჩია.**

ესპანელებთან გოლი ნეფარიძემ გაიტანა, როცა ანგარიში უკვე 13:0 იყო, ხოლო ხორვატიასთან მატჩში ანგარიში დარჩიამ გახსნა.



ესპანეთი-საქართველო 13:1

# დვალიშვილის საგოლე პასი

ახალი სეზონისთვის სამზადისში მყოფმა რიგის "სკონტომ" მორიგ ამხანაგურ მატჩში კრასნოდარის "ყუბანი" 2:1 დაამარცხა. რიგელთა სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ **ვლადიმერ დვალიშვილი** გახლდათ და მეორე, გადამწვეტ გოლში მონაწილეობაც მიიღო. **დავით გამეზარდაშვილი** კი მეორე ტაიმიდან ჩაერთო თამაშში.

**თამაზ პერტიას** "დინაბურგმა" ანთალიურ შეკრებაზე სანკტ-პეტერბურგის "ზენიტის" დუბლები 3:0 გაანადგურა. **შოთა ბაბუნაშვილი** ძირითადში იყო, **ბაქარ გიორგაძე** კი მეორე ტაიმიდან ჩაერთო თამაშში.

# ფრე ასათიანის გარეშე

მოსკოვის "ლოკომოტივმა" ავსტრიული შეკრება დაასრულა და სამშობლოში დაბრუნდა. მოსკოვში გამომგზავრებამდე **რაშიდ რახიმოვის** გუნდმა დასკვნითი ამხანაგური მატჩი ავსტრიულ ქვედალიგოსან "კაპფენბერგთან" გამართა და ფრეს - 1:1-ს დასჯერდა. რკინიგზელთა სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ **დავით მუჯირი** იყო, რომელიც 65-ე წუთზე **ტრაორემ** შეცვალა. **მალხაზ ასათიანს** შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია.

"ლოკომოტივი" მშობლირ ბაზაზე განაგრძობს მზადებას. 9 მარტს ის რუსეთის სუპერთასზე სანკტ პეტერბურგის "ზენიტს" ეთამაშება.

# ბარაბაძე დანიაში გადავიდა

დანიის ჩემპიონატში აქამდე მხოლოდ ერთი ქართველი თამაშობდა - უმაღლესი დივიზიონის "ვიბორგში" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი **გიორგი ფოფხაძე** გამოდიოდა.

სწორედ მისგან შევიტყვეთ, რომ მალე, შესაძლოა, დანიურ კლუბში კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი ჩაირიცხოს.

*"რამდენიმე დღის წინათ ჩემი მეგობარი მიშა ბარაბაძე ჩამოვიდა. ის დანიის პირველი ლიგის "ჰიკიში" გასინჯეს და როგორც ვიცი, კონტრაქტსაც აფორმებს,"* - გვითხრა ფოფხაძე.

მიშა ბარაბაძე ორი წლის წინათ "თბილისში" გამოდიოდა. 20 წლის თავდამსხმელმა 2003/04 წლების სეზონი უმაღლეს ლიგაში ჩაატარა. მას შემდეგ ის კარიერის მოწყობაზე ფიქრობდა, მაგრამ სასურველ კლუბში ჩარიცხვის შანსი მხოლოდ ახლა გამოუჩნდა.

# ქართველებს ნომრები ჩამოურიგეს

დნეპროპეტროვსკის "დნეპრში" ახალწვეულებს მუდმივი ნომრიანი მაისურები დაურიგეს. ქართველმა ნახევარმცველმა **სანდრო კობახიძემ** შეთავაზებული ვარიანტებიდან 17 ნომერი შეიარჩია.

პოლტავის "ვორსკლაში" გადასულმა **ლაშა ჯაკობიას** პრესტიჟული 10 ნორიანი მაისურა გადასცეს. "ხარკოვის" ქართველ მოთამაშე **კახა ალადაშვილი** კი 20 ნომრით ითამაშებს.


# დელგადო აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო 2008 წლის 30 მარტს არგენტინაში ინვევს 17-18 წლის ასაკის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მაღალ დონეზე მოსამზადებლად.

მომზადების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. მომზადების სრული კურსის დაძლევის შემდეგ, ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს.

დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინის კლუბებში, შეეძლებათ გააგრძელონ თამაში და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის საფეხბურთო კლუბებთან.

მომზადების პროცესი ფასიანია. ასევე, ავია-ბილეთების, ადგილზე ბინის, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯებს ანაზღაურებს მსურველი ან მისი სპონსორები.

დაწვრილებითი ცნობებისა და საბუთების გასაფორმებლად მსურველები უნდა გამოცხადდნენ არგენტინის წარმომადგენელთან შემდეგ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის 4. (ყოფილი კიროვის ქუჩა, თავისუფლების მოედანთან).

მსურველთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 10 მარტიდან 22 მარტამდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 13-დან-15 საათამდე, ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 29 მარტს.

**საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. განმეორებითი მატჩები

# არსენალს ვან პერსი გააძლიერებს

## მანჩესტერში რონალდო და რუნი ბრუნდებიან, სტრაჩანი კამპ ნოუზე ანგარიშის გახსნას აპირებს...



არსენალს მილანში რობი ვან პერსი დაეხმარება

### მილანი-არსენალი (0:0)

ეროვნულ ჩემპიონატებში ორივე გუნდს გადაღლილობა დაეტყო. დღეს მილანელები და ლონდონელები თავისი საუკეთესო ფეხბურთის თამაშს შეეცდებიან. "ემირიტს სთედიუმზე" ორი კვირის წინანდელი შეხვედრა უგოლოდ დასრულდა. სერია A-ს ბოლო ტურში "მილანმა" "ლაციოსთან" ფრედ ითამაშა (1:1) და მეოთხე ადგილზე მყოფ "ფიორენტინას" ოთხი ქულით ჩამორჩა. პრემიერლიგის ბოლო ტურში "ასტონ ვილასთან" "არსენალმაც" ორი ქულა გაანიავა (1:1). ის ისევ პირველ ადგილზეა, მაგრამ "მანჩესტერ იუნაიტედს" ერთი ქულითღა უსწრებს.

მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა **კაკამ** ორი მატჩი გამოტოვა. მას მუხლი აწუხებდა. ბრაზილიელი ვარსკვლავი გამოჯანმრთელდა და მზადაა, "არსენალის" წინააღმდეგ ითამაშოს. "მილანის" პრესსამსახურმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ ბრიტანული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია კაკას მძიმე ტრავმის თაობაზე, მცდარი იყო.

ძირითადში ვიხილავთ **ალესანდრო ნესტასა** და **ანდრეა პირლოს**. **კლარენს ზეედორფის** ასპარეზობა კი საეჭვოა. ჰოლანდიელი ნახევარმცველი "ლაციოსთან" მატჩისას დაშავდა. ვერ ითამაშებენ **ემერსონი** და **მარეკ იანკულოვსკი**.

*"კაკა ჯანმრთელადაა. პირლოსა და ნესტას ტრავმები აღარ აწუხებთ. სრული დატვირთვით ვარჯიშობენ და თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდება, "არსენალთან" ითამაშებენ კიდეც,"* - თქვა გუშინდელ პრესკონფერენციაზე **კარლო ანჩელოტიმ**. *"შესაძლოა, საუკეთესო ფიზიკურ კონდიციებში არ ვიმყოფებით, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მოგება მაინც შეგვიძლია. შევეცდებით, ეს "არსენალთან" მატჩში დავამტკიცოთ."*

საინტერესოა, რას შემოგვთავაზებს ანჩელოტი თავდასხმაში. პირველ მერვედფინალში მწვრთნელმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. მან ძირითადში ერთი ფორვარდი დააყენა. ეს ფორვარდი 18 წლის **ალეშანდრე პატო** იყო.

მოგეხსენებათ, **პაოლო მალდინი** კარიერის უკანასკნელ სეზონს ატარებს. 39 წლის მცველი სტაბილურად ასპარეზობს. მას დღესაც ძირითად გუნდში ვიხილავთ. მიმომხილველებმა ამ თამაშის ისტორიულ მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი. შესაძლოა, "არსენალთან" მატჩი დიდი მცველისთვის ბოლო ევროპული პაექრობა აღმოჩნდესო. თუმცა მალდინი და მისი თანაგუნდელები ლიგასთან გამომშვიდობებას ჯერ არ აპირებენ.

**არსენ ვენგერი** "არსენალის" ბოლოდროინდელი ასპარეზობით უკმაყოფილოა. გუნდმა პრემიერლიგაში ზედიზედ ორი ფრე ითამაშა. ქულების განიავებას **ედუარდო და სილვას** უმძიმესი ტრავმაც დაერთო. უკვე რამდენიმე მატჩია, გოლი ვერ გააქვს ტოგოელ თავდამსხმელ **ემანუელ ადებაიორს**, რომელსაც ზედიზედ ცხრა შეხვედრაში ჰქონდა გატანილი და **იან რაიტის** 12-მატჩიან რეკორდს უმიზნებდა. მშრალი სერიის მიუხედავად, ადებაიორი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ განაცხადში იქნება ჰოლანდიელი თავდამსხმელი **რობინ ვან პერსი**, რომელმაც ქრონიკული ტრავმები მოირჩინა. მწვრთნელმა ის, შეიძლება, პირველივე წუთიდან ათამაშოს. ტრავმების გამო მილანში ვერ გაემგზავრნენ ტომაშ როსიცკი და კოლო ტურე.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**მილანი:** კალაჩი, ოდო, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო, ამბროზინი, კაკა, პატო, ფილიპო ინძაგი.

**არსენალი:** ალმუნია, სანია, სენდეროსი, გალასი, კლიში, ებუე, ფაბრეგასი, ჟილბერტო, ფლამინი, დიაბი, ადებაიორი.

**მსაჯი:** კონრად პლაუტცი (ავსტრია)

### მანჩესტერ იუნ.-ლიონი (1:1)

**კრისტიანო რონალდო** და **უეინ რუნი** ძირითად შემადგენლობაში ბრუნდებიან. მათ ბოლო ტურში, "ფულჰემთან" მატჩისას (3:0) დასვენების საშუალება მიეცათ და მხოლოდ 20 წუთი ითამაშეს. "იუნაიტედს" პრემიერლიგაში საქმეები კარგად წაუვიდა. გათამაშების ლიდერმა" არსენალმა" დაუგეგმავი ქულები გაანიავა. "მანჩესტერმა" ლიდერთან ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა. ახლა ჩემპიონთა ლიგის ჯერია. პირველი მატჩის შემდეგ "მენიუს" მცირე უპირატესობა აქვს - მეტოქის მოედანზე გატანილი გოლი. მაგრამ "ლიონის" ჩამოწერა ნაადრევია. გავიხსენოთ, რომ "იუნაიტედი" საფრანგეთში მარცხს ბეწვზე გადაურჩა. **კარლოს ტევესმა** ანგარიში თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე გაათანაბრა.

"მანჩესტერს" ჩემპიონთა ლიგის საშინაო მატჩებში შთამბეჭდავი სტატისტიკა აქვს. მიმდინარე სეზონში, ლიგის ჯგუფური ტურნირის სამ შეხვედრაში, "იუნაიტედმა" "ოლდ ტრეფორდზე" მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა. გუნდს ფრანგ მეტოქესთან ევროტურნირების საშინაო მატჩი არასოდეს წაუგია. "ეშმაკების" დღევანდელი ამოცანაც ეს არის, მაგრამ **სერ ალექს ფერგიუსონს** გამარჯვების იმედი აქვს: *"ყველა ფეხბურთელი აცნობიერებს, თუ რა მნიშვნელობის თამაშს ვმართავთ. კმაყოფილი ვარ, რომ შაბათს რუნისა და რონალდოს დასვენება მოვახერხე."*

"ფულჰემთან" შეცვლაზეც არ უთამაშია **რაიან გიგზს**. უელსელი ვეტერანი წვივის ტრავმას იშუშებდა. ის მწყობრშია და "ლიონთან" მატჩის განაცხადში იქნება. **ნემანია ვიდიჩი** გამოჯანმრთელდა, მაგრამ მისი ძირითადში ასპარეზობა საეჭვოა.

პირველი შეხვედრის შემდეგ "ლიონის" პრეზიდენტმა **ჟან მიშელ ოლამ** "მანჩესტერის" ხელმძღვანელობა უღირს საქციელში დაადანაშაულა. მოსიე ოლა იმ სპეკულაციებს გამოეხმაურა, რომელთა თანახმად მანჩესტერელებს მისი გუნდის წამყვანი თავდამსხმელის, **ქარიმ ბენზემას** შეძენა სურდა. ფერგიუსონი ოლას განცხადებას გუშინდელ პრესკონფერენციაზე გამოეხმაურა: *"ვფიქრობ, ის (ოლა) ზედმეტად გაცხარდა. "იუნაიტედის" ხელმძღვანელობას არასოდეს უთქვამს, რომ ბენზემას შეძენა სურს. ასეთი განცხადება არც მე გამიკეთებია და არც ახლა გავაკეთებ."*

საფრანგეთის ჩემპიონები ინგლისში კარგი განწყობით ჩავიდნენ. გასულ უქმეებზე მათ "ლილი" დაამარცხეს და ცხრილის სათავეში პოზიციები განიმტკიცეს. მთავარი მწვრთნელი **ალენ პერენი** დარწმუნებულია, რომ მის შეგირდებს მომდევნო ეტაპზე გასვლა შეუძლიათ.

შაბათს სეზონის პირველი მატჩი ჩაატარა ბრაზილიელმა მცველმა **კრისმა**. მან საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მოსიე პერენი თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე გადაწყვეტს, დააყენოს თუ არა უთამაშებელი ფეხბურთელი სეზონის ყველაზე მნიშვნელოვან შეხვედრაში. კრისის კონკურენტი **ჟან-ალენ ბუმსონგია**.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ვეს ბრაუნი, რიო ფერდინანდი, ოში (ან ვიდიჩი), ევრა, სქოულზი, ჰარგრივსი, ანდერსონი, რონალდო, რუნი, გიგზი.

**ლიონი:** კუპე, კლერი, კრისი (ან ბუმსონგი), სკილაჩი, გროსო, ბენ არფა, კალსტრიომი, ტულალანი, ჟუნინიო, გოვუ, ბენზემა.

**მსაჯი:** რობერტო როსეტი (იტალია)

### ბარსელონა-სელტიკი (3:2)

კატალონიელებმა პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურში ფიასკო იწვნიეს. ისინი მადრიდის "ატლეტიკოსთან" 2:4 დამარცხდნენ. "ბარსელონის" წაგებით უმალ ისარგებლა "რეალმა" და სხვაობა ხუთ ქულამდე გაზარდა. **ფრანკ რაიკაარდის** გუნდს ყველაზე მეტად ნახევარდაცვაში გაუჭირდა. "ატლეტიკომ" ბევრი იშრომა. "სელტიკიც" შეუპოვარი გუნდია. გლაზგოელებს ხასიათის სიმტკიცის ხარჯზე მეტოქისთვის პრობლემების შექმნა შეუძლიათ. მაგრამ ფავორიტი მაინც "ბარსელონაა". გუნდმა პირველი მატჩი, სტუმრად, 3:2 მოიგო.

მიმომხილველთა ერთი ნაწილი "ატლეტიკოსთან" წაგების მიზეზად **ლიონელ მესისა და იაია ტურეს** უთამაშებლობას ასახელებს. რაიკაარდმა ისინი "სელტიკთან" თამაშისთვის შემოინახა. წამყვანი ნახევარმცველი და თავდამსხმელი ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდებიან. *"მადრიდული მატჩი მომდევნო შეხვედრაზე ("სელტიკთან") გავლენას ვერ მოახდენს. ვაცნობიერებთ, რომ ძალიან ცუდად ვითამაშეთ. კარგად ვიცით, რა შეცდომები დავუშვით. ისიც ვიცით, რომ წაგება ჩვენი შეცდომების ბრალი იყო. ბოლო ორი დღის განმავლობაში ბევრი ვიმუშავეთ. ვფიქრობთ, ჩემპიონთა ლიგის მატჩისთვის მზად ვართ,"* - თქვა რაიკაარდმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

"სელტიკმა" შოტლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში "ჰიბერნიანს" მოუგო (2:0), მაგრამ "რეინჯერსმაც" გაიმარჯვა და ცხრილის სათავეში ოთხქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. "კათოლიკეთა" თავკაცი **გორდონ სტრაჩანი** ამბობს, თუ მომდევნო ეტაპზე გასვლა გვინდა, მეტოქეს სწრაფი გოლი უნდა გავუტანოთო: *"არ ვამტკიცებ, თუ ანგარიშს გავხსნით, მეოთხედფინალში აუცილებლად გავალთ-მეთქი, მაგრამ გოლის შემდეგ ბევრად უფრო კომფორტულია თამაში. შევეცდებით, პირველებმა ჩვენ გავიტანოთ."* სტატისტიკა სელტიკის წინააღმდეგ მეტყველებს. გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში, მეტოქის მოედანზე 16 მატჩი ჩაატარა და 15 წააგო, "ბარსელონა" კი ბოლო 21 საშინაო თამაშში მხოლოდ ერთხელ დამარცხდა.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, გაბრიელ მილიტო, აბიდალი, ჩავი, ინიესტა, იაია ტურე (ან დეკუ), რონალდინიო (ან ანრი), მესი, ეტოო.

**სელტიკი:** ბორუცი, კადისი, მაკმანუსი, კოლდველი, ნეილორი, ჰარტლი, მაკგიდი, დონატი, ნაკამურა, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, მაკდონალდი.

**მსაჯი:** პიეტერ ვინკი (ჰოლანდია)

### სევილია-ფენერბაჩე (2:3)

ანდალუსიელები ჩემპიონთა ლიგაში სადებიუტო სეზონს ატარებენ. დებიუტანტისთვის პლეი ოფში გასვლა უკვე წარმატებაა. თუ გუნდი მინიმუმ ერთი გოლის გატანასაც მოახერხებს, მეოთხედფინალში გავა. "ფენერბაჰჩე" სევილიას ერთბურთიანი უპირატესობით ეწვია. სევილიელთა პლუსი მეტოქის მოედანზე გატანილი ორი გოლია.

ორი კვირის წინათ თურქებმა გადამწყვეტი ბურთი თამაშის მიწურულს შეაგდეს. ეს ისტორიული გამარჯვება იყო. იქამდე "ფენერს" უეფას ეგიდით მიმდინარე ტურნირებში ესპანელი მეტოქე არასოდეს დაემარცხებინა და შვიდიდან შვიდივე მატჩი წაეგო (ბურთების ბალანსი 2:12).

"ფენერბაჰჩემდე" "სევილიას" თურქებთან მხოლოდ ერთი მატჩი ჰქონდა ჩატარებული - 2005-06 წლების უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში "გალათასარაისთან" (3:0). ანდალუსიელები შინ საუცხოოდ ასპარეზობენ. ბოლო ორ სეზონში, როდესაც გუნდმა უეფას თასი დაისაკუთრა, "სანჩეს პისხუანზე" ჩატარებული 14 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი წააგო. ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში კი, ჯგუფური ტურნირის სამივე შეხვედრაში გაიმარჯვა, მათ შორის, "არსენალთან" (3:1), რისი წყალობითაც ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა. აღსანიშნავია ისიც, რომ გუნდის საუკეთესო ფორვარდებმა, **ფრედრიკ კანუტემ** და **ლუიშ ფაბიანომ** სამივე საშინაო შეხვედრაში გაიტანეს გოლები.

"ფენერბაჰჩე" სტუმრად სუსტად ასპარეზობს. წლევანდელ სეზონში მას მეტოქის მოედანზე ერთხელაც არ მოუგია. სამაგიეროდ, ჯგუფურ ტურნირში, ცსკა-სა და "ეინდჰოვენთან" ორი საპატიო ფრე ითამაშა (2:2 და 0:0). **ზიკოს** შეგირდებისთვის ფრე საკმარისი იქნებოდა, რათა გუნდი ევროპის რვა საუკეთესოს შორის მოხვედრილიყო. აქვე გეტყვით, რომ ჩემპიონთა ლიგაში, "ფენერის" მიერ სტუმრად მოპოვებული უკანასკნელი წარმატება 2004 წლის 23 ნოემბრით თარიღდება. მას შემდეგ გუნდმა მეტოქის მოედანზე ექვსი თამაში ჩაატარა და ოთხი წააგო. სტატისტიკა თურქებს სანუგეშოს ვერაფერს ეუბნება. მათ პრობლემებს ისიც ართულებს, რომ ესპანეთში ვერ გაემგზავრა გუნდის ლიდერი და საუკეთესო მცველი, **რობერტო კარლოსი**, რომელიც "სევილიასთან" პირველი მატჩისას დაშავდა.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**სევილია:** პალოპი, ალვეში, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ადრიანო, ხესუს ნავასი, კეიტა, პოულსენი, დუდა, ლუიშ ფაბიანო, კანუტე.

**ფენერბაჰჩე:** ვოლქანი, გოქანი, ედუ, ლუგანო, სერდარი, სელჯუკი, აურელიო, უგური, დეივიდი, ალექსი, კეჟმანი.

**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)



ალენ პერენი დარწმუნებულია, რომ მის ლიონს მანჩესტერ იუნაიტედის დამარცხება შეუძლია

სერია A. მორიგი სამწვრთნელო ცვლა

# ულივიერი ელოდა, მაგრამ იმედიც ჰქონდა...

## ამ სეზონში რეჯინამ მეორე მწვრთნელი გაუშვა


ეროვნული ბიბლიოთეკა

რენცო ულივიერი უმუშევარი დარჩა

**რენცო ულივიერი** "რეჯინის" მწვრთნელი აღარ არის. "პალერმოსთან" შინ დაკარგულმა ქულებმა კლუბის პრეზიდენტ **ლილო ფოტის** რადიკალური ნაბიჯისკენ უბიძგა. მიუხედავად იმისა, რომ კალაბრიული კლუბი ბოლოსწინა ადგილზეა და რეალურად ემუქრება სერია B-ში გავარდნის საფრთხე, ულივიერის გაშვება მიმომხილველებმა მაინც ნაჩქარებ ნაბიჯად აღიქვეს. მაგრამ გააჩნია, ვისთვის ნაჩქარებია და ვისთვის დაგვიანებული. მაგალითად, ორი კვირის წინ "რეჯინამ" საკუთარ მოედანზე "იუვენტუსი" დაამარცხა (თუმც ამ გამარჯვებას ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა), მერე **ბიანკის** (თავისი ყოფილი ფორვარდი) პენალტით "ლაციოსთან" წააგო, კვირას კი უგოლო ფრეს დასჯერდა "პალერმოსთან" საშინაო შეხვედრაში. საინტერესოა, რომ "იუვესთან" მატჩამდე პრეზიდენტ ფოტის ულივიერის გაშვება აზრადაც არ მოსვლია: *"გაიხსენეთ, შარშან გადავრჩით იმ პირობებში კი, როცა 11 ქულა გვქონდა დაკლებული. იმედი მაქვს, ამას მიმდინარე სეზონშიც მოვახერხებთ".*

მაგრამ იტალიელი პრეზიდენტების გუნება-განწყობა მარტის ამინდივით იცვლება. დღეს ფოტი ასე ფიქრობს: *"კლუბი მადლობას უხდის ულივიერის გაწეული სამუშაოსთვის, მაგრამ ჩვენ, უბრალოდ, სხვა გზა აღარ გვაქვს",* - ნათქვამია "რეჯინის" ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ულივიერი კი, რომელიც სერია A-ს ყველაზე ასაკოვანი (67) მწვრთნელი გახლავთ, თურმე, ელოდა გადაყენებას: *"სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ეს ნამდვილად არ არის გასაკვირი, პირიქით, სამსახურის დაკარგვას ველოდი კიდეც. ისიც უნდა ვთქვა, რომ კლუბში ატმოსფერო და ურთიერთობები არ იყო მთლად მშვიდი და დალაგებული, რაც ასევე ჩემი პასუხისმგებლობის სფეროა. ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს... ვფიქრობ, გადაწყვეტილება ლოგიკურია. გუშინ არ დავბადებულვარ და ვიცი, რაც არის მწვრთნელის ცხოვრება. როცა საქმე კარგად არ მიდის, ჯოხი, პირველ რიგში, ჩვენზე ტყდება... თუმცა ისიც მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად საგანგაშო სატურნირო მდგომარეობისა, ჩვენ მაინც ვაგროვებდით ქულებს და ველოდით შეხვედრებს უშუალო კონკურენტებთან",* - ითქვა რადიო Kiss Kiss-თან ინტერვიუში.

და მაინც, "ბოლონიის" ყოფილი მწვრთნელი გულდაწყვეტილი ჩანს და ეს ბუნებრივიცაა. "რეჯინის" გადარჩენის შანსი არსებობდა, თუმცა კლუბმა ჩათვალა, რომ ამ ეტაპზე "ახალი სისხლი" იყო საჭირო. "დონორის" სახით, ფოტიმ ახალგაზრდული გუნდის დამრიგებელი **ნევიო ორლანდი** მონახა. ის დღეიდანვე შეუდგება მუშაობას. ამ ორ სპეციალისტს შორის, გამოცდილების მხრივ, უდიდესი სხვაობაა. თუმცა ხანდახან ისიც ხდება, რომ ახალი იდეები ვითარებას რადიკალურად ცვლის. ვნახოთ. ორლანდის დებიუტი მეტად მძიმე იქნება: 8 მარტს "რეჯინა" "ინტერს" გასვლაზე უნდა შეხვდეს.

ახლა კი შეგახსენებთ იმ სამწვრთნელო ცვლილებებს, რომელიც სერია A-ს მიმდინარე სეზონში მოხდა:

| კლუბი | ძვ/მწვრ | ახ/მწვრ |
| --- | --- | --- |
| ლივორნო | ორსი | კამოლეზე |
| რეჯინა | ფიკადენტი | ულივიერი |
| სიენა | მანდორლინი | ბერეტა |
| კალიარი | ჯამპაოლო | სონეტი |
| პალერმო | კოლანტუონო | გვიდოლინი |
| ემპოლი | კანი | მალეზანი |
| კალიარი | სონეტი | ბალარდინი |
| რეჯინა | ულივიერი | ორლანდი |

სერია A. ტურის გამოხმაურება

# არის თუ არა ინტერი კრიზისში?

## არბიტრებს მანჩინიც მისდგა. ჟულიო სეზარმა გოლი აღიარა, პენალტი არა




ჟულიო სეზარის შეცდომის შემდეგ, სალაიეტას გააქვს გამარჯვების გოლი ინტერის კარში

"ნაპოლისთან" ნაგების შემდეგ, იტალიურმა მედიამ დაასკვნა, რომ "ინტერი" კრიზისშია. მას შემდეგ, რაც "ნერაძურიმ" მთელი 31 ტური (წინა ჩემპიონატიდან მოყოლებული) დაუმარცხებლად განვლო, შესაძლოა, კრიზისზე საუბარი გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ ესეც ხომ ფაქტია: დღესდღეობით, **რობერტო მანჩინის** კრებული ჩვეულ თამაშს ვერ აჩვენებს, შესაბამისად, ქულებსაც კარგავს. ბოლო სამი შეხვედრიდან, "ნერაძური" ერთში დამარცხდა და ორჯერ ფრედ ითამაშა. ამასთან, პრესა იხსენებს "პარმასა" და "სიენასთან" ნაჩუქარი პენალტებით მოგებულ მატჩებსაც, და პლუს, მარცხს (0:2) "ლივერპულთან" საჩემპიონთალიგო მერვედფინალში, რაც მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებს მნიშვნელოვნად ამცირებს.

ის, რომ "ინტერი" ფორმაში არ არის, ამის აღიარება არც მანჩინის უჭირს: *"ჩვენ ახლა რთული პერიოდი გვიდგას. ბოლო ხანებში, ტრავმების გამო, ბევრი ფეხბურთელი დავკარგეთ. "რომას" გვარიანი სხვაობით ვუსწრებდით, მაგრამ ჰანდიკაპი შემცირდა და, შეიძლება ითქვას, საქმის თავიდან დაწყება გვიწევს. სხვათა შორის, ეს არ არის ცუდი, რადგან პარალელურად სტიმული და მოტივაცია იზრდება. მოდით, შევთანხმდეთ იმაზე, რომ ამგვარ ჩავარდნას ვერც ერთი გუნდი ვერ აუვლის გვერდს. დარწმუნებული ვარ, "ნაპოლისთან" წაგება საკუთარ ძალებში რწმენას ვერ დაგვიკარგავს. რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, უნდა ვაღიარო, რომ მეტოქე პირველივე წუთებიდან გვჯობდა. თუმც ისიცაა, რომ სალაიეტას გოლში ჩვენც მიგვიძღვოდა "წვლილი". ჟულიო სეზარმა მთელი მატჩი კარგად ჩაატარა, 11-მეტრიანიც მოიგერია, მაგრამ იმ ერთმა შეცდომამ თამაშის სურათი მომენტალურად შეცვალა".*

მიუხედავად იმისა, რომ მანჩინი მარცხის ძირითად მიზეზს "ნაპოლის" კარგ თამაშში ხედავს, იქვე აპელირებას აკეთებს მსაჯობაზეც, და ეს მაშინ, როცა "ინტერს" მუდმივად "ბრალდება" არბიტრებისგან კეთილგანწყობა. "ნერაძურის" თავკაცს მიაჩნია, რომ პენალტი, რომელიც **მარსელო სალაიეტამ** დაარტყა, არ უნდა დანიშნულიყო. ახლა, წარმოიდგინეთ მანჩინის რეაქცია, ურუგვაელს ეს 11-მეტრიანი რომ გაეტანა:

*"დიახ, ჩვენ დავუშვით შეცდომები და ამიტომაც წავაგეთ, მაგრამ არბიტრები არც ჩვენ გვწყალობენ. გარდა იმისა, რომ ჩვენს კარში დანიშნული პენალტი საეჭვოზე მეტი იყო, მიმაჩნია, რომ სავინი გაძევებას იმსახურებდა ბალოტელისთვის იდაყვის ჩარტყმის გამო. და როცა ჩვენს სასარგებლოდ ადგილი ჰქონდა მსაჯების მხრიდან საკამათო გადაწყვეტილებებს, რასაც ხშირ შემთხვევაში არ ვეთანხმებოდი, მედია უმალ იწყებდა სპეკულირებას იმაზე, თითქოს არბიტრები შეგნებულად გვეხმარებოდნენ. ახლა, ძალიან მაინტერესებს, რას იტყვიან დღევანდელ მსაჯობაზე".*

რაც შეეხება მეკარის შეცდომას, **ჟულიო სეზარმა** აღიარა, რომ სალაიეტას გოლში მართლაც მიუძღვოდა ბრალი: *"იმ მომენტში სამი ვარიანტი მქონდა. როცა ეპიზოდს ვაფასებდი, ჯერ მივიჩნიე, რომ ბურთი პირდაპირ ხელებში უნდა ამელო, ამისთვის მოვემზადე კიდეც და საჯარიმოს ხაზთანაც გავედი. მაგრამ მერე ვნახე, რომ ბურთის აღებას ვერ შევძლებდი, შესაბამისად, გადავწყვიტე - ან კიუსთვის გადამეწოდებინა, ან შორს მომეგერიებინა. მაგრამ ვერც ერთი მოვახერხე და ვერც მეორე. ყველაფერი წამებში ხდებოდა... ამიტომ, ბურთი სალაიეტას დარჩა და... მოკლედ, ამ ეპიზოდში პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ".*

შემდეგ, ჟულიო სეზარიც ამტკიცებს, რომ **ვალტერ გარგანოს** წინააღმდეგ წესი არ დაურღვევია: *"სადაც გნებავთ, იქ დავამტკიცებ, რომ პენალტი არ იყო. კიდევ კარგი, მოვიგერიე და გუნდს შანსი დავუტოვე. ამით, პირველ ტაიმში დაშვებული შეცდომაც ნაწილობრივ გამოვასწორე. მერე ვთხოვე კიდეც თანაგუნდელებს, როგორმე მოეგოთ თამაში და ჩემთვის ის ტვირთი მოეხსნათ. გვქონდა კიდეც შანსები, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ".*

# გადადგეს დირექტორატი! წავიდეს რანიერი!

## იუვეს მწვრთნელი: პრობლემები არის, ბრძოლას ვაგრძელებთ. იუვეს დირექტორატი საგანგებო შეხვედრაზე შეიკრიბა

"ფიორენტინასთან" საშინაო მარცხის შემდეგ, "იუვენტუსის" საჩემპიონთალიგო შანსები ეჭვის ქვეშ დადგა. "იებმა" მესამე საფეხურზე მყოფ ტურინელებთან სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირეს. "იუვეს" ნაგება მალამოსავით მიეცხო "მილანსაც", რომელიც "ბებერ ქალბატონს" უკვე 5 ქულით ჩამორჩება. შესაბამისად, მესამე-მეოთხე ადგილებისთვის ბრძოლა კიდევ უფრო მწვავდება. ამ ბრძოლაში უპირატესობა თავიდანვე **კლაუდიო რანიერის** გუნდს ენიჭებოდა, რაკი ევროტურნირებისგან თავისუფალი იყო. სპეციალისტებს ეგონათ, რომ "იუვეს" კრიზისი მხოლოდ მინიმალურად შეეხებოდა, განსხვავებით კონკურენტებისგან, რომლებიც ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასზეც გამოდიან. მაგრამ არც ასე მარტივად ყოფილა საქმე. რანიერის გუნდზე განსაკუთრებით ნეგატიურად იმოქმედა ორკვირიანმა არდადეგებმა. 2008 წელს "სინიორამ" 9 მატჩი გამართა, საიდანაც 3 მოიგო, 4 ფრედ ითამაშა და 2 წააგო. ეს არ არის ის შედეგი, რომელიც მათ ამბიციებს შეეფერება.

გუშინ, იტალიური პრესა ტიფოზების უკმაყოფილებაზეც წერდა. ალბათ, ეს იყო პირველი სერიოზული შემთხვევა, როცა წნეხის ქვეშ მწვრთნელი და მთლიანად კლუბის ხელმძღვანელობა მოექცა. *"გააგდეთ რანიერი!", "სეკო, ძალიან გთხოვთ, სახლში წადი!", "გადადგეს დირექტორატი სრული შემადგენლობით!", "ჯილი, თქვენ არ გაქვთ წარმატების გასაღები!",* - ამგვარი მოწოდებებით იყო სავსე იტალიური ინტერნეტ-ფორუმები.

არსებულმა სიტუაციამ "იუვენტუსის" დირექტორატი აიძულა, საგანგებო სხდომა დაენიშნა. გუშინ, პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილი**, გენერალური მენეჯერი **ჟან-კლოდ ბლანი** და სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** ორი საათის განმავლობაში დახურულ კარს მიღმა თათბირობდნენ. საგულისხმოა, რომ შეხვედრას არ დასწრებია რანიერი, თუმც ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისი გაშვების ალბათობა მაღალია. მწვრთნელის ნდობის მანდატი ჯერჯერობით მაღალია, ყოველ შემთხვევაში, დირექტორატის მხრიდან, მაგრამ ხელშეუხებელი არავინაა. შეხვედრიდან გამოსულმა სამეულმა კომენტარზე უარი თქვა. ცნობილი გახდა მხოლოდ ის, რომ ამ დღეებში ანალოგიური შეხვედრა უფრო წარმომადგენლობითი ფორმატით გაიმართება და მას, კლუბის მეპატრონეებთან ერთად, უკვე რანიერიც დაესწრება.

მწვრთნელს მიაჩნია, რომ მარცხის ძირითადი მიზეზი უკანა ხაზში დაშვებული შეცდომებია. თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. "იუვეს" დაცვაში რომ ცუდად ჰქონდა საქმე, ეს სეზონის სტარტზევე გამოჩნდა. რანიერი განმარტავს: *"ჩვენ გავიღეთ მძიმე საფასური მთელი რიგი ეპიზოდების გამო, რომელთა თავიდან აცილება ნამდვილად შეგვეძლო. ეს ძალიან ცუდია... ვიტყოდი, სამარცხვინოც კი, რადგან თამაშს მთლიანად ვაკონტროლებდით. პაპა ვაიგოს შემოსვლამ ყველაფერი შეცვალა. მან "ფიორენტინას" ძალა შემატა. ამის შემდეგ დავიწყეთ შეცდომების დაშვება დაცვაში, რამაც საბოლოო ჯამში მარცხამდე მიგვიყვანა. სამწუხაროდ, ორი სულელური გოლი გავუშვით".*

მატჩის შემდეგ "იუვეს" თავკაცი პრესამ რამდენიმე გადაწყვეტილების გამო გააკრიტიკა. "გაძეტა დელო სპორტის" აზრით, მთავარი შეცდომა **მაურო კამორანეზისა** და **ალესანდრო დელ პიეროს** შეცვლა იყო. კვლავ რანიერი: *"კამორანეზი და დელ პიერო იმიტომ შევცვალე, რომ მათ თამაშში ყველაფერი ჩადეს, რაც შეეძლოთ. ძალა აღარ ჰქონდათ და, შესაბამისად, მათგან გარღვევას აღარც ველოდი. ამიტომაც გავაკეთე აქცენტი იმ მოთამაშეებზე, ვისაც რაღაცის შეცვლა შეეძლო. რა თქმა უნდა, პრობლემები სახეზეა და ამაზე თვალის დახუჭვას არ ვაპირებთ. მაგრამ ამავე დროს, ჩვენ ბრძოლას ვაგრძელებთ".*



იუვეს პრეზიდენტ კობოლი ჯილის ტიფოზებმა გადადგომისკენ მოუწოდეს

თავის მხრივ, 1988 წლის 15 მაისის შემდეგ "ფიორენტინამ" ტურინში პირველად გაიმარჯვა. **ჩეზარე პრანდელი** გუნდის საჩემპიონთალიგო შანსებს გაცილებით იმედიანად უყურებს, ვიდრე ცოტა ხნის წინ იყო: *"ჩვენ დიდებული პირველი ტაიმი გვქონდა. ძლიერი მეტოქე, მისსავე მოედანზე, მძიმე წნეხში მოვაქციეთ და თამამად ვიტყვი, მეტიც დავიმსახურეთ. მეორე ნახევარში რისკზე წასვლა არ გვინდოდა. ასეთ დროს, ცოტა იღბალიცაა საჭირო. ბედნიერი ვარ, რომ ბიჭებმა სერიოზულად იმუშავეს, მიუხედავად იმ კრიტიკისა, რასაც ბოლო პერიოდში ჰქონდა ადგილი. ბედმაც არ გაგვწირა და დღეს ფეხბურთელებს შეუძლიათ, კრიტიკოსებს ამაყად შეხედონ თვალებში... აქ არ მინდა საუბარი იმაზე, თუ რომელ ადგილს დავიკავებთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ გამარჯვებამ, შეიძლება, უფრო წინ წაგვიყვანოს. დიახ, ამ ბიჭებს გაცილებით მეტი შეუძლიათ".*



შევჩენკოს გული
ისევ მილანისკენ მიუწევს

მოსალოდნელი ტრანსფერი

# შევჩენკო: მილანში ვბრუნდები!

## გალიანი შევას ლონდონში შეხვდა

**ანდრეი შევჩენკოს** "მილანში" დაბრუნების საკითხი კვლავ აქტუალურია. "ჩელსის" მწვრთნელი **ავრაამ გრანტი** უკრაინელ ფორვარდს არა და არ სწყალობს. **ჟოზე მოურინიოს** წასვლის შემდეგ ამ მხრივ არაფერი შეცვლილა, პირიქით, სიტუაცია უარესობისკენ წავიდა. ცხადია, ანდრეი ცდილობს, თავი დააღწიოს მოჯადოებულ წრეს და დაბრუნდეს იქ, სადაც მას დღემდე ელიან. "მილანის" ხელმძღვანელობას არაერთხელ უთქვამს, რომ შევჩენკოსთვის კარი ყოველთვის ღიაა. **სილვიო ბერლუსკონი** ნებისმიერ მომენტში მზადაა, "ჩელსისგან" მისი კონტრაქტი გამოისყიდოს. 2006 წელს, "სტემფორდ ბრიჯზე" ის 30 მილიონ გირვანქად გაუშვეს. ლონდონში კარგად იციან, რომ შევჩენკოს ამ ფასად ველარ გაყიდიან. **რომან აბრამოვიჩი** უნდა შეეგუოს იმას, რომ ზარალს ვერ ასცდება.

მაგრამ რამდენის გადახდა მოუწევს "მილანს"? ჯერჯერობით, მოსალოდნელი ტრანსფერის საფასურზე კომენტარები არ კეთდება, რადგან თავად ტრანსფერის საკითხიც არაა გადაწყვეტილი. რაც შეეხება გარიგების სპორტულ მხარეს, ერთი შეხედვით, "როსონერის" თავდასხმაში არ უნდა უჭირდეს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რეალურად კი, თუ რა ფასად უჯდება "მილანს" თითოეული გოლი, ამას ყველა ხედავს. **რონალდო** დიდი ხნით გამოვიდა მწყობრიდან, **ალბერტო ჯილარდინო** არასტაბილურია, **ფილიპო ინძაგის** კი პერმანენტულად ტრავმები აწუხებს. რაც შეეხებათ **ალეშანდრე პატოსა** და **ალბერტო პალოსკის**, ისინი ჯერ ახალგაზრდები არიან და გვერდით შევჩენკოს დარი ფორვარდი ნამდვილად არ აწყენდათ.

მოკლედ, შევას "მილანის" თავდასხმაში გაჩენილი ბზარის ამოვსება შეუძლია. ამასწინათ, მან თავის მეგობრებთან ლაპარაკში უთქვამს, სერიოზულად ვფიქრობ იტალიაში დაბრუნებაზეო. "დეილი მეილი" მისი და **ადრიანო გალიანის** ლონდონურ შეხვედრაზეც საუბრობს. "მილანის" მაღალჩინოსანი შევჩენკოს ბრიტანეთის დედაქალაქში შეხვდა ორი კვირის წინ, როცა იტალიური გრანდი "არსენალს" სტუმრობდა. გაზეთი ამტკიცებს, რომ გალიანიმ და ჯერჯერობით "ჩელსის" ფორვარდმა წინასწარი შეთანხმება დადეს. ალბათ, ახლო მომავალში ამ თემაზე უფრო მეტი ინფორმაცია იქნება და ჩვენც დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

სარაგოსა

# ირურეტა წავიდა

## არაგონელთა ბანაკში კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა

ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „სარაგოსამ" აუტსაიდერ „ლევანტესთან" სენსაციური მარცხი ინვნია (1:2). არაგონული კლუბი გასავარდნ ზონაში აღმოჩნდა. მას სამშვიდობოსაგან ერთი ქულა აშორებს. ორშაბათს მთავარმა მწვრთნელმა **ხავიერ ირურეტამ** გადადგომის განცხადება დაწერა. სარაგოსელთა პრესსამსახურმა დაადასტურა ინფორმაცია ცნობილი სპეციალისტის წასვლის თაობაზე. მან ამ კლუბში მხოლოდ ექვსი მატჩი ჩაატარა, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება ვერ შეძლო. უფრო მეტიც, „სარაგოსა" უფრო ღრმა კრიზისში ჩაიძირა. ირურეტას გადადგომას წინ უძღოდა ზედიზედ ოთხი წაგება, რამაც კლუბის მდგომარეობა უკიდურესად გაართულა.

„ლევანტესთან" ნამატჩევს სენიორ ხავიერმა გაზეთ „მარკას" განუცხადა: *„ძალიან დალონებული ვარ. აუცილებლად გვჭირდება გამარჯვება, თანაც, რაც შეიძლება, მალე. წინააღმდეგ შემთხვევაში, კატასტროფა გარდაუვალია. „სარაგოსა" ის გუნდი არ არის, რომელიც პრიმერა დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისათვის უნდა იბრძოდეს. მას გაცილებით ამბიციური მიზნები უნდა გააჩნდეს."*

სეზონის წინ სარაგოსელები ჩემპიონთა ლიგის საგზურზე აცხადებდნენ პრეტენზიას. გუნდმა წინა ჩემპიონატი მეექვსე ადგილზე დაასრულა. ზაფხულში კი ბრაზილიელი თავდამსხმელი **რიკარდო ოლივეირა** და არგენტინელი მცველი **რობერტო აიალა** იყიდა. **დიეგო მილიტოს, პაბლო აიმარისა** და **ანდრეს დალესანდროს** საუცხოო თამაში გულშემატკივარს მომავლის იმედს უსახავდა, მაგრამ არაგონელთა გეგმებს განხორციელება არ ეწერა. იანვარში მთავარი მწვრთნელი **ვიქტორ ფერნანდესი** დაითხოვეს. მისმა შემცვლელმა, მეორე გუნდის თავკაცმა **ანდერ გარიტანომ** მხოლოდ ერთი კვირა იმუშავა. შემდეგ მის ადგილზე „დეპორტივოს" ყოფილი თავკაცი **ხავიერ ირურეტა** დანიშნეს. დალესანდრომ ბარგი ჩაალაგა და წავიდა. აიმარმა მძიმე ტრავმა მიიღო და ხანგრძლივი დროით გამოეთიშა ფეხბურთს. უცნაური ისაა, რომ კლუბის ფორვარდი დიეგო მილიტო პრიმერა დივიზიონის მეორე საუკეთესო ბომბარდირია. მის აქტივში 14 გოლია.



ხავიერ ირურეტა



მარკუს მერკმა საფინალო სასტვენის შემდეგ
მლადენ პეტრიჩს და მთელ დორტმუნდს მოუბოდიშა

მსაჯი

# მერკი: მაპატიეთ, დორტმუნდელებო!

## მსაჯმა შეცდომა აღიარა და ვიდეორეფერი მოითხოვა

ბრემენში, "ვერდერთან" წაგებული მატჩის შემდეგ, დორტმუნდის "ბორუსიის" თავდამსხმელმა **მლადენ პეტრიჩმა** თქვა ის, რასაც აბსოლუტურად ყველა დორტმუნდელი ფიქრობდა - დღეს მსაჯმა წაგვაგებინაო. გაგიკვირდებათ და შეცდომა ყველაზე გამოცდილმა გერმანელმა არბიტრმა, დოქტორმა **მარკუს მერკმაც** აღიარა - "ვერდერისა" და "ბორუსიის" შეხვედრაში სწორედ ეს უკანასკნელი მსაჯობდა. მერკმა 44-ე წუთზე ბრემენულ კლუბს გოლი ჩაუთვალა - არადა, გამეორებაზე ნათლად ჩანს, რომ **მარკუს როზენბერგი** თამაშგარე მდგომარეობაში იყო. მერე იყო კიდევ ერთი ეპიზოდი, სადაც მერკი შეცდა: მან დორტმუნდელ **ტინგას** გოლი არ ჩაუთვალა, რის გამოც BVB-ს ფეხბურთელებისგან ქოქოლა კიდევ ერთხელ დაიმსახურა.

მსაჯის თქმით, ყველაზე ცუდი ის იყო, რომ როზენბერგიკს ეპიზოდი მთელმა სტადიონმა ტაბლოზე განმეორებით იხილა. *"ეს არ არის სწორი! ჰო, ჩვენ შევცდით, მაგრამ კიდევ უფრო უარესი ის არის, რომ ტრიბუნებზე შეკრებილ ქომაგებს გამეორების ნახვის საშუალება აქვთ. მეც მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი და მერე მთელი მატჩის განმავლობაში თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი. ასე ცუდად ჩემს 20 წლიან კარიერაში არასდროს ვყოფილვარ,"* - განაცხადა მერკმა.

არის თუ არა ეს კიდევ ერთი მიზეზი, რომ ფეხბურთში ე.წ. ვიდეომსაჯის ინსტიტუტი დაინერგოს? რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, თვითონ მერკი ამის მომხრეა! *"დიახ, ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება, რომ ვიდეომსაჯი შემოვიღოთ. ამას რომ ვამბობ, არ ვფიქრობ მხოლოდ როგორც მსაჯი, არამედ თავს ფეხბურთელის ან ქომაგის ადგილზეც წარმოვიდგენ და ვხვდები, რომ ეს უბრალოდ აუცილებელია. მით უმეტეს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები ამის საშუალებას იძლევა. ვფიქრობ, შეცდომისგან არავინაა დაზღვეული და ისეთი შეცდომა, როგორიც მაგალითად დღეს დავუშვი, ნებისმიერი არბიტრისთვის უპატიებელია! სწორედ ამიტომაა საჭირო ვიდეომსაჯის ინსტიტუტი,"* - აცხადებს მერკი.

გერმანელი არბიტრი ამბობს, მთავარია, რომ ამით ფეხბურთის ტემპი არ შენელდეს და ემოციებმა არ იკლოს, თორემ სხვა მხრივ პრობლემა არ იქნებაო. თუმცა, მაგალითად, მერკის კოლეგა **ტორსტენ კინჰიოფერი** ვიდეო-მსაჯის სასტიკი წინააღმდეგია და მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევაში უფრო მეტ უაზრო დისკუსიას მივიღებთ.

*"ტექნიკურად ეს შესაძლებელია, მაგრამ მე მაინც სკეპტიკურად ვარ განწყობილი,"* - აცხადებს გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი **თეო ცვანციგერი**, - *"ასეთ შემთხვევაში ზეწოლა კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან მაყურებლები მსაჯს ყოველ საკამათო ეპიზოდზე გამეორებას მოსთხოვენ და ფეხბურთშიც გაცილებით მეტი ულამაზო პაუზა იქნება."*

გოტფრიდ ლენცი

ბაიერნი

# რიბერი უკვე 40 მილიონი ღირს

## სოსა კი ძალიან გაუფასურდა

როცა "ბაიერნმა" მარსელის "ოლიმპიკიდან" **ფრანკ რიბერი** შეიძინა, აბსოლუტურად ყველა ექსპერტი შეთანხმდა იმაზე, რომ 24 წლის ფრანგი ნახევარმცველი შესანიშნავი შენაძენი იყო. მაგრამ საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერისგან მაინც არავინ ელოდა იმას, რომ ფრანკი მიმდინარე სეზონს ასე შესანიშნავად წარმართავდა. გასულ შაბათს რიბერიმ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დღევანდელი "ბაიერნი" მასთან ერთად და მის გარეშე ორი, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული ცნებაა.

სწორედ რიბერის დამსახურებაა ის, რომ რეკორდმაისტერმა გელზენკირხენში 1998 წლის 17 ოქტომბრის შემდეგ პირველად მოიგო - **მიროსლავ კლოზემ** გამარჯვების გოლი სწორედ ფრანკის იდეალური პასით გაიტანა. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ექსპერტები, სკაუტები და საფეხბურთო მრჩევლები დაკითხეს და საბოლოოდ ასეთ დასკვნამდე მივიდნენ: რიბერის ფასი დღესდღეობით მინიუმ 40 მილიონი ევროა! და ეს მაშინ, როცა ბავარიელებმა გასულ ზაფხულს მის სანაცვლოდ მხოლოდ 25 მილიონი გადაიხადეს. ფაქტია, რომ თუ ასე გააგრძელებს, მომავალ ზაფხულში რიბერის ფასი ერთი წინანდელთან შედარებით უკვე გაორმაგებული იქნება.

*"ჩვენ კარგად ვიცოდით, რაც შეეძლო ამ ფეხბურთელს და მასში ამდენი ფული ამიტომაც გადავიხადეთ. პირადად მე დარწმუნებული გახლდით, რომ რიბერი იმედებს არ გაგვიცრუებდა. ჩემს დროს "ბაიერნი" ფრანც ბეკენბაუერის ან გერდ მიულერის გარეშე წარმოუდგენელი იყო. ასეა ახლაც: რეკორდმაისტერი რიბერის გარეშე უკვე ველარ წარმომიდგენია,"* - ეს სიტყვები მიუნხენური გიგანტის გენერალურ მენეჯერ **ული ჰიონესს** ეკუთვნის. ჰიონესი ბედნიერია იმით, რომ ფრანკს კონტრაქტი 2011 წლამდე გაუფორმა. თუმცა ლიდერის გაყიდვას, მისი ფასი რომც გაოთხმაგდეს, მაინც არ გეგმავს.

მოდით, გადავხედოთ იმ ფეხბურთელების სიას, რომლებიც "ბაიერნმა" ამ სეზონისთვის იყიდა და ვნახოთ, როგორ შეიცვალა მათი ფასები ტრანსფერის განხორციელებიდან დღემდე. თვალშისაცემი ის გახლავთ, რომ არგენტინელ ნახევარმცველ **ხოსე ერნესტო სოსას** ფასი ძალიან დააკლდა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ისიც **ხულიო დოს სანტოსის** ბედს გაიზიარებს...

| ფეხბურთელი | გადახდილი თანხა | დღევანდელი ფასი |
|---|---|---|
| ფრანკ რიბერი | 25 (მილ) | 40 (მილ) |
| ლუკა ტონი | 11 | 14 |
| მიროსლავ კლოზე | 12 | 20 |
| იან შლაუდრაფი | 1 | 3 |
| ჰამით ალთინთოფი | უფასოდ | 4 |
| ხოსე ერნესტო სოსა | 6 | 2.5 |
| მარსელ იანსენი | 12 | 12 |
| ზე რობერტო | უფასოდ | 2 |
| ბრენო | 12 | 8 |

# ჰოლანდია: ვან მარვეიკი ორი წლით

ჰოლანდიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად **ბერტ ვან მარვიიკი** იმუშავებს. ინფორმაცია „ფეიენოორდის" თავკაცის მოსალოდნელი აღზევების თაობაზე დაახლოებით ერთი თვის წინ გავრცელდა. ვან მარვიიკმა მაშინვე დაადასტურა, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს მართავდა, მაგრამ მათ დასრულებამდე კომენტარების გაკეთებისაგან თავს იკავებდა. და აი, გუშინ, ვან მარვიიკმა და ჰოლანდიურმა ფედერაციამ ურთიერთობა ოფიციალურად გააფორმეს. მისტერ ბერტი ეროვნულ გუნდში მომდევნო ორი წლის განმავლობაში იმუშავებს და ჰოლანდიელებს მსოფლიოს ჩემპიონატზე გაუძღვება. მასთან თანამშრომლობის გაგრძელება ამ ხნის განმავლობაში ნაჩვენებ შედეგებზე იქნება დამოკიდებული. ჰოლანდიელთა დღევანდელი თავკაცი **მარკო ვან ბასტენი** თანამდებობას ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე დატოვებს. ის „აიაქსში" გადადის. ვან ბასტენს ამსტერდამულ გრანდთან კონტრაქტი უკვე გაფორმებული აქვს. ახლა გასარკვევი მხოლოდ „ფეიენოორდის" მომავალი მწვრთნელის ვინაობა რჩება.

# ესპანიოლმა დე ლა პენიაც დაკარგა

"ესპანიოლის" ექიმებმა **ერნესტო ბალბერდეს** შემაშფოთებელი ინფორმაცია მიაწოდეს. "ვალენსიასთან" მატჩის 33-ე წუთზე **ივან დე ლა პენიამ კანეირასთან** ორთაბრძოლაში ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. იმავე საღამოს "ესპანიოლის" ვეტერანი ვარსკვლავი საავადმყოფოში გააქანეს და დაადგინეს, რომ ბარძაყის კუნთი აქვს გაწყვეტილი და სულ მცირე ერთი თვე ვერ ითამაშებს. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ კატალონიელებს წელს ამ თვალსაზრისით ფატალურად არ უმართლებთ. ფაქტობრივად, არ დარჩა ფეხბურთელი, რომელსაც ტრავმა არ მიეღო. ყველაზე მტკივნეული, რა თქმა უნდა, ლიდერების მწყობრიდან გამოსვლაა. **რაულ ტამუდო** ლაზარეთიდან ჯერაც არ დაბრუნებულა. ახლა კი მას დე ლა პენიაც შეუერთდა. ივანი საკუთარი მდგომარეობით ძალიან წუხს: *"დასანანია, რომ ტრავმა მივიღე და საკმაოდ ხანგრძლივი დროით მომიწევს უქმად ყოფნა. სულელური ეპიზოდი იყო. კანეირას ნამდვილად არ სურდა, რომ დავშავებულიყავი. უბრალოდ, არ გამიმართლა და ახლა საწვრთნელი ბაზის ნაცვლად ექიმებთან სიარული მომიწევს. გული მწყდება, რომ მადრიდის "რეალთან" ვერ ვიასპარეზებ. ბიჭებს ყოველმხრივ დავეხმარებოდი. რა გაეწყობა, ისლა დამრჩენია, ბედს შევეგუო და ექიმებს დავუჯერო."*

# ირანი ალი დაეის ჩააბარეს

ირანის ნაკრების მთავარი მწვრთნელად **ხავიერ კლემენტე** მაინც არ დაინიშნა. ამ ინფორმაციის ორგზის დადასტურების მიუხედავად, ესპანელი მწვრთნელი ირანის ფეხბურთის ფედერაციას თანამშრომლობის პირობებზე ვერ მოურიგდა. საბოლოოდ თეირანში მათსავე ვარსკვლავზე, **ალი დაეიზე** შეაჩერეს არჩევანი. დაეის კანდიდატურა ყოველთვის დღის წესრიგში იდგა. მას იმთავითვე სარეზერვო კანდიდატად მოიაზრებდნენ, თუკი რაიმე მიზეზის გამო ევროპელ სპეციალისტთან შეთანხმება არ შედგებოდა. როდესაც კლემენტესთან მოლაპარაკებები პირველად შევიდა ჩიხში, მაშინაც ალი დაეის დანიშვნის ამბავი გვაუწყეს. და აი, თეირანიდან კვლავ ანალოგიური შინაარსის ინფორმაცია მოგვივიდა. თუ ალიზე საბოლოოდ შეაჩერებენ არჩევანს, მას ორწლიანი კონტრაქტს გაუფორმებენ. ირანის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელს ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე გაყვანა დაევალება. ის 39 წლისაა. ნაკრებში 140-ზე მეტი თამაში ჩაატარა. კარიერის საუკეთესო წლები კი ბუნდესლიგაში გაატარა. ეროვნულ გუნდში დანიშვნამდე ის თეირანის "საიპას" ავარჯიშებდა.

ინტერვიუ სერხიო აგუეროსთან

# მარადონა ღმერთია, მე კი აგუერო ვარ

## ახალგაზრდა არგენტინელმა ფორვარდმა ბარსელონას წინააღმდეგ კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა



სერხიო აგუერომ ბარსელონასთან გაიბრწყინა

გასულ შაბათს "ატლეტიკომ" "ბარსელონა" პირწმინდად გაანადგურა. მადრიდელებმა შეხვედრა დამაჯერებელი ანგარიშით, 4:2 მოიგეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ "როხიბლანკოს" ტრიუმფი სერხიო აგუეროს ფანტასტიკურმა თამაშმა განაპირობა. ახალგაზრდა არგენტინელმა მხოლოდ ორი გოლი არ იკმარა. მან თანაგუნდელ მაქსი როდრიგესს საგოლე პასიც მიაწოდა. გარდა ამისა, აგუერომ ის პენალტი აიკიდა, რომელიც დიეგო ფორლანმა გოლად აქცია. ბუნებრივია, ეს ყველაფერი საკმარისზე მეტი იყო, რათა "დიარიო ასს" "ატლეტიკოს" ვარსკვლავისგან ინტერვიუ აეღო.

**- "ბარსელონას" წინააღმდეგ ჩატარებული შეხვედრის შემდეგ როგორ გრძნობდით თავს?**

- ჩემი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ, თუმცა ყველაზე მეტად მოპოვებული სამი ქულა მახარებს. "ატლეტიკომ" უმნიშვნელოვანესი შეხვედრა მოიგო. გუნდი საკმაოდ რთულ სიტუაციაში იმყოფებოდა და გამარჯვება ძალიან სჭირდებოდა. ნებისმიერ ფასად უნდა მოგვეგო. ბედნიერი ვარ, რომ დასახულ მიზანს მივაღწიეთ.

**- თქვენ ამ დიდი მატჩის ნამდვილ გმირად იქეცით. ორი გოლი, საგოლე გადაცემა, პენალტი...**

- მართალი ბრძანდებით. ასეთ შეხვედრებს ყოველდღე ვერ ჩაატარებ. საქმე მართლაც კარგად გამომდიოდა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მთელმა გუნდმა იყოჩაღა. ისეთ დროს მაძლევდნენ ზუსტ პასებს, როცა თამაშის გამწვავების კარგი შანსი მქონდა. მადლობა ღმერთს, საგოლე მომენტები გამოვიყენე და "როხიბლანკოს" გამარჯვებაში დავეხმარე. მოკლედ, ყველაფერი მართლაც შესანიშნავად გამომივიდა.

**- ამ შეხვედრიდან ყველაზე კარგად რა დაგამახსოვრდათ?**

- "ატლეტიკოს" მეორე გოლი. მართალია, მე არ გამიტანია, მაგრამ საგოლე იერიშში მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანე. საჯარიმოში შევიჭერი და მაქსის პასი მივაწოდე. მან, როგორც ყოველთვის, ბურთი ჩინებულად დაამუშავა და გაიტანა. ჩემი აზრით, ძალიან ლამაზი კომბინაცია გამოვიდა. რაც მთავარია, ეს გოლი მაქსის ჰაერივით სჭირდებოდა. გარდა ამისა, ისიც ხაზგასასმელია, რომ ეს ბურთი პირველი ტაიმის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე შევაგდეთ და ამით დავწინაურდით. ჩემი აზრით, სწორედ ეს იყო გადამწყვეტი მომენტი.

**- შაბათს კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარეთ?**

- დიახ. უდავოა, ცხოვრებაში ასე შთამბეჭდავად არ მითამაშია. არგენტინაშიც მქონდა დაუვიწყარი მატჩები, თუმცა ეს მაინც განსაკუთრებული შემთხვევა იყო, რადგან ჩვენი მოწინააღმდეგე "ბარსელონა" გახლდათ. იმ ულამაზეს საღამოს არასოდეს დავივიწყებ. ყველა ძალიან ბედნიერები ვიყავით.

**- შეუძლებელია, ასეთ შეხვედრაზე არ გეოცნებათ...**

- რა თქმა უნდა. გულწრფელად შემიძლია მოგახსენოთ, რომ ასეთ მატჩზე ბავშვობიდან ვოცნებობდი... არგეტინაში პატარაობისას ბევრჯერ მიყურებია ტელევიზორით დიდი თამაშებისთვის და გამიფიქრია, ნეტავ ისე მოხდეს, რომ "ბარსა" და სხვა გრანდები დავამარცხო-მეთქი. ღმერთს მადლობას მოვახსენებ, რომ ოცნება რეალობად მიქცია. "ბარსელონა" სწორედ მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უპირველესი გრანდია და მისი დამარცხება ამიტომაც მახარებს განსაკუთრებულად.

**- შაბათს მოპოვებული გამარჯვებით, "რეალს" გაუმართეთ ხელი...**

- ასეთი საკითხები არ მაინტერესებს. მთელი კვირის განმავლობაში საუბრობდნენ, თუ "ვისენტე კალდერონზე" "ბარსელონა" დამარცხდება, "ატლეტიკო" ამით უპირველეს მოწინააღმდეგეს, მადრიდის "რეალს" გაუმართავს ხელსო. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ეს არანაირ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, ისევე როგორც თითოეული ჩემი თანაგუნდელისთვის. კატალონიელებისთვის წართმეული სამი ქულა ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაში დაგვეხმარება. რაც მთავარია, გულშემატკივრები გავახარეთ. ბედნიერებაა, როცა შენსავით ბედნიერ ინჩასებს უყურებ. მოკლედ, "ატლეტიკო" მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდა და "რეალის" ინტერესები ოდნავადაც არ აღელვებდა. უბრალოდ, რაღაცეები ერთმანეთს დაემთხვა.

**- მარადონას გვაგონებდით. მოწინააღმდეგეებს უპრობლემოდ ატყუებდით და თამაშს ამწვავებდით...**

- ჟურნალისტებს როგორ გიყვართ ასეთი შედარებები (იცინის). ყოველთვის ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, მარადონა ერთადერთია, ის ფეხბურთის ღმერთია! დიეგოს, რა თქმა უნდა, ვერავინ შეედრება. ასეც რომ არ იყოს, მსურს, მსოფლიომ ჩემი სახელით გამიცნოს. ცხადია, უაღრესად სასიამოვნოა, როცა მარადონას მადარებენ, მაგრამ ხომ ყველამ იცის, მარადონა ღმერთია, მე კი აგუერო ვარ.

**- "ატლეტიკო" მეოთხე ადგილზეა. ამ გამარჯვების შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის პერსპექტივა უფრო რეალურად მოჩანს...**

- "ბარსას" დამარცხებით გამოწვეულ ბუნებრივ ეიფორიას სასწრაფოდ თუ არ დავძლევთ, საქმეს გავირთულებთ. თუ მომდევნო ტურებში ფრეს ვიკმარებთ, ან სულაც წავაგებთ, "ესპანიოლი" ან "სევილი" წამოგვეწევიან და ჩემპიონთა ლიგის ზონიდან გამოგვაგდებენ. ვიზიარებ იმ ადამიანთა მოსაზრებას, რომლებიც ამტკიცებენ, რომ წარმატებისთვის ნაბიჯ-ნაბიჯ სიარულია საჭირო. "ატლეტიკომ" ყოველ უქმეებზე უნდა დაამტკიცოს, რომ ამბიციური ამოცანების გადაჭრა შეუძლია. ჩვენი მიზანი უცვლელია, მესამე, ან მეოთხე ადგილზე უნდა გავიდეთ. მჯერა, ამ მიზანს მივაღწევთ.

**- წინა წლების სტატისტიკას თუ გავიხსენებთ, "ატლეტიკო" მუდამ ერთი და იმავე პრობლემის მსხვერპლი ხდებოდა. გადამწყვეტ მომენტებში გუნდი სტაბილურობას კარგავდა და დასახულ მიზანს ვერ აღწევდა. ხომ არ გეშინიათ, რომ წელსაც იგივე გამეორდება?**

- არა, ამისი არავის ეშინია. აბსოლუტურად ყველას სწამდა, რომ "ბარსელონას" დამარცხების უნარი შეგვწევდა. თუ კატალონიელებს მოვუგეთ, სხვებს რატომ ვერ დავამარცხებთ? სხვათა შორის, ანგარიში მათ გახსნეს, მაგრამ ჩვენ მაინც ვიყოჩაღეთ და გავიმარჯვეთ. გუნდმა შესაშური ბრძოლისუნარიანობა და გამარჯვებისადმი ლტოლვა გამოამჟღავნა. სწორედ ამ თვისებების იმედი გვაქვს. მოკლედ, საშიში არაფერია. მთავარია, "ატლეტიკომ" შესაძლებლობების დიდი ნაწილი გამოამჟღავნოს.

**- ბოლო დროს, ხშირად გაძევებენ. "ბოლტონთან" მატჩშიც დაისაჯეთ წითელი ბარათით. როგორ გრძნობთ ხოლმე თავს ასეთი ინციდენტების შემდეგ?**

- "ბოლტონთან" შეხვედრის შემდეგ ძალიან ცუდად ვიყავი. მეორე ტაიმში შევედი მოედანზე. ინგლისელები აშკარად დაღლილები იყვნენ და მივხვდი, რომ გოლის გატანა შეგვეძლო. სრულიად მოულოდნელად, გვერდითმა არბიტრმა მთავარ მსაჯს უთხრა, რომ მოწინააღმდეგეს შევაფურთხე. არადა, მსგავსი არაფერი გამიკეთებია. უბრალოდ, გვერდზე გადავაფურთხე. მიუხედავად ამისა, წითელი ბარათი ამომიღეს. უკიდურესად სასოწარკვეთილი დავრჩი, რადგან განმეორებით შეხვედრაში მონაწილეობის უფლება დავკარგე. რა გაეწყობა, ეს საფეხბურთო ინციდენტებია. არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი, რომელიც უსამართლოდ დაისაჯა, თუმცა იმედია, რომ მომავალში მსგავსი უსიამოვნებები აღარ შემემთხვევა.

**- ამ ინციდენტს ჭკუის სასწავლებლად გამოიყენებთ?**

- რა თქმა უნდა, ასეთი ინციდენტები თავად გასწავლიან ჭკუას. ამიერიდან, არც ერთ მხარეს აღარ გადავაფურთხებ. არანაირი გარანტია არ არსებულა იმისთვის, რომ მოწინააღმდეგის შეურაცხყოფა არ დაგაბრალონ. ზოგადად ძნელია, შეხვედრის განმავლობაში ირბინო და ერთხელაც არ გადაიფურთხო. უხერხული თემაა, მაგრამ ეს ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა. როგორც ჩანს, ამ მომენტში თავი უნდა დავხარო და მინდორზე დავაფურთხო.

**- რა განსხვავებაა წლევანდელ და შარშანდელ აგუეროს შორის?**

- გასულ სეზონში რამდენიმე ბრწყინვალე და ბევრი ნორმალური მატჩი ჩავატარე. შარშან ადაპტაციას გავდიოდი. მორალური მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ გამიუმჯობესდა, რაც 20-წლამდელთა მუნდიალზე გავიმარჯვე. საკუთარ შესაძლებლობებში ბოლომდე დავრწმუნდი და მივხვდი, რომ "ატლეტიკოში" ტრიუმფალური კარიერის გაკეთება შემეძლო. ახლა სულ რაღაც 19 წლის ვარ. გამიჭირდება ზუსტად თქმა, სიბრძნე შემემატა თუ არა, მაგრამ ახლა გაცილებით უფრო მშვიდად ვგრძნობ თავს და იმედი მაქვს, რომ უდიდეს წარმატებას მივაღწევ.

**- თქვენს მომავალს "ატლეტიკოში" ხედავთ?**

- ადრეც ვთქვი და კვლავ გავიმეორებ, რომ სხვა გუნდებზე არ ვფიქრობ. "ატლეტიკოში" ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს. ხელმძღვანელები და გულშემატკივრები შესანიშნავად მეპყრობიან. ასე რომ, სერხიო აგუეროს ერთადერთი მიზეზი "როხიბლანკოში" გენიალური კარიერის გაკეთებაა.

**- როგორ ფიქრობთ, ხავიერ აგირესთან დიდ ხანს მოგიწევთ მუშაობა?**

- წინა დღეების განმავლობაში ჩვენი მთავარი მწვრთნელის მისამართით მრავალი კრიტიკული მოსაზრება გამოითქვა. საკმაოდ დაძაბული ვითარების მიუხედავად, ფეხბურთელებს ხავიერ აგირეს შესაძლებლობებში ეჭვი წამითაც არ შეგვპარვია. საკმარისი გახდა, "ატლეტიკოს" "ბარსელონა" დაემარცხებინა აგირეზე საუბარი სულ სხვა ტონში დაიწყეს.

**- სეზონის დასრულებამდე რამდენი გოლის გატანას გეგმავთ?**

- იმ ფეხბურთელთა კატეგორიას არ განვეკუთვნები, რომლებიც ამა თუ იმ რაოდენობის გოლის გატანის პირობას დებენ. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თავდაუზოგავად ვითამაშებ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ "ატლეტიკოს" წარმატებების მიღწევაში დავეხმარო.

**- დარწმუნებული ვარ, "ბარსასთან" მატჩის შემდეგ უამრავი მილოცვა მიიღეთ. ყველაზე მეტად ვინ გაგახარათ?**

- ჩემმა ნათლია დარიომ. მან არგენტინაში მთელ ჩემ ოჯახთან ერთად ნახა ის მატჩი. მომიყვა, როცა მეორე გოლი გაიტანე, ისეთი ღრიალი მოვრთე მთელი კვარტალი დავაყრუეო (იცინის). თურმე ისევე როგორც მე, მაისურა გაუხდია და სახლის დიდ დარბაზში გადარეულივით დარბოდა. ჩვენ ძალიან შორს ვიყავით ერთმანეთისგან, მაგრამ მაინც ერთად ვიყავით. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ემოციური ისტორიაა.

**ილია ნიკოლაიშვილი**



არიენ რობენი ისევ ტრავმირებულია

რეალი

# შუსტერს რობენი გამოაკლდა

## სამეფო კლუბს ვან ნისტელროიც ვერ დაეხმარება?

"რეკრეატივოსთან" პრიმერადივიზიონური დაპირისპირების გამართვის შემდეგ, "რეალის" ფეხბურთელებს დასვენებისთვის დრო არ მისცეს. სამეფო კლუბი დედაქალაქში იმავე ღამით დაბრუნდა. დილით კი ბიჭები "სიუდად რეალში" სავარჯიშოდ გამოცხადდნენ. ისინი "რომასთან" განმეორებითი საჩემპიონთალიგო მერვედფინალისთვის უნდა მოემზადონ.

**ბერნდ შუსტერს** შესუსტებულ შემადგენლობასთან უწევს მუშაობა. საქმე ის არის, რომ "რეკრეატივოსთან" მოპოვებული ჰაერივით საჭირო გამარჯვება "რეალს" ძალიან ძვირად დაუჯდა. ერთ-ერთ ეპიზოდში **კიკე ალვარესმა არიენ რობენს** მიზნობრივად გამეტებით ჩაარტყა ფეხში. ჰოლანდიელმა სამედიცინო დახმარების მიღების შემდეგ ასპარეზობა განაგრძო, თუმცა რამდენიმე წუთში ისევ აუტანელი ტკივილი იგრძნო და მოედანი დატოვა. შინ დაბრუნების შემდეგ რობენი კლუბის მთავარმა ექიმმა **ალფონსო დელ კორალმა** ტრავმატოლოგიურ კლინიკაში წაიყვანა და სამედიცინო შემოწმება ჩაუტარა. აღმოჩნდა, რომ ჰოლანდიელს კოჭი აქვს ნაღრძობი. ეს კი ნიშნავს, რომ ის "რომასთან" მატჩში ვერ იასპარეზებს. "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგების შემდეგ არიენი მეოთხედ დაშავდა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ "ჩელსიდან" მოუშუშებელი ტრავმით შეიძინეს. ალბათ, დაგვეთანხმებით, გაუთავებელი ტრავმებით ფეხბურთელი და გუნდის ხელმძღვანელობა თანაბრად დაიტანჯნენ. გუშინ **პრედრაგ მიატოვიჩმა** რობენის მორიგი ტრავმის გამო დაუფარავი მწუხარება გამოთქვა: "არიენი ძალიან დაგვაკლდება. კიკე ალვარესი ისე მოიქცა, როგორც ნამდვილი ნაძირალა. შეუძლებელია, არ დაენახა, რომ ბურთს ვეღარ მიწვდებოდა, თუმცა ფეხი მაინც არ მოხარა და კოლეგას აბსოლუტურად მიზანმიმართულად ტრავმა მიაყენა. ამის გამო სერიოზულად დავზარალდით. იმედია, რობენი მალე გამოჯანმრთელდება და დიდი ხნით არ გამოგვაკლდება. უზომოდ დამწუხრებული გახლავართ. წინ ხომ ძალიან საპასუხისმგებლო შეხვედრები გველის."

შესაძლოა, "რომასთან" პაექრობაში "რეალს" **რუუდ ვან ნისტელროიც** ვერ დაეხმაროს. "ვან გოლს" ის ტრავმა ჯერაც არ მოუშუშებია, რომლის გამოც "რეკრეატივოსთან" გასვლითი მატჩი გამოტოვა... თუმცა სამეფო კლუბის ექიმები იმედს არ კარგავენ, რომ რუუდი მალე ჩადგება მწყობრში და იტალიური კლუბის დამარცხებაში მონაწილეობას მიიღებს.

ამასობაში, უელვის მატჩის გმირმა, **რობინიომ** უაღრესად სასიხარულო ინფორმაცია შეიტყო. სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა ბრაზილიელის თამაშით იმდენად მოხიბლულია, რომ მასთან კონტრაქტის გახანგრძლივება გადაწყვიტეს. **პრედრაგ მიატოვიჩი** ფეხბურთელის მენეჯერს, **ვაგნერ რიბეიროს** დაუკავშირდა და უახლოეს დღეებში შეხვედრა შესთავაზა. მოსალოდნელია, რომ გენერალური დირექტორი მას ხელშეკრულების 2013 წლამდე გახანგრძლივების წინადადებით მიმართავს. კულუარული ინფორმაციით, "რეალი" რობინიოს იმაზე მეტს გადაუხდის, ვიდრე კაკა "მილანში" იღებს.

ხორხე ვალდანოს წიგნი

# საფეხბურთო ისტორიები

გაგრძელება. დასაწყისი №41

## ყველაზე მწარე დამარცხება

... ფინალი ჯერ დაწყებული არ იყო. "მარაკანასკენ" მიმავალ ქუჩებში მიაბიჯებდნენ ახალგაზრდები და მოხუცები, მამაკაცები და ქალები, მდიდრები და ღარიბები, ყველანი ბედნიერები იყვნენ იმ შეგრძნებით, რომ დღეს ბრაზილია მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა.

- რამდენს გავუტანთ ურუგვაელებს? - წამოიყვირა ვილაცამ ბრბოში.

- ექვსს, შვიდს, რვას, ცხრას... - ყველა მხრიდან გაისმა პასუხი.

ურუგვაის ნაკრების კაპიტანმა **ობდულიო ვარელამ** თავისი სამუშაო ფინალის წინათ დღეს, 1950 წლის 15 ივლისს დაიწყო. მან ხელში აილო გაზეთი "ო მუნდო", რომლის პირველ გვერდზე ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელთა ფოტოები იყო დაბეჭდილი, ზემოთ კი გიგანტური ასოებით ეწერა: *"ესენი მსოფლიო ჩემპიონები არიან"*. ვარელამ ბრაზილიაში ურუგვაის საპატიო კონსულს **მანუელ კაბალიეროს** სთხოვა, გაზეთის ოცი ნომერი მიეტანა მისთვის, თან თითით აჩვენა ფოტოებზე და თქვა: *"დიდი ბოდიში სენიორებო: თქვენ უკვე წაგებულები ხართ"*. შემდეგ მთელი გუნდი თავის სასტუმრო ნომერში შეკრიბა, გაზეთებიდან პირველი გვერდები ამოხია, ერთად დაკუჭა, უნიტაზში ჩაყარა და ზედ დააფსა.

30 წლის შემდეგ მან აღიარა, რომ *"... ის მატჩი ასჯერ რომ გადაეთამაშათ, ასივე შემთხვევაში ურუგვაელები წაგებულები დარჩებოდნენ. მაგრამ მატჩამდე მაინც არ დანებდებოდნენ"*.

1950 წელს ჩატარებული აღწერის თანახმად, ბრაზილიის მოსახლეობა 52 მილიონ ადამიანს შეადგენდა. ქვეყანა ეროვნული იდეის ძიებაში იყო, რომელიც ბრაზილიის განვითარებას ბიძგს მისცემდა. შესაძლოა ამიტომაც, ანტროპოლოგი **რობერტო და მატა** მრავალი წლის შემდეგ წერდა: *"ალბათ, 1950 წლის ფინალი ყველაზე დიდი ტრაგედია იყო თანამედროვე ბრაზილიის ისტორიაში, რადგან ამან გაამძაფრა მარტოობის გრძნობა და გაერთიანების იდეა ჩაახშო"*.

მთელი ბრაზილია საკუთარ თავს თავის სათაყვანებელ, წარმატებულ და არტისტულ ნაკრებთან აიგივებდა. იტალიური "გაძეტა დელო სპორტი" წერდა: *"ეს ნაკრები თავის თავში აერთიანებდა მეცნიერებას, ხელოვნებას, ბალეტსა და ცირკსაც კი"*. გაზეთი ბრაზილიელთა ლიდერ **ზიზინიოს ლეონარდო და ვინჩის** ადარებდა, რომელსაც ამოუცნობი ხაზები გამოჰყავდა "მარაკანას" უზარმაზარ ტილოზე.

## ჭეშმარიტების მომენტი

დღე, რომელიც ბრაზილიისთვის საყოველთაო გლოვით დასრულდა, ბრწყინვალედ იწყებოდა. ქაოტური, კოლორიტული, აღგზნებული დემონსტრაცია "მარაკანასკენ" სწრაფი ნაბიჯითა და ფართო ღიმილით მიდიოდა. და პირიქით, ურუგვაელების ავტობუსი დუნედ მიემართებოდა დანიშნულების ადგილისკენ. თითქოს მიცვალებული მიჰყავდათ.

სადღაც შუადღისთვის მთელი ბრაზილია სტადიონის გარშემო იყო შეკრებილი. რიო დე ჟანეირო გაირინდა, ქუჩები და პლაჟები დაცარიელდა. ცხოვრება მხოლოდ "მარაკანაზე" ჩქეფდა და რადიოტალღებით გადაეცემოდა მთელს ქვეყანას.

**პელე** სულ ათი წლის იყო და რეპორტაჟს თავის ოჯახთან ერთად მშობლიურ ბაურუში, პატარა სახლში უსმენდა; ესპანეთის მომავალ მეფეს **ხუან კარლოსს** 12 წელი შეუსრულდა და მას წარმოდგენაც არ ჰქონდა ამ დღის მთავარ მოვლენაზე; **ემილიო ბუტრაგენიოს** მშობლები ჯერ არ იცნობდნენ ერთმანეთს; დედაჩემი ჩემს უფროს ძმაზე იყო ფეხმძიმედ, მე კიდევ ხუთი წელი მაკლდა დაბადებამდე... სამწუხაროა, რომ იმ დღეს "მარაკანაზე" არ ვიყავი. ამ გიგანტურ სასაფლაოზე, სადაც დღის ბოლოს იმედი დასამარდა.

ადგილობრივი ნაკრები მატჩამდე კარგა ხნით ადრე დაბანაკდა გასახდელში. ფაფუკი ხალიჩები და ზომიერი განათება სიჩუმეს კარგად ავსებდა. კერპები ისვენებდნენ და თამაშზე ფიქრობდნენ. შემდეგ მოთამაშეებმა ფორმის ჩაცმა დაიწყეს და თან ჩუმად ლოცულობდნენ.

დაძაბულობა იგრძნობოდა, რომელსაც ოდნავი შიშიც ახლდა თან. ბრაზილიელების მწვრთნელი **ფლავიო კოსტა** მხოლოდ ერთს სთხოვდა ფეხბურთელებს: არ წამოეგონ მოწინააღმდეგის პროვოკაციებს. მოთამაშეები ომახიანად პასუხობდნენ და ტაშის კვრით ამხნევებდნენ ერთმანეთს.

- ჩვენ მზად ვართ!

- მაშინ წინ!

და მოთამაშეები გასასვლელისკენ გაეშურნენ: მეკარე **ბარბოსა**, მცველები **აუგუსტო, ჟუვენალი** და **ბიგოდე**, შუახაზი და თავდასხმა: **ბაუერი, დანილო, ზიზინიო, ჟაირი, ფრიასა, ადემირი** და **ჩიკო**. თეორიულად შეუძლებელია წარმოიდგინო უკეთესი შემსრულებლები, ვიდრე ისინი, რომელთათვისაც იმ დღეს ჭეშმარიტების მომენტი უნდა დამდგარიყო. ეს მათ კარგად იცოდნენ. მაგრამ როგორ გინდა ნერვებს გაუმკლავდე? უნდა უკანასკნელად მოინდომო, უკანასკნელად აჩვენო ყველაფერი, რაც შეგიძლია. ბუცების ქაცვები ტყავისგან კეთდებოდა და ტუნელის იატაკთან კონტაქტში ისინი ნამდვილ მუსიკალურ ნაწარმოებს წარმოქმნიდნენ. გვირაბის ბოლოს სინათლე გამოჩნდა, ე.ი. მინდორზე გასასვლელი ახლოა. *"წინ ბრაზილია, უკან დასახევი გზა მოჭრილია"*.

ურუგვაის გასახდელში ყველანი იმ ჯარისკაცებს ჰგავდნენ, რომლებიც მართალი საქმისთვის სიცოცხლეს არ დაიშურებენ. მწვრთნელი სიმშვიდისკენ და მეტოქის პატივისცემისკენ მოუწოდებდა მათ. მისი თქმით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სპექტაკლის გაფუჭება და ბრაზილიაში ურუგვაის ისედაც შერყეული იმიჯის კიდევ უფრო შელახვა.

ურუგვაის ნაკრებს **ხუან ლოპესი** ავარჯიშებდა. მან ტრადიციისამებრ დაცვა ოთხი ფეხბურთელისგან შეადგინა. კარი გაილო და გასასვლელისკენ თითო-თითო დაიძრნენ: მეკარე **მასპოლი**, მცველები **გამბეტა, ტეხერა, მატიას გონსალესი** და **ვიქტორ როდრიგეს ანდრადე**, ნახევარმცველები ობდულიო ვარელა, **ხულიო პერესი, პეპე სკიაფინო** და ფორვარდები **ხიგია, მიგესი** და **მორანი**. 11 რჩეული, რომლებიც მზად იყვნენ ეჩვენებინათ garra charrua - "რკინის კლანჭები". იმ სალამოს შემდეგ ეს განსაზღვრება სამუდამოდ მიეჯაჭვა ურუგვაელთა თამაშის სტილს. ეს ძალიან ზუსტი განსაზღვრებაა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ "ჩარუას" ეძახდნენ ინდიელებს, რომლებიც მდინარე ლა პლატას აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ. სხვადასხვა წყაროების ცნობით, სწორედ მათ დაიჭირეს და შეჭამეს დონ **ხუან დიას დე სოლისი** და იმ ეკიპაჟის რვა მეზღვაური, რომელიც ლა პლატას შესართავს 1516 წელს მიადგა.

გვირაბის გავლისას, ობდულიო ვარელამ საჭიროდ ჩათვალა შეეხსენებინა თანაგუნდელებისთვის, რომ ისინი მამაკაცები არიან: *"ტრიბუნებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. თამაში ქვემოთ, მინდორზე გაიმართება. ისინიც თერთმეტნი არიან და ჩვენც"*. ყველაფერი ეს მესაფლავისთვის დამახასიათებელი საშინელი ყრუ ხმით წარმოთქვა. ურუგვაელებმა გვირაბი გაიარეს და "მარაკანას" მოედნის ცენტრისკენ დაიძრნენ.

14:30 საათზე მინდორზე ჯერ ბრაზილია გავიდა, მას ურუგვაელები მიჰყვნენ. მათი მომლოდინე 200 ათასმა ინჩასმა ცა შეძახილებით, ხტომით, დროშებითა და ალმებით შეაზანზარეს... უფრო სწორედ, გაყიდული ბილეთების მიხედვით მათი რაოდენობა 173850 იყო და ამას ემატებოდა 30 ათასი მიწვეული სტუმარი. ფეხბურთის მატჩს ამხელა აუდიტორია არც მანამდე და არც შემდეგ არ ჰყოლია. დანარჩენი ქვეყანა რადიომიმღებებთან იყო მოკალათებულნი.

ფოტოგრაფებისთვის მხოლოდ ბრაზილიელი ფეხბურთელები არსებობდნენ. ეს ობდულიო ვარელას შეუმჩნეველი არ დარჩენია. *"ამ მაიმუნებს თავი დაანებეთ და ჩვენ მოგვყევით - ჩემპიონები ჩვენ გავხდებით"*, - უთხრა მან ურუგვაელ ფოტოგრაფს.

ნაკრებები სამთავრობო ლოჟის წინ დადგნენ. ინგლისელმა მსაჯმა **ჯორჯ რიდერმა** თავისი იმპერიის ძალა იგრძნო, როცა იმ ქვეყნის ჰიმნი შესრულდა, რომელმაც ფინალზე მსაჯი გამოგზავნა. გვერდითი არბიტრები იყვნენ **ელისი** (ინგლისი) და **მიტჩელი** (შოტლანდია).

მსაჯისგან მარჯვნივ, ცისფერ მაისურებსა და შავ ტრუსებში გამოწყობილი ყველა ურუგვაელი ცრემლებად იღვრებოდა, როცა ეროვნული ჰიმნის სიტყვებს ჩურჩულებდა. მარცხნივ, მთლიანად თეთრებში გამოწყობილი ბრაზილიელი ღმერთები ტრიბუნებთან ერთად მთელი ხმით მღეროდნენ თავიანთ ჰიმნს.

შემდეგ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. სტადიონის 254 ხმის გამაძლიერებელში რიო დე ჟანეიროს ფედერალური ოლქის პრეფექტის, გენერალ **მენდეს დე მორაიშის** აშკარად არაპროტოკოლური სიტყვები გაისმა: *"თქვენ, ბრაზილიელებს მსოფლიო ჩემპიონებად მიგიჩნევთ. თქვენ, მოთამაშეები ორი საათის შემდეგ მილიონი თაყვანისმცემლის გასახარად გამარჯვებულებად გამოცხადდებით. მთელს დედამიწაზე არ მოიძებნება თქვენი მეტოქე. თქვენ ყველაზე ძლიერები ხართ და მოგესალმებით, როგორც ტრიუმფატორებს!"* ამ სიტყვის ერთადერთი საფუძველი ის იყო, რომ გენერალმა თავის დროზე სტადიონის მშენებლობის ნებართვა გასცა და 1948 წლის 2 აგვისტოს საძირკველში პირველი ქვაც მან ჩადო, რის გამოც "მარაკანა" ანჯელო მენდეშ დე მორაიშის მუნიციპალური სტადიონის სახელსაც ატარებდა.

შემდეგ ობდულიო ვარელამ, აუგუსტომ და ჯორჯ რიდერმა მოედნის მხარეები გაანაწილეს. წინა მატჩებში არჩევანის უფლება ყოველთვის ბრაზილიელებს რჩებოდათ, მაგრამ ამჯერად მონეტამ ურუგვაის მხარე დაიჭირა. "ცისფრების" კაპიტანი არც ისე გულისხმიერი აღმოჩნდა და აიძულა მეტოქე პირველ ტაიმში ის კარები დაეცვა, რომლის შეტევასაც იყო მიჩვეული. შემდეგ ობდულიო მინდორზე მისთვის განკუთვნილ ადგილას წავიდა ისე, რომ მსაჯისთვის ხელი არ ჩამოურთმევია. ეს "ჩარუა" არასოდეს წყალობდა მსაჯებს.

მოგვიანებით მაესტრო **ზიზინიო** ჯიუტად იმეორებდა: *"ეს არ იყო ჩვენი დრო. მათ ორი წლის, ორი თვის და თუნდაც ორი საათის შემდეგ რომ შევხვედროდით, ურუგვაელები ბურთებით სავსე ბადეს წაიღებდნენ შინ"*. შესაძლოა ის მართალია, მაგრამ სწორედ ეს მატჩი დაიწყო 1950 წლის 16 ივლისს, 14:55 საათზე. არბიტრმა ნიშანი მისცა და ადემირმა ჟაირთან გაითამაშა ბურთი.

შემონახულია იმ შეხვედრის ცოტა და თან ცუდი ხარისხის კინოგამოსახულება, მაგრამ არსებობს მოვლენათა ქრონოლოგიური ჩანაწერი. ამან საფუძველი მისცა მწერალ **კარლოს ექტორ კონის** ეთქვა, რომ "მან ღმერთის რწმენა დაკარგა". *"ამის შემდეგ, როგორ უნდა დაიჯერო ის, რომ 12 მოციქული ხედავდა ქრისტეს აღდგომას სიბნელეში?"*

ნაკრებს, რომელსაც მხოლოდ კარგად თამაში შეეძლო, პირველი საგოლე მომენტის შესაქმნელად 30 წამი დასჭირდა. ბრაზილიას ტრიუმფი ეჩქარებოდა და ამ პირველმა შეტევამ, რომელიც მასპოლიმ შეაჩერა, დამამშვიდებელი ოვაციები გამოიწვია: ბრაზილიას ყველაფერი შეუძლია. მანქანა, რომელმაც შესანიშნავ სტილში გადაუარა შვედეთს (7:1) და ესპანეთს (6:1), ხარვეზის გარეშე მუშაობს.

16-ჯერ აფეთქდა ტრიბუნები, 16-ჯერ გადავიდა კომენტატორი მშვიდი საუბრიდან ყვირილზე. ზოგიერთ შემთხვევაში დამაჯერებლად თამაშობდა მასპოლი, დანარჩენებში ბრაზილიელებს სიზუსტე აკლდათ.

ურუგვაი? ის ცდილობდა, გოლზე დამშეული ამ ურჩხულების დაწყნარებას. ძირითადად ბურთის მშვიდი გორებით. "შენ, მე, ისე შენ, ეხლა მეკარეს". და 30 წამი მოგებულია. "შენ, მე, ისევ შენ. ახლა შევეცადოთ ბურთი შორს მოვიგერიოთ, ვნახოთ რა გამოვა". და კიდევ 30 წამი გავიდა.

პირველ ტაიმში ურუგვაის ერთი კუთხურიც არ მოუწოდებია. მაგრამ საქმე არც ისე ცუდად იყო: ექვსი შეტევა განახორციელა, აქედან ორი საკმაოდ სახიფათო. ბრაზილია უკეთ კი თამაშობდა, მაგრამ ცოტას ნერვიულობდა. ამიტომაც, პირველი ტაიმის ანგარიში - 0:0 ურუგვაის აქტივში ჩაიწერა.

გაგრძელება იქნება





ინტერვიუ ნინო სალუქვაძესთან

# წინასაოლიმპიადო განწყობა



ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ წარმატებით იასპარეზა შვეცარიულ ვინთერთურში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე და ვერცხლის მედალი მოიპოვა. მან საკვალიფიკაციო ეტაპი 388 ქულით დაასრულა, რაც მეორე შედეგი აღმოჩნდა - მხოლოდ მომავალ ჩემპიონს, ბელარუს ვიქტორია ჩაიკას ჩამორჩებოდა. ფინალში ორივემ ერთნაირი შედეგი აჩვენა - 97,8 და თუმც ამ სერიაში სხვებმა აჯობეს, შესარჩევში მიღებული ფორით სტატუს-კვო მაინც შეინარჩუნეს. ცუდი ისაა, რომ სალუქვაძემ ბელარუსთან ჩამორჩენა ვერ აღმოფხვრა და ვერცხლს დასჯერდა.

სამწუხაროდ, ჩვენი გუნდის სხვა წევრებმა - ლევან ქადაგიძემ და ნინო უჩაძემ წარუმატებლად ისროლეს და არათუ მედლებს, ოლიმპიურ ლიცენზიებსაც ვერ შეწვდნენ. ამდენად, სალუქვაძეს მარტოს მოუწევს პეკინში გამოსვლა. სამაგიეროდ, ჩვენი ოლიმპიური გუნდის ყველაზე გამოცდილი წევრი იქნება - მეექვსე ოლიმპიადაზე იასპარეზებს და ამ მხრივ ქართული სპორტის ისტორიაში რეკორდსმენია. სალუქვაძე გუშინ დაბრუნდა შვეიცარიიდან და დაღლილობის მიუხედავად, ინტერვიუზეც დაგვთანხმდა.

**- უპირველესად, წარმატებას გილოცავთ. ვფიქრობ, ოლიმპიადისთვის ჩინებული განწყობა შეიქმენით. საინტერესოა, იქ წასვლამდე პროგრამა-მაქსიმუმი რა იყო?**

- ამ სეზონში უმთავრესი შეჯიბრებები ევროპის ჩემპიონატი და ოლიმპიადაა. ცხადია, კონტინენტის პირველობა ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი და გამოსაცდელი ტურნირია, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე ყველა სპორტსმენი გეგმავს წარმატებით გამოსვლას. ჩვენც მთელი შემართებიც ვემზადებოდით და შემოდგომა ისე ვივარჯიშეთ, დღე არ ჩაგვიგდია. შედეგები დეკემბერშიც მაღალი მქონდა, რაშიც დიდად დაგვეხმარა აზერბაიჯანის ტურნირში მონაწილეობა და მერე იმათი საპასუხო სტუმრობა აქაურ სტარტზე. ეს პატარა ტურნირებიც კი ძალიან წაგვადგა მომზადებაში როგორც ტექნიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად - უფრო მობილიზებულნი ვიყავით. მოგეხსენებათ, ჩვენ მხოლოდ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე და მსოფლიო თასის ეტაპებზე დავდივართ, ასეთი პატარა ტურნირები კი გვაკლია. მნიშვნელობა არა აქვს, აზერბაიჯანში წავალთ თუ სომხეთში, ის შეჯიბრება თავის საქმეს მაინც აკეთებს.

ამას ევროპის ჩემპიონატზე წასვლამდე გერმანიაში მოწყობილი ათდღიანი შეკრებაც დაემატა, სადაც ნაყოფიერად ვიმუშავეთ და ტექნიკურ საკითხებთან ერთად, ფიზიკურადაც ვემზადებოდით. სამწუხაროდ, ფიზმომზადებაც ძალიან გვაკლია, რადგან ადრინდელი სისტემა მოიშალა. მახსოვს, ადრე ისეთი სიმკაცრე იყო, შეკრების გაცდენას ვერავინ ბედავდა. მართალია, ჩვენ ისეთი დატვირთვით არ ვემზადებოდით, როგორც ვთქვათ, ძალოსნები, მაგრამ ჩვენი მოთხოვნების შესაბამისად ვვარჯიშობდით - ვემზადებოდით საერთო ფიზმომზადებაში, ვაბარებდით "კუპერის ტესტებს"... სამწუხაროდ, ახლა ეს სისტემა არაა, მაგრამ გერმანულმა შეკრებამ ნაყოფიერად ჩაიარა. სხვათა შორის, პატარ-პატარა ტურნირებს იქაც ვაწყობდით მობილიზაციისთვის. ამ ყველაფერმა შედეგი გამოიღო.

**- არა მხოლოდ მედლის თვალსაზრისით - ბოლოდროინდელი სტაბილურად მაღალი შედეგიც მისასალმებელია.**

- ცხადია, ესეც მახარებს, მაგრამ გული იმაზე მწყდება, რომ შარშან გერმანელმა კლაუდია ვერდიჩიომ 384 ქულით მოიგო ევროპის ჩემპიონატი, მე კი 388 გავაკეთე და მაინც მეორეზე დავრჩი. სხვათა შორის, შარშანწინაც ასე მოხდა ტალინში, როცა 387 დავაგროვე, მაგრამ სვეტლანა სმირნოვამ 389 გააკეთა. იოლად არაფერი მომდის - ვილაცა მაინც გამოხტება, რომელიც შენზე მეტს ისვრის... პრინციპში, ჩემი ბრალია, რადგან 94-ით დავიწყე. მერე კი მოვუმატე, მაგრამ დაკარგულს ვერ აინაზღაურებ. თუმცა იანვარში, ისევ გერმანიაში ჩატარებულ ტურნირზე უფრო დაბალი შედეგი ვაჩვენე, მაგრამ ის უფრო ახალ წლებს დავაბრალე და გული არ დამწყვეტია. საბედნიეროდ, ახლა ბევრად უკეთ ვისროლე.

**- ფინალში რამდენიმე ისეთი მსროლელი ვერ მოხვდა, ვინც ყველა ტურნირზე რეგულარულად გადის საუკეთესო რვაში. ეს ძალთა ახალ გადანაწილებაზე ხომ არ მიანიშნებს, თუ უბრალოდ, თავი დაზოგეს?**

- თუმცა შემთხვევით ხალხიც არ გასულა ფინალში. უცნობი მხოლოდ პორტუგალიელი ჟოანა კასტელაო შევიდა, რომელიც მანამ არც ვიცოდით, ვინ იყო, თორემ სხვები ყველანი ძლიერები გავიდნენ. თუმცა ესეცაა, რომ უკრაინელებმა, პოლონელებმა, ბულგარელებმა, დანიელმა მეიერჰოფმა და კიდევ რამდენიმე მსროლელმა სუსტად იასპარეზა და ფინალში ვერ გავიდა. ესპანელებმა ძალთა ბალანსი თითქმის იგივე დარჩება, ოლიმპიადაზე ამათ ჩინელები და მონგოლები დაემატებიან.

**- ტექნიკური თვალსაზრისით, იარაღს ხომ არ შეუქმნია რაიმე პრობლემა?**

- მოგეხსენებათ, პნევმატურში ისევ ძველ იარაღს დავუბრუნდი და, ეტყობა, თავდაჯერება ამანაც მომცა. მთავარი ესაა და გააჩნია, კონკრეტული ტურნირისთვის ფსიქოლოგიურად როგორ მოემზადები. მალე სპორტულში მზადებაზეც გადავალ, სადაც ახალი იარაღი ჩამომივიდა - ძველს ლულაში ცოტა დეფექტი შევნიშნეთ და ფირმამ მაშინვე გამომიცვალა. ის აბსოლუტურად იგივეა, უბრალოდ, ტარს გადავიტან ძველიდან და შეგუება არ გამიჭირდება.

**- ფსიქოლოგია ახსენეთ და ამ მხრივ საგანგებო მზადებას ხომ არ გეგმავთ?**

- ამ მხრივ ისედაც ვვარჯიშობთ და ასე გავაგრძელებთ.

**- ოლიმპიადამდე კიდევ რომელ ტურნირებში გამოხვალთ?**

- მალე მსოფლიო თასები დაიწყება, თუმცა პირველზე არ მივდივარ. ის რიო დე ჟანეიროში ტარდება და მას მალევე მოსდევს ჩინეთის ეტაპი, რომელიც, პარალელურად, ოლიმპიური კვირეულიც იქნება. იმედია, იქ გამიშვებენ, ბოლო ორი ეტაპი კი მილან-მიუნხენში ტარდება. ამის შემდეგ საერთაშორისო კალენდარში, ცოტა არ იყოს და მკვდარი სეზონია, მაგრამ სადმე რაღაც ტურნირი უნდა გამოვძებნოთ, თორემ ორთვიანი შესვენება გამოგვივა, მხოლოდ ვარჯიში კი საკმარისი არაა.

**- დაბოლოს, ქადაგიძისა და უჩაძის გამოსვლაზეც ვთქვათ...**

- უჩაძემ 376 ქულა დააგროვა, მაგრამ ლიცენზიის მოსაპოვებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა - 380-იან ზღვარს მაინც უნდა გადააბიჯო. სამწუხაროა, რომ მან შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა, თორემ ვარჯიშებიდან გამომდინარე, უკეთეს შედეგზეც მზად იყო. ქადაგიძემ თავისი შედეგი გააკეთა. მას ამ რანგის ტურნირზე ამხელა შედეგი ჯერ არც გაუკეთებია. მარცხის მიუხედავად, ის მაინც პერსპექტიულია, ნელ-ნელა იზრდება და მეტის მიღწევა შეუძლია.

**ირაკლი თავაძე**





ინგა ხურცილავა

საქართველოს ჩემპიონატი

# გრძელი ტური...

წლევანდელი ჩემპიონატი ყოველ ტურში გვაოცებს. ისეთი მოვლენების შემსწრენი ვართ, მოსაწყენად ვერ ვიცლით. სულაც არ ვწუწუნებთ, - პირიქით, ასეც უნდა იყოს და უნდა გითხრათ, რომ ასეთი ძლიერი, თანაბარძალოვანი პირველობა, ვგონებ, ჯერ არ გვქონია. და ამაში სულაც არ არის მცირე დამსახურება დებიუტანტების, - 16-17 წლის **ქეთი ნანალაშვილისა** და **სოფიკო გურამიშვილისა**. "ძველებიც" ხომ ისევ იბრძვიან და **ლელა ჯავახიშვილსაც** რომ ეთამაშა, მთლად უკეთესი გამოვიდოდა...

მეხუთე ტურის მთავარი მოვლენად არა ვინმეს გამარჯვებას ან მარცხს ჩავთვლით, არამედ უპრეცენდენტოდ გაგრძელებულ მატჩებს, რომელთაგან ერთმა, შესაძლოა საქართველოს ჩემპიონატების რეკორდიც კი მოხსნა... რეკორდსმენებიდან დავიწყოთ. შვიდი წყვილიდან ხუთმა "ნორმალურ" რეჟიმში დაასრულა თამაში ორი - **ინგა ხურცილავა-მაია ლომინეიშვილი** და **ნინო ხურციძე-ნინო ბაციაშვილი** ისევ იბრძოდა, - უკვე მეხუთე საათი კარგა ხნის დაწყებული იყო. ხურცილავა-ლომინეიშვილთან სურათი გამოკვეთილი ჩანდა - შავებით მოთამაშე მაიას ზედმეტი ეტლი ჰყავდა, მეტოქეს მხოლოდ ოთხი პაიკი. მართლია მერვე ჰორიზონტალამდე პაიკებს ბევრი არ აკლდათ, მაგრამ შავების მეფეც საჭირო ზონაში იყო და ერთი პაიკიც მნიშვნელოვან ზღუდედ ალმართულიყო E7 უჯრაზე. თუმცა ყურადღება და ზუსტი სვლების კეთება იყო აუცილებელი, რათა უპირატესობის რეალიზება მოეხდინა. ინგა პოზიციის უიმედობას კი გრძნობდა, მაგრამ სწორედ მეტოქის შეცდომას ელოდა. ლოდინმა დიდხანს გასტანა და როცა ლომინეიშვილმა მოგება მიითვალა, პარტიის დაწყებიდან ხუთი საათი და 10 წუთი იყო გასული. აქამდე ყველაზე დიდი დრო - ხუთი საათი **სალომე მელიასა** და **ნინო ხურციძის** მატჩში დაფიქსირდა მეორე ტურში. 10 წუთით კი "გაუმჯობესდა" მაჩვენებელი, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ დაემხო, რადგან გვერდითა დაფაზე ხურციძე-ბაციაშვილი ბრძოლას განაგრძობდნენ.

ამით შეხვედრა მეტად რთულად, ორმხრივ შეტევებში გაილია და მართალია, თეთრებით მოთამაშე ხურციძემ მიტელშპილში ეტლში ორი ფიგურა მოიგო; ორი პაიკით ჩამორჩა და მოგება რთული გახლდათ. სანამ დაფაზე ლაზიერები და ეტლები იყვნენ, კიდევ შეიძლებოდა მოსაგებად რაღაც გზების მონახვა, მაგრამ ასეთი გზა ვერც ერთმა იპოვა და ენდშპილში ლაზიერების გარეშე გადავიდნენ. მეხუთე საათის მიწურულს დაფაზე შავებს ეტლი და A პაიკი ჰყავდათ, რომელიც "დამკაში" გასასვლელად მიემართებოდა; საპირისპირო ფლანგზე კი თეთრებს თეთრუჯროვანი კუ და მხედარი შერჩენოდათ. სიზუსტეა საჭირო პაიკი ლაზიერში რომ არ გაგექცეს, თუმცა ამისთვის აუცილებლად ერთ-ერთი მსუბუქი ფიგურა, ამ კონკრეტული პოზიციიდან გამომდინარე კუ უნდა განირულიყო. შემდეგ კი რა მოხდებოდა, ღმერთმა უწყოდა: თეორიულად მეფით ეტლით მეფით და მხედრის დამარცხება შეიძლება, მაგრამ თუ სუსტი მხარე არ შეცდა, თავს დაიცავს. ასეც მოხდა: ბაციაშვილი ბევრს ეცადა, მაგრამ ხურციძემ შანსი არ დაუტოვა: ყაიმი დაფიქსირდა, მაგრამ არა უშუალოდ მეტოქეთა შეთანხმების საფუძველზე, - ხურციძემ მთავარი მსაჯი მოიხმო და განუცხადა - 50 სვლაზე მეტი გაკეთდა, რაც დაფიდან ბოლო პაიკი გაქრა და ყაიმს ვითხოვო. საჭადრაკო წესით, ასეთ დროს ყაიმი ფორმდება, მხოლოდ სვლათა რაოდენობა იყო დასაზუსტებელი. ბლანკები გადამოწმდა და რახან ცდომილება ვერ აღმოაჩინეს, ზავიც გააფორმეს. პარტიის ხანგრძლივობა კი 6 საათი და 15 წუთი გამოვიდა. ასეთი დრო ორი ათეული წლის წინ, შესაძლოა არავის გაკვირვებოდა, რადგანაც რეგლამენტი ხანგრძლივი იყო, მაგრამ რაც ფიდემ ახალი კონტროლი დააწესა, მსგავსი ხანგრძლივობა იშვიათობა გახდა.

ნახევარი ქულის შემატებამ ხურციძე ლამის საბოლოოდ ჩამოაშორა მედლებისთვის ბრძოლას - 1.5 ქულა აქვს და სამით ჩამორჩება ერთპიროვნულ ლიდერს **ნანა ძაგნიძეს**. ძაგნიძემ გუშინ შავებით დაამარცხა **სოფიო გვეტაძე**. აქაც საინტერესოდ წარმართა შეხვედრა. თავიდან თეთრებს გარკვეული პოზიციური პლუსები ჰქონდათ, მაგრამ შუა თამაშში გვეტაძე უხეშად შეცდა, ხარისხი დაკარგა და ფრიად პერსპექტიული შეტევა რამდენიმე სვლაში უპერსპექტივოდ იქცა. ძაგნიძე სტარტზე მშვენიერ სპორტულ ფორმას აჩვენებს და თუ ასე გააგრძელა, 5 წლის წინანდელი შედეგიც შეიძლება გაიმეოროს - 2003 წელში ისე იმარჯვა, ახლოსაც არავინ გაიკარა. ახლა დისტანცია ორი ნაბიჯით გასულია და არავის აქვს გარანტია, რომ შეინარჩუნებს მოპოვებულ ტემპს, ჩამორჩენილებს კი იმედიც არ დაშრობიათ - 8 ტურში ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

პირველი ნახევარი ქულა მოიპოვა **სოფიკო ნიკოლაძემ**, თანაც - შავი ფერით. მეტოქედ ლიდერებში მყოფი **სალომე მელია** ჰყავდა. დებიუტი სოფიკოსთვის კარგს არაფერს მოასწავებდა, მაგრამ შემდეგ ვითარება გამოასწორა და ბოლოს უნდა მოეგო კიდეც. სამწუხაროდ, ეს ვერ შეძლო და აღნიშნა - წინა ოთხი მარცხის შემდეგ ფსიქოლოგიურად ისე ცუდად ვარ, მოსაგებად საჭირო ძალების მობილიზება გამიჭირდაო. იმედია, სოფიო დაძლევს ამ მცირე კრიზისს და უფრო ლაღად ათამაშდება.

კვლავ გაახარა საკუთარი გულშემატკივრები **სოფიკო გურამიშვილმა**. მან ამჯერად შავებით სოფიკო ტერელაძეს აჯობა და თავის მხრივ ტურნირის კიდევ ერთი რეკორდსმენი გახდა: ასე სწრაფად - საათნახევარში ჯერ არავის უმარჯვია. პირველ ტურში ჭარხალაშვილმა ხურციძეს კი მოუგო, თანაც შავებით, მაგრამ ორ საათზე ცოტა მეტი დასჭირდა...

პირველი გამარჯვება მოიპოვა **სოფიკო ხუხაშვილმა** - თეთრებით **ბელა ხოტენაშვილი** დაამარცხა. აქამდე სოფოს ოთხჯერვე ქულა ჰქონდა გაყოფილი. სოფო ლიდერთა შორისაა 3.5 ქულით.

პირველი მარცხი იწვნია ტურნირზე **ქეთი ნანალაშვილმა**. მისი დამარცხება თეთრი ფერით **ინგა ჭარხალაშვილმა** მოახერხა. ქეთის 2.5 ქულა დაურჩა, ინგას კი 4 ქულა აქვს და მეორე ადგილზე იმყოფება.

დაბოლოს, გუშინ დედის დღე იყო და ცხადია, ყველას ვულოცავთ, მაგრამ განსაკუთრებით ტურნირში მონაწილე დედებს: **ინგა ხურცილავას, ინგა ჭარხალაშვილს, სოფიკო ტერელაძეს** და **სოფიკო ნიკოლაძეს**. სამწუხაროდ, სპორტული შედეგებით სრულად კმაყოფილი გუშინ მხოლოდ ჭარხალაშვილი იქნებოდა, მაგრამ ორგანიზატორთა მიერ მონაწილეთათვის ყვავილების მირთმევა, მაინც განსაკუთრებულად სასიამოვნო ჟესტი იყო...

მეხუთე ტური: **ინგა ხურცილავა-მაია ლომინეიშვილი-0:1; სოფიკო ხუხაშვილი-ბელა ხოტენაშვილი-1:0; სოფიკო ტერელაძე-სოფიკო გურამიშვილი-0:1; სოფიო გვეტაძე-ნანა ძაგნიძე-0:1; ნინო ხურციძე-ნინო ბაციაშვილი-0.5:0.5; ინგა ჭარხალაშვილი-ქეთი ნანალაშვილი-1:0; სალომე მელია-სოფიო ნიკოლაძე-0.5:0.5.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ნანა ძაგნიძე-4.5; 2. ინგა ჭარხალაშვილი-4; 3-5. სოფიკო გურამიშვილი, სალომე მელია, მაია ლომინეიშვილი-3.5; 6. სოფიკო ხუხაშვილი-3; 7-9. სოფიკო ტერელაძე, ქეთი ნანალაშვილი, ნინო ბაციაშვილი-2.5; 10-12. ბელა ხოტენაშვილი, სოფიო გვეტაძე-1.5; 13-14. ინგა ხურცილავა, სოფიო ნიკოლაძე-0.5.**

მეექვსე ტურში: **ლომინეიშვილი-ნიკოლაძე; ნანალაშვილი-მელია; ბაციაშვილი-ჭარხალაშვილი; ძაგნიძე-ხურციძე; გურამიშვილი-გვეტაძე; ხოტენაშვილი-ტერელაძე; ხურცილავა-ხუხაშვილი.**

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ლაბაძე ვარჯიშობს

სანამ ვაჟ ჩოგბურთელთა ახალ რეიტინგ-ლისტში ქართველთა მდგომარეობას გაგაცნობთ ვიტყვით, რომ ჩვენი ცნობით ვარჯიში განაახლა მსოფლიოს ყოფილმა 42-ე ჩოგანმა **ირაკლი ლაბაძემ**, რომელმაც ბოლოს შარშან „დევისის თასზე" ითამაშა. იმედია, ირაკლი 11-13 აპრილისთვის შეძლებს გამოჯანმრთელებას, როცა საქართველოს ნაკრები ბრატისლავაში სლოვაკეთს ესტუმრება. 26 წლის ლაბაძე კარგა ხანია რეიტინგში არ არის, რადგან ბოლო შეხვედრა ITF-ის ეგიდით 2006 წლის ნოემბერში გამართა.

ქართველთა პირველი ნომერი კვლავ 22 წლის **ლადო ჩიხლაძეა**, რომლის კარიერის ბედი ამ კვირაში გადაწყდება. შეგახსენებთ, რომ ლადომ არასაჩოგბურთო სიტუაციაში კისრის მძიმე ტრავმა მიიღო და მარტის დასაწყისში ექიმთა დასკვნას ელის შეძლებს თუ არა ჩოგბურთის თამაშს საერთოდ. ჩიხლაძე 87 ქულით მსოფლიოს 369-ე ჩოგანია, რაც წინა კვირის მაჩვენებელს ერთი ადგილით სჯობს. სხვები: 1221 (-1) **ნოდარ ითონიშვილი** – 4 ქულა, 1495 (-3) **გიორგი ხრიკაძე** და **გიორგი ჭანტურია** – 1-1.

ქალთა რეიტინგ-ლისტში **მაკა ჩახნაშვილს** 144 ქულა აქვს და ის მსოფლიო კლასიფიკაციაში 198-ე ადგილზეა (+1). 18 წლის **ანა ტატიშვილი** მსოფლიოს 288-ე (-1) ჩოგანია 82 ქულით. რეიტინგში ცვლილება არ შეხებია **სოფიო შაფათავას**, რომელიც კვლავ 409-ე ადგილზეა. სხვები: 502 (-) **თინათინ ყავლაშვილი** – 31 ქულა, 585 (+1) **სალომე დევიძე** – 22, 599 (-1) **მანანა შაფაქიძე** – 21, 647 (-5) **ოქსანა კალაშნიკოვა** – 18, 708 (-) **სოფიო ქვაცაბაია** – 15, 809 (-3) **ეკა გორგოძე** – 10, 873 (-1) **სოფიო მელიქიშვილი** - 8. ჩემპიონთა რბოლაში მხოლოდ ორი ჩვენებურია, მაკა ჩახნაშვილი 179-ე ადგილზეა, ხოლო ანა ტატიშვილი – 215-ეზე.

# გორგოძე წარმატებით ათამაშდა



ნიურნბერგში 18-წლამდელ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი ბავარიის ახალგაზრდული ჩემპიონატი გაიმართა, სადაც კარგად იასპარეზა 16 წლის **ეკა გორგოძემ**. ეკა ძირითადი ბადის პირველ წრეში სლოვაკ **ვერონიკა ზატეკოვას** გაუსწორდა – 6:3, 6:1. მეორე წრეში ქართველმა სენსაცია მოახდინა, როცა ტურნირის პირველი ჩოგანი, მასპინძელი **მარა ნოვაკი** დაამარცხა – 6:1, 7:5. ბავარიის ღია პირველობის მეოთხედფინალში გორგოძე რუმინელ **კრისტინა დინუს** შეხვდა. პირველი სეტი ჩვენებურმა 5:7 დათმო, მეორეში კი ტრავმა მიიღო და ასპარეზობა შეწყვიტა. ტრავმის მიუხედავად გორგოძემ წყვილთა თანრიგში ფინალურ მატჩში რუს **ეკატერინა ნიკიტინასთან** ერთად ითამაშა, სადაც გერმანულ დუეტთან (**ბროიტიგემი, იობსტი**) დამარცხდა – 6:2, 1:6, 1:6. ერთი კვირის წინათ გორგოძემ ფლევოლანდის ტურნირის ნახევარფინალში გაალწია. ამ ორმა ტურნირმა ეკა გორგოძე დაახლოებით ორასი ადგილით წაწია წინა ახალგაზრდულ რეიტინგში, სადაც გორგოძე დღეისათვის 378-ეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ექსკლუზივინტერვიუ — სპორტის აკადემია

# ახლებურად და გონივრულად

*სათაურში გამოტანილი სიტყვებით შეიძლება მოკლედ შეფასდეს ის შთაბეჭდილება, რაც აწ უკვე ყოფილი სპორტის აკადემიის წარმომადგენლებს დარჩათ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრ ნიკოლოზ ვაჩეიშვილთან გუშინწინ და გუშინ შეხვედრის შემდეგ. სწორედ ახლებური და პრობლემებისადმი გონივრული მიდგომა იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს. შეხვედრის მთავარ დეტალებზე "ლელოს" კორესპონდენტს ესაუბრება პროფესორი გურამ ძაგანია.*

*"ამთავითვე გეტყვით, რომ შეხვედრა მინისტრთან შედგა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის დავით ნამგალაურის თაოსნობით და მონადინებით. კარგია, რომ დიალოგი დაიწყო და ფაქტობრივად პრობლემის მოგვარების პერსპექტივა გამოჩნდა", - თქვა გურამ ძაგანიამ.*

**- ბატონო გურამ, ვიცით, რომ აკადემიელთა უმთავრესი მოთხოვნაა, ამ უმაღლესი სასწავლებლის სტატუსის აღდგენა. ამ კუთხით წარიმართა დიალოგი?**

- ეს მოთხოვნა, რა თქმა უნდა, ძალაში რჩება; მაგრამ საქმე უკვე იმდენად გაფუჭდა, ახლა ასე ერთბაშად სტატუსის აღდგენა უკვე არაერთ პრობლემასთანაა დაკავშირებული.

**- რას გულისხმობთ?**

- კარსაა მომდგარი ერთიანი ეროვნული გამოცდები, განსაზღვრულია სპეციალობები, კვოტები, სწავლების საფეხურები...

**- სადაც სპორტის აკადემია უკვე აღარ ფიგურირებს, არა?**

- რა თქმა უნდა, თავისი სტატუსით არა.

**- რა მიმართულებით წარიმართა დიალოგი, რაზე თანხმდებით?**

- ამ ეტაპზე ფუნქციონირება უნდა დაიწყოს ფაკულტეტმა, რაც, რა თქმა უნდა, წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ერთ-ერთ ფაკულტეტთან არსებული სპორტული ცენტრის სტატუსთან შედარებით.

**- როგორია მინისტრის პოზიცია?**

- არ დაგიმალავთ და იმ ფონზე, რაც გადავიტანეთ, ყველანი გაგვაოცა მინისტრის პრინციპულმა პოზიციამ. მან თქვა, რომ შეუძლებელია ისეთი სპორტული ქვეყანა, როგორიც საქართველოა, დარჩეს უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადებისა და დარგის მეცნიერული განვითარების გარეშე. ჩვენთვის ეს არის მთავარი. თანაც მინისტრი დაგვპირდა, რომ დაგვეხმარება პრობლემის მთავრობის დონეზე მოგვარებაში.

**- შენობის დაბრუნებაზე არ გქონიათ მსჯელობა?**

- არა, მთავარი შენობის საკითხი არ არის. მთავარია, ის, რაც მინისტრმა ბრძანა: საქართველოში სპორტის მეცნიერული წინსვლა არ უნდა შეფერხდეს. შენობა სხვაგანაც გამოინახება, არც სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა გახდება პრობლემა. მინისტრი, როგორც ზემოთ ითქვა, მზადაა თანადგომისთვის.

**- წლეულს რა პრინციპით ჩატარდება მისაღები გამოცდები?**

- ამ საკითხში ჯერ ბოლომდე არ შევთანხმებულვართ. დიალოგი გრძელდება და, იმედია, ყველაფერი კარგად დამთავრდება.

**- წარმატებას გისურვებთ.**

- მადლობელი ვართ, რომ "ლელო" თვალყურს ადევნებს ჩვენს პრობლემებს.

ესაუბრა
**თენგიზ თომაშვილი**

## "ლელოს" რედაქციას!

მთელმა საქართველომ, ჩვენმა ხალხმა, ტკივილით განიცადა ცნობილი ქველმოქმედის და სამშობლოს დიდი პატრიოტის, ბატონ ბადრი პატარკაციშვილის უეცარი და უდროო გარდაცვალება. ცხადია, ეს იყო დიდი ტრაგედია საქართველოს სპორტული სამყაროსთვისაც, განსაკუთრებით ვეტერანი სპორტსმენებისთვის, რომლებსაც ძალიან ახლო ურთიერთობა გვაკავშირებდა, როგორც პირადად ბატონ ბადრისთან, ისე მისი ოჯახის წევრებთან.

ყველამ კარგად იცის, როგორ შეეხიდა ღრმა ფინანსურ კრიზისში მყოფ ქართულ სპორტს ეს ბრწყინვალე პიროვნება, როგორ ზრუნავდა იგი ყველა თაობის სპორტსმენებზე და იყო მათი ღვაწლის უბადლო დამფასებელი. მისი პრეზიდენტობისას წელში გაიმართა საქართველოს ოლიმპიური მოძრაობა.

იმ მძიმე დღეებში, ჩვენ, ვეტერანი ოლიმპიელები, გვერდში ვედექით ოჯახს, სხვაგვარად არც შეიძლებოდა, საქართველოს სპორტულმა ოჯახმაც დაკარგა დიდი მეოხი. დასანანია, რომ მასმედიაში შესაბამისი ასახვა ვერ ჰპოვა ჩვენმა ღრმა მწუხარებამ. მეტიც, თითქოს ამის დანახვის სურვილი არც ჰქონია მასმედიას, რაც დასანანია.

ჩვენ ყოველთვის ვიყავით და დავრჩებით სამუდამოდ მადლობელი იმ ღვაწლისთვის, რაც ბატონმა ბადრიმ გასწია ქართული სპორტის სასიკეთოდ, მისი სახელი ოქროს ასოებით შევა როგორც საერთოდ ჩვენი ქვეყნის, ისე ქართული სპორტის ისტორიაში.

**მზია ჯუღელი, რობერტ შავლაყაძე**
ოლიმპიური ჩემპიონები

კალათბურთი



ლეგიონი

# მანუ, ანუ სნაიპერი

უკრაინის ჩემპიონატში მეცხრამეტე შეხვედრა მოიგო **მანუჩარ მარკოიშვილის** "კიევმა" - შინ "ნიკოლაევი" 121:77 დაამარცხა.

მანუჩარ მარკოიშვილმა 26 წუთი ითამაშა, 6-დან 4 ორქულიანი, 5-დან 3 სამიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და 18 ქულას 4 შედეგიანი გადაცემა მიამატა.

**ქართველი ფორვარდის სტატისტიკა მოგახსენეთ, მის თამაშზე უფრო დეტალურად "კიევის" ოფიციალურ ვებ-საიტზე გამოქვეყნებული მატჩის მიმოხილვა გვესაუბრება.**

- მე-19 ტურის მატჩში "ნიკოლაევთან" "კიევმა" რეკორდი დაამყარა - 121 ქულა ჩააგდო. მასპინძლებმა თამაში სტუმარ-მასპინძლობის წესის დაუცველად დაიწყეს - დებიუტში მანუჩარ მარკოიშვილის აქტიურობის შედეგად 9:5 დაწინაურდნენ. თუმცა სწრაფი ფოლების გამო მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი იძულებული გახდა სათადარიგოთა სკამზე დაესვა, რაიან სტეკი და პუხ ჯეტერი. ამას ნიკოლაეველთა გამოფხიზლება მოჰყვა და სტუმრებმა პირველად და უკანასკნელად გადაასწრეს "კიევს".

სტუმართა დაცვას დიდ თავსატეხს ისევ და ისევ მანუ მარკოიშვილი უჩენდა, რომელმაც პირველ მეოთხედში 12 ქულა მიითვალა.

მეორე პერიოდის გმირი **ვლადიმირ კრსტიჩი** გახდა. შემდეგ **მარკუს ფეისონის** "ერა" დადგა და ტაიმის ბოლოსთვის "მგლაბმა" (კიეველთა მეტსახელი) 20-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს - 65:45.

შეხვედრის მეორე ნახევარში სცენარი არ შეცვლილა და მასპინძლებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჩაგრეს: 121:77 - ქულებში, 23:8 პასებში, 39:19 მოხსნებში.

### ბალტიისპირეთი

**გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკმა" ბალტიის ლიგაზე მეცამეტე მატჩი წააგო. ამჯერად მარცხს ლოგიკური ახსნა მოეძებნება - "როკერთა" მეტოქე ევროგრანდი "ლიეტუვოს რიტასი" იყო. ლიტველებმა ესტონელებს შინ 104:77 აჯობეს.

სტუმართა შორის ჩვეულებისამებრ ითამაშა ქართველმა გამთამაშებელმა გიორგი ცინცაძემ. მან შეხვედრა სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო, მოედანზე 31 წუთი გაატარა, 6-6 მოხსნა, პასი, 4 ჩაჭრა და 8 ქულა მიითვალა. გიორგიმ ახლო დისტანციიდან 7-დან 2 ტყორცნა, 2-დან 1 სამიანი და 1-დან 1 საჯარიმო გამოიყენა. "როკერთა" შორის სნაიპერობა იკისრა ამერიკელმა **ბრაიან კუსვორსმა**, რომელმაც 19 ქულა ჩააგდო. ყველაზე მეტ, 28 ქულას კი ლიტველი **მარტინას გეჩევიჩიუსი** გამორჩა.

ბალტიის ლიგაზე 16 ტურის შემდეგ "ლიეტუვოს რიტასს" 15 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას, ხოლო "ტარტუ როკი" 5 მოგებით მერვე ადგილზეა (10 კლუბს შორის).

ცინცაძის თანაგუნდელებს ერთიორად მნიშვნელოვანი შეხვედრა 4 მარტს ელით - ევროთასზე მეოთხედფინალურ ეტაპზე "ურალ გრეიტს" უმასპინძლებენ. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდებს შორის სერიის ანგარიშია 1:1. ნახევარფინალისტის ვინაობა სწორედ 4 მარტს გაირკვევა.

### ესპანეთი

ესპანეთში გასვლითი შეხვედრა მოიგო **ტაირონ ელისის** "კახასოლმა". სევილიელებმა "ლეონს" 85:76 აჯობეს. სტუმრებმა გადამწყვეტ უპირატესობას მესამე პერიოდში მიაღწიეს - ამ ათწუთეულში 30:17 იმარჯვეს, რაც საბოლოო წარმატების საწინდარი გახდა.

მართალია, საქართველოს ნაკრების ამერიკელ გამთამაშებელს მსგავსად წინა ტურისა, 23 ქულა არ ჩაუგდია, მაგრამ 15 ქულაც საკმარისი გახდა "კახასოლის" სნაიპერობისთვის. ელისმა სროლის სიზუსტით დანარჩენ ქართველებს აჯობა: 36 წუთში 4-დან 3 ორქულიანი, 6-დან 3 სამიანი. 15 ქულის პარალელურად ტაირონის ანგარიშზე 5 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემაა.

ზედიზედ ორი მატჩის მოგებამ "კახასოლის" სატურნირო მდგომარეობაზე ვერ იმოქმედა: სევილიელებს 8 მოგება, 15 წაგება აქვთ და 18 გუნდს შორის მე-16 ადგილზე არიან. მათ "მანრესა" და "ფუენლაბრადა" მხოლოდ ბურთების უკეთესი შეფარდებით უსწრებენ. მომდევნო ტურში წარმატების შემთხვევაში "კახასოლს" ერთბაშად მეთერთმეტე ადგილზე გადანაცვლების შანსი ექნებათ - მეთერთმეტეადგილოსან "გრანადას" "კახაზე" ერთით მეტი მოგება უწერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. XIX ტური

# რაცა სულ მსაჯია მართალი?!

3 მარტი, სპორტის სასახლე



დინამო-ენერჯი. ცენტრში ვიქტორ სანიკიძე

**დინამო-ენერჯი 77:84**

11:14, 15:25, 25:12, 19:12, 7:14

დინამო: გულისაბედაშვილი (9ქ, 7მ), ჟლენტი (12ქ, 5პ), ლაფანაშვილი (11ქ), სანიკიძე (25ქ, 15მ, 3პ, 5დ), მაისურაძე (4ქ), ათანელიშვილი (11ქ), ახალკაცი (11ქ), სიგუა, კუჭავა

ენერჯი: გამყრელიძე (17ქ, 5პ), ბაბიაშვილი (4ქ, 7მ), სტეფანოვი (23ქ, 13მ), ბოისა (6ქ), დიდია, ლეჟავა (18ქ), გოგობერიშვილი (2ქ), ტუჯანი (8ქ, 6მ), ჭოჭუა (2ქ), ჩიტაშვილი (4ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

**ვითა-თბილავიამშენი 88:91**

23:25, 18:20, 21:22, 26:26

ვითა: მარხვაშვილი (20 ქ. 5 მ. 5 პ), გვიმრაძე (17 ქ. 7 მ. 3 პ), მ. ბერიშვილი (14 ქ. 11 მ. 7 პ. 3 ჩ), ბერძენიშვილი (13 ქ), ნ. ნოზაძე (10 ქ), ძიძიგური (9 ქ. 5 მ), ლ. ნოზაძე (5ქ), ბეჟანიშვილი

თბილავიამშენი: ხოშტარია (23 ქ. 9 მ. 4 პ), ტულუში (18 ქ. 15 პ. 12 მ. 3 ჩ), ნინიაშვილი (17 ქ), ნიკოლაძე (16 ქ. 5 მ. 5 პ), მინაშვილი (11 ქ. 4 მ), მათაიშვილი (8 ქ. 12 მ. 2 დ), როდუმტა

**მაკაბი — თსუ 88:91**

27:24, 17:19, 19:26, 25:22

მაკაბი: გ. შერმადინი (38 ქ. 26 მ. 9 პ. 4 დ), კორკოტაძე (19 ქ. 4 პ), ს. შერმადინი (14 ქ. 4 მ. 2 პ. 2 დ), ი. ბერიშვილი (6 ქ), სორდია (6 ქ. 5 პ. 4 მ), პირველაშვილი (3 ქ. 4 პ. 3 მ), კოლუაშვილი (2 ქ), ჯიქია

თსუ: ხეცურიანი (29 ქ. 8 მ. 6 პ. 3 ჩ), ტყეშელაშვილი (22 ქ. 5 მ), დ. ბერიშვილი (9 ქ. 5 მ. 3 პ), კოხრეიძე (9 ქ. 6 მ. 3 პ. 3 ჩ), ხიზანიშვილი (8 ქ. 1 მ), ფანჩულიძე (7 ქ. 6 პ. 2 ჩ), ყველაშვილი (7 ქ. 3 მ. 3 ჩ)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი ინ. | 19 | 16 | 3 | 35 |
| 2. თსუ | 19 | 12 | 7 | 31 |
| 3. თბილავიამშენი | 19 | 10 | 9 | 29 |
| 4. ვითა | 19 | 8 | 11 | 27 |
| 5. დინამო | 19 | 7 | 12 | 26 |
| 6. მაკაბი | 19 | 4 | 15 | 23 |

გუშინდელი ტური საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო: დაფიქსირდა ერთი ოვერტაიმი, ერთიც სამმაგი დუბლი... ვიხილეთ საქართველოს ნაკრების ნევრის **ლაშა გამყრელიძის** ღირსეული დაბრუნება. ახლა მოვლენებს თანმიმდევრობით მივყვეთ.

ერთხელ **გიორგი შერმადინს** სამმაგ დუბლამდე 2 პასი დააკლდა, **მიშა ჩიტაშვილს** - თითო ქულა-მოხსნა, ხოლო **კოტე ტულუშს** - ერთი მოხსნა. და როგორც იქნა სამმაგი დუბლიც დაფიქსირდა: "ავიას" გამთამაშებელმა **ტულუშმა** 40 წუთი ითამაშა და 10-იანი ნიშნული ქულებშიც გადალახა, მოხსნებშიც და პასებშიც - 18 ქულა, 15 შედეგიანი გადაცემა და 12 მოხსნა. მოდით, აქვე ვთქვათ, რომ კოტეს ასეთი მონაგარი მისი ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელების საწინდარი გახდა. თუმცაღა, იყო კიდევ რამდენიმე ღირსეული კანდიდატი - **გამყრელიძე, ლაფანაშვილი, სანიკიძე, ხეცურიანი, შერმადინი...**

რადგან გვარების ნუსხა წარგიდგინეთ, ტურის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან მოვლენას, **ლაშა გამყრელიძის** მოედანზე დაბრუნებას შევეხოთ.

"ენერჯის" თავკაცი **დავით უსტიაშვილი** იხსენებდა: *"ქორქია-საკანდელიძის მემორიალის დაწყების წინა დღეს ლაშას ფეხი გადაუბრუნდა, თავიდან არ გვეგონა, ტრავმა ასე სერიოზული თუ იქნებოდა, მაგრამ მკურნალობის პროცესს დიდი დრო დასჭირდა..."* 15 იანვრის შემდეგ გუშინ გამყრელიძემ პირველად მოირგო "ენერჯის" მაისური. როგორც ჩანს, ნაკრების გამთამაშებელი "დინამოსთან" მატჩს მეტ-ნაკლებად მომზადებული შეხვდა და გადამწყვეტი როლი ითამაშა რუსთაველთა სტუმრად გამარჯვებაში. უშუალოდ შეხვედრაზე ქვემოთ ვიტყვით, აქ კი ლაშას მონაგარს შემოგთავაზებთ: 17 ქულა, 5 პასი, 3 ჩაჭრა.

დაპირებისამებრ, ახლა "დინამო"-"ენერჯის" მატჩზე ვთქვათ. ერთ საიდუმლოს გაგანდობთ: სპორტის სასახლეში უბის წიგნაკი არ დამაქვს, რადგან გაცილებით მოსახერხებელია შეხვედრის მსვლელობის ჩაწერა სტატისტიკის ფურცლის უკანა გვერდზე. გუშინ პირველი მატჩის არც საწყისი მეოთხედის ოქმი ამობეჭდილა, არც მეორისა, ამიტომ სხვა გზა არ მქონდა, შეხვედრის ქრონოლოგია ჯიბიდან ამოქექილ მატარებლის ბილეთებზე უნდა მეწარმოებინა. თავიდან მეგონა ერთი ბილეთი მეყოფოდა, მაგრამ თამაში ისეთი დაძაბული გამოდგა, რომ სამი გვერდიც არ მეყო...

ჯერ ზოგადად გეტყვით, რომ "დინამომ" ჩემპიონატის ფავორიტებს გამართული თამაში დაუპირისპირა, რიგ ეპიზოდებში კარგად გამოსდიოდა ზონური დაცვა, ხოლო შეტევაში მწყობრ თამაშს შედეგი თუ არ მოჰქონდა, ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ნაკრების ფორვარდი **ვიქტორ სანიკიძე** ახერხებდა რუსთაველთა კალათის აფართხალებას. ვიქტორს კამერუნელი **ჟულიეტ ტუჯანი** მეურვეობდა, რომელიც ძირითადად დაცვით იყო დაკავებული. შეტევაში არც რუსთაველებს ულხინდათ, თუმცა გამყრელიძე და **სტეფანოვი**, სანიკიძისა არ იყოს, კრიტიკულ მომენტებში მაინც ახერხებდნენ "დინამოს" კალათისკენ გზის გაკვლევას. მთელმა შეხვედრამ ასე თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. ბოლო წუთებზე მოვლენები ისე განვითარდა, რომ სჯობს მატარებლის ბილეთების ქრონოლოგია მოვიშველიოთ.

**მე-4 პერიოდი**

53:51 სანიკიძე (დინამო) - 2ქ
53:54 ლეჟავა (ენერჯი) - 3ქ
53:56 ჩიტაშვილი (ენერჯი) - 2ქ
55:56 სანიკიძე (დინამო) - 2ქ
56:56 ჟლენტი (დინამო) - 1ქ
56:59 ლეჟავა (ენერჯი) - 3ქ
56:61 ტუჯანი(ენერჯი) - 2ქ
58:61 ახალკაცი (დინამო) - 2 ქ
ჩიტაშვილი: საჯარიმოები 2\0
სანიკიძე: საჯარიმოები 2\0
58:63 ჩიტაშვილი (ენერჯი) - 1+1
60:63 სანიკიძე (დინამო) - 2ქ
62:63 სანიკიძე (დინამო) - 2ქ
ახალკაცი (დინამო): მე-5 ფოლი
62:65 სტეფანოვი (ენერჯი) - 1+1
64:65 გულისაბედაშვილი (დინამო) - 2ქ
0:41 წთ
64:68 გამყრელიძე (ენერჯი) - 3ქ
0:25 წთ
67:68 ლაფანაშვილი (დინამო) - 3ქ
0:19 წთ
67:70 გამყრელიძე (ენერჯი) - 1+1
0:12 წთ
70:70 ლაფანაშვილი (დინამო) - 3ქ

**ოვერტაიმი**

70:72 ტუჯანი (ენერჯი) - 2ქ
ჟლენტი (დინამო) მე-5 ფოლი
70:73 გამყრელიძე (ენერჯი) - 1ქ
სიგუა (დინამო): საჯარიმოები 2\0
70:75 გამყრელიძე (ენერჯი) - 2ქ
71:75 სანიკიძე (დინამო) - 1ქ
73:75 სანიკიძე (დინამო) - 2ქ
76:75 სანიკიძე (დინამო) - 3ქ
76:78 სტეფანოვი (ენერჯი) - 3ქ
76:79 ბოისა (ენერჯი) - 1ქ
0:46 წთ
76:81 გამყრელიძე (ენერჯი) - 2ქ
0:28 წთ
76:83 ლეჟავა (ენერჯი) - 1+1
ტუჯანი (ენერჯი): მე-5 ფოლი
77:83 სანიკიძე (დინამო) - 1ქ
77:84 სტეფანოვი (ენერჯი) - 1ქ

"ვითას" მწვრთნელმა **ზურაბ ტომარაძემ** "ავიას" ერთგვარი სიურპრიზი შესთავაზა: სასტარტო შემადგენლობაში ისინი დააყენა, ვინც მანამდე სათადარიგოობით კმაყოფილდებოდნენ - **ნიკო და ლუკა ნოზაძეები, დავით გვიმრაძე და ალეკო ძიძიგური.** მათ ძირითადის ნევრი **მიშა ბერიშვილი** დაეხმარა და პირველ მეოთხედში გამოცდილ ავიატორებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს. ამ ხუთეულს **ვაკო ბეჟანიშვილი, გიორგი მარხვაშვილი** და **დავით ბერძენიშვილი** დაემატნენ (ტრავმამოშუშებული **გიორგი მარკოიშვილი** სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს) და ბოლო წამებამდე თანაბარი თამაში გაჩაღდა. მესამე პერიოდში იყო ხუთწუთიანი ეპიზოდი, როცა ერთი მხრიდან **ბერძენიშვილის**, მეორიდან - **როდუმტას** "შიშით" ფარქვეშ შესვლას ორივე გუნდი ერიდებოდა და მხოლოდ პერიმეტრიდან აღწევდნენ მიზანს. შეხვედრის ბოლო წამებზე გამოცდილმა ავიატორებმა **ირაკლი ხოშტარიამ, გიორგი ნიკოლაძემ** და **კოტე ტულუშმა** კიდევ ერთხელ გამოავლინეს ნერვების სიმტკიცე და პერიმეტრიდან ტყორცნებისასაც იშვიათად ცდებოდნენ, ფარქვეშ შეჭრის შემდეგაც და საჯარიმოების შესრულებისასაც. სირენამდე 7 მეასედი წამით ადრე საფინალო ანგარიში ნიკოლაძემ საჯარიმოების შედეგად დააფიქსირა - 93:88.

მატჩის შემდეგ ვითელმა **ვაკო ბეჟანიშვილმა** ხაზი გაუსვა მისი გუნდის დაცვაში სუსტ თამაშს: *"რაც შეეხება შეტევას, პერიმეტრიდან შედარებით უკეთ რომ გვესროლა გამარჯვება შეიძლებოდა".*

"ავიას" კაპიტანმა **ირაკლი ხოშტარიამ** გუნდის მწვრთნელზე ისაუბრა: *"ბატონი ლევან მოსეშვილი ავადაა და დღეს მის გარეშე ვითამაშეთ, იოლი არ ყოფილა, მაგრამ არაფერი დავზოგეთ და სასურველ შედეგს მივაღწიეთ".*

დღის ბოლო მატჩის წინ სამსაჯო მაგიდასთან მისულ თსუ-ს მეორე მწვრთნელ **ნუგზარ მარკოიშვილს** ჰკითხეს, დღეს ვინ გაკლიათო. მან მიუგო: ის უნდა იკითხოთ ვინ არ გვაკლია. **ირაკლი კეიდიამ** და **დავით ბარბაქაძემ** კოჭები დაიზიანეს და "მაკაბისთან" მათ გარეშე ვითამაშებთო.

თსუ-ელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კეიდია-ბარბაქაძის გარეშეც მოახერხეს **გიორგი შერმადინის** წინააღმდეგ ნაყოფიერი თამაში. ამ საქმეში დამსახურება არ უნდა დავუკარგოთ **ლევან ტყეშელაშვილსა** და **გიორგი ყველაშვილს**. ხოლო ლიდერობა თსუ-ს კაპიტანმა **შიო ხეცურიანმა** იკისრა, რომელმაც 29 ქულა ჩააგდო. უკანასკნელ წუთებზე იყოჩაღა ახალგაზრდა **შალვა კოხრეიძემ**. მან "მაკაბის" ბოლო იერიში ჩაჭრით ჩაშალა, ორქულიანი ჩააგდო და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 91:88.

ალბათ, შეხსენება არ დაგჭირდებათ, რომ "მაკაბიდან" ანგარიშის თანაბარ კალაპოტში სვლას გიორგი შერმადინი განაპირობებდა - 39 ქულა, 26 მოხსნა და 9 პასი.

**ტურის ფრაზაც** "მაკაბი"-თსუ-ს მატჩში დაფიქსირდა: სტუდენტმა **შიო ხეცურიანმა** ბურთი ჩააგდო, მაგრამ მსაჯმა შეტევაში ჯარიმა დააფიქსირა, თუმცა ბურთი ჩათვალა. შიომ არბიტრ **ზაზა მაჩალაძეს** გაკვირვებით ჰკითხა - ერთ ეპიზოდში მართალი იყავი, მეორეშიც, ახლაც მართალი ხარ - თუ ორქულიანი ჩაითვალა, მაშ როგორ დავარღვიე წესი? კი მაგრამ, რაცა სულ შენ ხარ მართალიო?!

**ვაჟა სიმონიშვილი**



ქართველი NBA-ში

# ატლანტას ბოსტონური ჩაილური...

**რეი ალენი, პოლ პირსი, კევინ გარნეტი** - ამ ტრიოს ძლევა წელს ბევრის აუხდენელ ოცნებად დარჩენილა. "ბოსტონ სელტიქსს" "ატლანტა ჰოქსთან" საშინაო მატჩამდე 45 მოგება ჰქონდა (12 წაგება) და რა გასაკვირია, რომ შეხვედრის საფინალო სირენამ "სელტიქსის" 46-ე გამარჯვება დააფიქსირა - 98:88.

**ზაზა ფაჩულიას** თანაკლუბელებმა მასპინძლებს ღირსეული მეტოქეობა გაუწიეს, პირველი ტაიმი სულაც 44:39 მოუგეს, მაგრამ მეორე ნახევარში ზემოთ დასახელებულ ტრიოსთან ვერაფერს გახდნენ: ალენმა (17 ქულა), გარნეტმა (20 ქულა, 16 მოხსნა) და პირსმა (30 ქულა) ჯამში 67 ქულა მიითვალეს...

რა ვქნა, ასეთ სტატისტიკურ მონაცემებზე გაცილებით სასიამოვნოა წერა, ვიდრე, ვთქვათ 16 წუთში ჩაგდებულ თითო ორქულიანსა და საჯარიმოზე და ზედ წამატებულ 4 მოხსნასა და 1 პასზე, მაგრამ ქართველთათვის **ზაზა ფაჩულიას** 3 ქულა და 4 მოხსნა უფრო ღირებულია, ვიდრე გარნეტის 20 ბალი და 16 მოხსნა. ორმაგი დუბლი შეასრულა ზაზას უშუალო კონკურენტმა **ელ ჰორფორდმა** - 38 წუთში 14 ქულა და 11 მოხსნა გაიფორმა.

"ბოსტონში" წაგება "ატლანტასთვის" მიმდინარე სეზონში 33-ე მარცხი გახლდათ (24 მოგების წილ). "ჰოქსი" სამხრეთ აღმოსავლეთის დივიზიონის სატურნირო ცხრილში მე-3 პოზიციაზეა.

დღეს გამთენიისას ზაზას თანაგუნდელები "გოლდენ სტეიტ უორიორზს" უმასპინძლებდნენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## სხვადასხვა

### ჭადრაკი

**ლინარესის ტურნირი**

X ტური: **ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი)-**მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია) 0.5:0.5; **თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი)-**ლევონ არონიანი** (სომხეთი) 0.5:0.5; **პეტერ ლეკო** (უნგრეთი)-**ალექსეი შიროვი** (ესპანეთი) 0.5:0.5; **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა)-**ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი) 0.5:0.5.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. **ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი) - 6.5 ქულა; 2. **მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია) - 6; 3. **ლევონ არონიანი** (სომხეთი) - 5.5; 4. **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი) - 5; 5-7. **ალექსეი შიროვი** (ესპანეთი), **თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი), **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა) - 4.5; 8. **პეტერ ლეკო** (უნგრეთი) - 3.5.

### ოლიმპიზმი

## ვანკუვერში სრული მზადებაა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი კმაყოფილია იმით, თუ როგორ ემზადება კანადის ქალაქი ვანკუვერი 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის.

*"მე ვხედავ ქალაქის მთავრობის მონდომებას, ენთუზიაზმსა და მზადყოფნას იმისთვის, რომ თამაშები უმაღლეს დონეზე იყოს ორგანიზებული"*, - განაცხადა ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ**.

*"ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უდიდესი გზა გაიარეს, მაგრამ წინ კიდევ ბევრი სამუშაოა"*, - ეს ვანკუვერის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელის, **ჯონ ფერლონგის** სიტყვებია.

### ფორმულა 1

## დენისი შუა კვირას წავა?

გასულ კვირას, ფორმულა 1-ის სამყარო "მაკლარენის" შეფის, **რონ დენისის** პოსტიდან სავარაუდო წასვლის საკითხს განიხილავდა. თუმცა კვირის ბოლოს, ბრიტანული საჯინიბოს პრესცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დენისი "მაკლარენის" ხელმძღვანელობას გააგრძელებს.

როგორც ჩანს, ეს თემა ამ კვირასაც აქტუალური იქნება. ბრიტანული გაზეთი The Sunday Times იუწყება, რომ რონ დენისს კვირის შუა რიცხვებში მაინც მოუწევს პოსტის დატოვება - მას სხვა თანამდებობაზე სამუშაოდ გადაიყვანენ.

გაზეთი წერს, რომ დენისს ძალიან სჭირდება ფორმულა 1-ის გუნდს, ოჯახურ ცხოვრებასა და "მაკლარენის" ბიზნესის სხვა მიმართულებებს შორის საუკეთესო ბალანსი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სულ მალე, დენისის პოსტს მისი მოადგილე **მარტინ უიტმარში** დაიკავებს.

ამასთან, დენისის ძველმა მეგობარმა, სერ **ფრენკ უილიამსმა** Daily Mail-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: *"სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რონს მართლაც მოუწევს დაქვეითება"*.

## ექლსტოუნი პარიზს მიადგა

ფორმულა 1-ის მეპატრონეს **ბერნი ექლსტოუნს** ახალი იდეა აქვს - ის სერიოზულად ფიქრობს 2009 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის ერთი ეტაპის პარიზში გამართვას.

*"იმედი მაქვს, რომ პარიზში რბოლის ორგანიზებას შევძლებთ. საფრანგეთის გრან-პრისთვის ახალი ადგილი გვჭირდება, რადგან არ გვსურს მანი-კურში დაბრუნება. ქვეყნის მთავრობა ჩვენს სურვილს გაგებით ეკიდება.* - ამბობს ექლსტოუნი. - *ლონდონში ან პარიზში ეტაპის გამართვა მეტ მაყურებელსაც მოიზიდავს და ტელევიზიებისთვისაც მომგებიანი იქნება. ბრიტანეთის დედაქალაქში რბოლის ჩატარებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, თუმცა სავსებით რეალურია 2009 წლისთვის პარიზში მოვაწყოთ ქუჩის რბოლა"*.

### ჩოგბურთი

## ფედერერი პეკინზე ფიქრობს

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **როჯერ ფედერერი** ერთთვიანი შესვენების შემდეგ კორტს უბრუნდება და დუბაის ტურნირის მთავარი პრიზისთვის ბრძოლას იწყებს. შვეიცარიელს პირველ მატჩში სერიოზული მეტოქე ეყოლება - ბრიტანელი **ენდი მარეი**. მანამდე კი, ფედერერმა ინტერვიუ მისცა სააგენტო AFP-ს, სადაც პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლის საკითხსაც შეეხო. კერძოდ, როჯერმა ჯერ არ იცის, ითამაშებს თუ არა ოლიმპიადაზე.

*"ჯერ არ მიმიღია პეკინში გამგზავრების გადაწყვეტილება. ოთხი წლის წინათ, ათენში ძალიან გამიჭირდა. ავტობუსით მგზავრობა მიწევდა და არ შემეძლო საკუთარი განრიგის კონტროლირება. თანაც, ოლიმპიურ სოფელში თითქმის ყველა მცნობდა. წინააღმდეგი არ ვარ, თუ ასეთი რამ კვირაში ერთხელ მოხდება, მაგრამ ეს ყოველდღე მეორდებოდა, რაც ძალიან დამღლელი იყო"*, - ამბობს ფედერერი.

### კალათბურთი

## მილერი ამ კვირას დაბრუნდება

"მემფის გრიზლისის" ფორვარდი **მაიკ მილერი** 5 მარტს აპირებს გუნდში დაბრუნებას და რეგულარული ჩემპიონატის განახლებას. მემფისელთა ერთ-ერთი ლიდერი სავარაუდოდ, "ნიუ ჯერსი ნეტსის" წინააღმდეგ მატჩში მიიღებს მონაწილეობას.

*"ჩვენ მილერის დაბრუნება ოთხშაბათისთვის დავგეგმეთ, თუმცა არ არსებობს სრული გარანტია იმისა, რომ მაიკი ამ დღეს "მემფისს" დაეხმარება"*, - განაცხადა "გრიზლისის" მთავარმა მწვრთნელმა **მარკ აივარონიმ**.

## ინდიანამ მიურეი დაიმატა

"ინდიანა პეისერსმა" სეზონის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი გამთამაშებელ **რონალდ მიურეისთან**. ეს მცველი 19 თებერვალს ტრანსფერზე დააყენა "დეტროიტ პისტონზმა". მიურეი ყოფილ გუნდში **ჩონსი ბილაპსის** დუბლიორი იყო. "ინდიანას" ახალწვეულმა წელს 19 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 7.5 ქულა და 3.4 მოხსნა დააგროვა.

ამ მომენტისთვის, "ინდიანა" მე-11 ადგილზეა აღმოსავლეთ კონფერენციაში და მერვე პოზიციაზე მყოფ "ფილადელფიას" სამი მოგებით ჩამორჩება.

## კშიშევსკის მე-800 გამარჯვება

გასულ უიქ ენდზე, კარიერაში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა აშშ-ის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ კშიშევსკიმ**. NCAA-ს სტუდენტურ ლიგაში, ამ სპეციალისტის გაწვრთნილმა დიუკის უნივერსიტეტმა 87:86 დაამარცხა ჩრდილოეთ კაროლინის გუნდი. ეს იყო კშიშევსკის რიგით მე-800 გამარჯვება კარიერაში.

## კლიპერსმა ტომასი დაკარგა

"ლოს ანჯელეს კლიპერსი" ძირითადი შემადგენლობის ფორვარდის, **ტიმ ტომასის** გარეშე გააგრძელებს რეგულარულ ჩემპიონატს. როგორც გაზეთი LA Times იუწყება, ტომასი სავარაუდოდ, 4 მატჩში ვერ შეძლებს მონაწილეობის მიღებას.

წლევანდელ სეზონში ტიმის მონაგარი 13.3 ქულას, 5.3 მოხსნასა და 3.0 შედეგიან გადაცემას შეადგენს.

## სამთო თხილამურები



გეორგ შტრაიტბერგერი ასპარეზობისას

მსოფლიო თასი

# მილერმა უქმეები კვარცხლბეკზე გაატარა

ავსტრიელი **გეორგ შტრაიტბერგერის** გამარჯვებით დასრულდა სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასის მორიგი, სუპერგიგანტის ეტაპი, რომელსაც ნორვეგიის სამთო კურორტ კვიტფილის 2 574-მეტრიანმა ოლიმპიურმა ფერდობმა უმასპინძლა. შტრაიტბერგერმა 0.20 წამით აჯობა მეორეზე გასულ ამერიკელ **ბოდე მილერს** და მსოფლიო თასის ეტაპზე გამარჯვება კარიერაში პირველად იზეიმა.

*"რბოლა ჩემთვის იდეალურად წარიმართა. განსაკუთრებით კმაყოფილი თხილამურებით ვარ. თავიდანვე მაღალი სიჩქარის აკრეფა შევძელი და ბოლომდე უშეცდომოდ ვისრიალე. უნდა ვთქვა, რომ აქ გამარჯვებას არ ველოდი. უფრო მეტიც, ჩემთვის კვარცხლბეკზე ასვლაც კი წარმოუდგენელი იყო"*, - ნარბოლევს განაცხადა შტრაიტბერგერმა, ვისაც კვიტფილამდე, სუპერგიგანტის კლასიფიკაციაში 21-ე ადგილი ეკავა.

მილერმა კი თქვა, რომ მისთვის ამ სეზონში სუპერგიგანტი პრობლემური დისციპლინაა. *"ამ სეზონში სუპერგიგანტის რბოლები ნაკლებად გამომდის. ბევრ შეცდომასაც ვუშვებ და თხილამურების შეცვლაც ხშირად მიწევს. ამ რბოლაში ზედმეტ რისკს მოვერიდე. ამ ეტაპზე, ჩემთვის მთავარი ქულების სტაბილურად დაგროვებაა. და მაინც, ტრასის ქვედა მონაკვეთში სერიოზული შეცდომა დავუშვი, რაზეც დრო დავკარგე. თუმცა, ვთვლი, რომ რბოლას მაინც ვერ მოვიგებდი"*, - განაცხადა მილერმა, ვინც ამ სეზონში, სუპერგიგანტის ეტაპი მეორე ადგილზე მეორედ დაასრულა.

აღსანიშნავია, რომ კვიტფელის ოლიმპიურ ფერდობზე, ლილეჰამერის (1994 წლის) ოლიმპიადაზე და მას შემდეგ, მსოფლიო თასის ეტაპებზე, გამარჯვება ოთხ ამერიკელ მოთხილამურეს აქვს მოპოვებული.

ასეა თუ ისე, სუპერგიგანტზე დაკავებული მეორე ადგილით, 30 წლის მილერმა აბსოლუტურ კლასიფიკაციაში ლიდერობა მნიშვნელოვნად გაიმყარა. მას ახლა 1 363 ქულა აქვს და 185 ქულით ჩამორჩება ჩქაროსნული დისციპლინების შვეიცარიელი სპეციალისტი **დიდიე კუშე**, ვინც ამჯერად მესამე ადგილს დასჯერდა.

კუშენს ამერიკელის დაწევის შანსები შეუმცირდა, მაგრამ სუპერგიგანტის კლასიფიკაციაში გამოკვეთილი ლიდერია და ბოლო ეტაპზე, რომელიც იტალიის ბორმიოში ჩატარდება, 12 ქულის აღებაც ჰყოფნის იმისთვის, რომ ბროლის მცირე გლობუსს დაეუფლოს. კუშეს სუპერგიგანტში 340 ქულა აქვს, მეორეზე კი 247 ქულით ავსტრიელი **კრისტოფ გრუბერია**. თუ ბოლო რბოლას გრუბერი ვერ მოიგებს, მაშინ კუშე თასს ავტომატურად დაეუფლება.

კვიტფელი (ნორვეგია)
კაცები. სუპერგიგანტი

1. **გეორგ შტრაიტბერგერი (ავსტრია) 1:26.68; 2. ბოდე მილერი (აშშ) 1:26.88; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 1:27.00; 4-5. რობი დიქსონი (კანადა) 1:27.10; 4-5. ამბროზი ჰოფმანი (შვეიცარია) 1:27.10; 6. მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია) 1:27.11; 7-8. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 1:27.18; 7-8. ერიკ გაი (კანადა) 1:27.18; 9. ვერნერ ჰეელი (იტალია) 1:27.20; 10. კრისტოფ გრუბერი (ავსტრია) 1:27.26...**

სუპერგიგანტის კლასიფიკაცია

1. **დიდიე კუშე (შვეიცარია) 340; 2. კრისტოფ გრუბერი (ავსტრია) 251; 3. ჰანეს რაიხელტი (ავსტრია) 241; 4. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 236; 5. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 212; 6. მარიო შაიბერი (ავსტრია) 205; 7. ერიკ გაი (კანადა) 200; 8. ბოდე მილერი (აშშ) 189...**

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. **ბოდე მილერი (აშშ) 1363; 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) 1178; 3. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1073; 4. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 688; 5. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 682; 6. მანფრედ მიოლგი (იტალია) 675; 7. ტედ ლიგეტი (აშშ) 662; 8. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 654; 9. მარიო მატი (ავსტრია) 540; 10. მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია) 522...**

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ჩიკაგო-ვანკუვერი 4:1**

1:0, 1:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ლედი-11 (კეინი-39), 2:0 კეინი-15 (ჯეისონ უილიამსი-16, ტეუვზი-25), 2:1 კესლერი-17 (ბაროუზი-14), 3:1 შარპი-32 (კეიტი-16, ჯეისონ უილიამსი-17), 4:1 კეინი-16 (იგერი-2, კონტიოლა-5).

**რეინჯერსი-ფილადელფია 5:4 (ბ)**

3:3, 1:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 პროსპალი-30 (ბრიერი-35, უმბერგერი-33), 1:1 სტრაკა-12 (ჟირარდი-16, იაგრი-40), 1:2 ქობურნი-7 (ნუბლი-23, კ. ტიმონენი-26), 2:2 სიოსტრიომი-11 (ბეტსი-5, მალიკი-6), 3:2 კელეჰანი-6 (სტრაკა-19, მალიკი-7), 3:3 ჯ. კარტერი-22 (აპშოლი-13, კ. ტიმონენი-27), 4:3 ბეკმენი-2 (შენეჰანი-19, გომესი-49), 4:4 ჯ. კარტერი-23 (რ. ჯონსი-23, აპშოლი-14).

**ბულიტები გაიტანეს:** შენეჰანი (რეინჯერსი), დეივსი (რეინჯერსი).

**ბაფალო-დეტროიტი 2:4**

1:1, 0:2, 1:1

**გოლები:** 1:0 კალეტა-2 (აფინოგენოვი-12, მეირი-7), 1:1 დრეიკი-3 (კრონვალი-23, დრეიპერი-8), 1:2 ფილპულა-18 (ჰუდლერი-25, ფრანცენი-7), 1:3 ფრანცენი-13 (კრონვალი-24, სამუელსონი-25), 2:3 პომინვილი-20 (სტეფორდი-16), 2:4 მიოლტბი-4 (დაციუკი-53, ფილპულა-14).

**ედმონტონი-კოლამბუსი 4:3 (ბ)**

1:1, 0:0, 2:2, 0:0

**გოლები:** 0:1 ნეში-35 (მალორტა-14, ჟერდიოვი-30), 1:1 კოლიანო-12 (სემ განიე-28, გრებეშკოვი-11), 1:2 ჩიმერა-13 (ჟერდიოვი-31, ე. მიურეი-2), 2:2 ჰემსკი-18 (სტოლი-19, პენერი-20), 3:2 სტაიოსი-7 (კოლიანო-22, რ. ნილსონი-21), 3:3 ტარნსტრიომი-3.

**ბულიტები გაიტანეს:** ჰემსკი (ედმონტონი).

**პიტსბურგი-ატლანტა 3:2 (ბ)**

2:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 მელოუნი-23 (გონჩარი-43, მალკინი-51), 2:0 ტელბოტი-9 (ი. რუუტუ-8, გოლიგოსკი-2), 2:1 სლეიტერი-4 (ბულტონი-5, კვიატკოვსკი-2), 2:2 ვიაჩ. კოზლოვი-15 (კ. არმსტრონგი-17, კვიატკოვსკი-3).

**ბულიტები გაიტანეს:** ლეტანგი (პიტსბურგი).

**აილენდერსი-ფლორიდა 0:1**

0:1, 0:0, 0:0

**გოლი:** 0:1 ბუტი-19 (ო. იოკინენი-32, ჰორტონი-31).

**მინესოტა-ლოს ანჯელესი 2:1 (ო)**

0:1, 1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 კამალერი-18 (ფროლოვი-38, ვიშნოვსკი-29), 1:1 გაბორიკი-34 (ბერნსი-23, ბუშარი-42), 2:1 სკოულა-3 (გაბორიკი-32, დემიტრა-28).

## ავტოსპორტი

რალი. მსოფლიო ჩემპიონატი

**III ეტაპი. მექსიკის რალი**

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, "სიტროენი") - 3:33.29,9; 2. **კრის ატკინსონი** (ავსტრალია, "სუბარუ") - +1.06,10; 3. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, "ფორდი") - +1.39,70; 4. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, "ფორდი") - +3.38,70; 5. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, "ფორდი") - +4.57,90; 6. **მალკოლმ უილსონი** (ბრიტანეთი, "სტობარტ-ფორდი") - +6.28,90; 7. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, "ფორდი") - 19.03,00; 8. **რიკარდო ტრივინო** (მექსიკა, "პეჟო") - +21.17,30.

**საერთო ჩათვლა:** 1. **მიკო ჰირვონენი** - 21 ქულა; 2. **სებასტიან ლოები** - 20; 3. **იარი-მატი ლატვალა** - 16; 4. **ატკინსონი** - 14; 5-6. **ჯიჯი გალი** (იტალია, "სტობარტ-ფორდი"), **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, "სუბარუ") - 9; 7. **ფრანსუა დიუვალი** (ბელგია, "ფორდი") - 5; 8-9. **ანდრეას მიკელსენი** (ნორვეგია, "ფორდი"), **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, "ფორდი") - 4.

**კონსტრუქტორთა ჩათვლა:** 1. **ფორდი** - 37 ქულა; 2-3. **სიტროენი, სუბარუ** - 25; 4. **სტობარტ-ფორდი** - 19; 5. **სუზუკი** - 5.

ტურნირების მიმოხილვა

# დარცისმა მეორე ტიტული მოიპოვა

ბელგიელი **სტივ დარცისის** გამარჯვებით დასრულდა მემფისის ტურნირი, რომლის ფინალშიც მან ორ სეტში დაამარცხა ტურნირზე მერვე ნომრად განთესილი შვედი **რობინ სოდერლინგი** და კარიერაში ატპ-ს მეორე ტურნირის ტიტულს დაეუფლა.

*"ჩემს კარიერაში მეორედ გავედი ფინალში და ორივე შემთხვევაში, კორტი გამარჯვებულმა დავტოვე. სიტყვებით ვერ გამოვხატავ ჩემს ემოციებს. ჯერ ბოლომდე გაცნობიერებულიც არ მაქვს, თუ რა მოხდა"*, - განაცხადა დარცისმა, ვინც პირველ ტიტულს შარშან, ჰოლანდიის ამერსფოორტში (ჰოლანდია) მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ სოდერლინგმა მეოთხედფინალში ტურნირს მისი ამერიკელი ფავორიტი, **ენდი როდიკი** გამოთიშა, ფინალამდე კი ისე მიაღწია, ერთი სეტიც არ დაუთმია, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში ვერაფერი მოუხერხა მეტოქეს, რომელიც ამ სეზონში თავის მთავარ მიზნად რეიტინგის მოწინავე 50-ეულში შესვლას ისახავს.

*"სტივმა შესანიშნავად ითამაშა. თავის მოწოდებაზე ქულებს ფაქტობრივად, არ ანიავებდა. ნამდვილად არ ველოდი, თუ ამას შეძლებდა. მე კი, ბოლო ორ ტურნირზე ყველაზე საშინლად ახლა ვითამაშე. ყოველ შემთხვევაში, ფინალამდე ჩემი გამოსვლით კმაყოფილი ვიყავი. შესაძლოა, ჩემი ცუდი თამაში სტივის კარგი გამოსვლის შედეგია. ასეა თუ ისე, ის შესანიშნავად ირჯებოდა"*, - განაცხადა სოდერლინგმა, ვინც ერთი კვირის წინათ, როტერდამის ტურნირზეც ფინალი წააგო.

აღსანიშნავია, რომ შვედ ჩოგბურთელს ატპ-ს ტურნირი ბოლოს 2005 წელს აქვს მოგებული. მაშინ **იონას ბიორკმანმა** ვიეტნამის ტურნირზე გაიმარჯვა. ბელგიელების მონაგარი კი გაცილებით უკეთესია - ამავე პერიოდში ამ ქვეყნის სამმა ჩოგბურთელმა ხუთი ტიტულის მოპოვება შეძლო. ამ სამიდან **ოლივიე როხუსზე** ერთი ტიტული მოდის, **ქსავიე მალისსა** და სტივ დარცისზე კი - სამ-სამი.

ამ სეზონში, მემფისამდე დარცისს არცთუ სახარბიელო შედეგები ჰქონდა. შვიდი თამაშიდან მხოლოდ ორი მოეგო და ხუთი წაეგო. ის პირველ წრეშივე გამოეთიშა ავსტრალიის ღიას და ადელაიდასა და სან ხოსეს ტურნირებს. თითო გამარჯვება კი სიდნეის ტურნირზე და დევისის თასზე მოიპოვა.

პირველი სეტის მოსაგებად დარცისმა 27 წუთი იმყოფინა. გადამწყვეტი ბრეიკი კი მეოთხე გეიმში მოიპოვა, რის შემდეგაც, აქცენტი საკუთარი სერვის-გეიმების მოგებაზე გადაიტანა. მეორე სეტში მეტოქის მოწოდების აღება ვერცერთმა ვერ შეძლო და საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც თავიდან სოდერლინგი დაწინაურდა (4:2). შემდეგ ბელგიელმა ეისი მოაწოდა, მეტოქის მოწოდებაზე მოპოვებული ერთი ქულის წყალობით კი ანგარიშიც გაათანაბრა - 5:5. შემდეგი გათამაშება ხანგრძლივი გამოდგა და დარცისის მიერ შესანიშნავად შესრულებული წალმა დარტყმულით დასრულდა. ბელგიელის პირველივე მატჩ პოინტი კი გამარჯვების ქულად სოდერლინგის მიერ დაშვებული შეცდომის წყალობით გარდაიქმნა.

**ATP**

**Regions Morgan Keegan**

მემფისი (აშშ, ტენესი). ქერქვეშა კორტი

საპრიზო ფონდი: 769 000 დოლარი

**ფინალი**

სტივ დარცისი (ბელგ)-რობინ სოდერლინგი (შვედ, 8) 6:3, 7:6(5)



სტივ დარცისი გამარჯვებას ზეიმობს

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 6630 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5930 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 5010 |
| 4(4). დავიდ ფერერი (ესპ) | 2695 |
| 5(5). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 2640 |
| 6(6). ენდი როდიკი (აშშ) | 2140 |
| 7(8). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 2050 |
| 8(7). რიშარ გასკე (საფ) | 1885 |
| 9(9). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1710 |
| 10(10). ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 1685 |
| 11(12). ენდი მარეი (ბრიტ) | 1625 |
| 12(11). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1515 |
| 13(14). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 1515 |
| 14(15). პოლ-ანრი მატიე (საფ) | 1495 |
| 15(16). ტომი რობრედო (ესპ) | 1490 |
| 16(17). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1464 |
| 17(20). მარკოს ბაღდატისი (კვიპ) | 1464 |
| 18(13). კარლოს მოია (ესპ) | 1450 |
| 19(21). ივო კარლოვიჩი (ხორ) | 1445 |
| 20(22). გილერმო კანიასი (არგ) | 1418 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 203 |
| 2(2). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 155 |
| 3(3). რაფაელ ნადალი (ესპ) | 119 |
| 4(4). მიხაელ ლოდრა (საფ) | 107 |
| 5(23). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 97 |
| 6(5). მიხაილ იუჟნი (რუს) | 95 |
| 7(6). ენდი მარეი (ბრიტ) | 91 |
| 8(9). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 90 |
| 9(18). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 87 |
| 10(19). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 85 |
| 11(8). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 82 |
| 12(9). ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 77 |
| 13(10). იარკო ნიემინენი (ფინ) | 74 |
| 14(11). დავიდ ფერერი (ესპ) | 63 |
| 15(19). ენდი როდიკი (აშშ) | 62 |
| 15(30). რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 62 |
| 17(16). ხუან მონაკო (არგ) | 59 |
| 18(32). ხოსე აკასუსო (არგ) | 58 |
| 18(15). ჟილ სიმონი (საფ) | 58 |
| 20(12). ხუან-კარლოს ფერერო (ესპ) | 57 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1 233 226 |
| 2. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 663 581 |
| 3. მიხაელ ლოდრა (საფ) | 466 118 |
| 4. რაფაელ ნადალი (ესპ) | 361 647 |
| 5. ენდი მარეი (ბრიტ) | 322 169 |
| 6. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 305 270 |
| 7. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 291 672 |
| 8. მიხაილ იუჟნი (რუს) | 275 765 |
| 9. ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 234 426 |
| 10. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 226 149 |
| 11. იარკო ნიემინენი (ფინ) | 222 236 |
| 12. ჯონათან ერლიხი (ისრ) | 215 320 |
| 12. ენდი რამი (ისრ) | 215 320 |
| 14. სტივ დარცისი (ბელ) | 207 584 |
| 15. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 206 775 |
| 16. დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 199 565 |
| 17. დავიდ ფერერი (ესპ) | 181 040 |
| 18. დმიტრი ტურსუნოვი (რუს) | 179 674 |
| 19. ჟილ სიმონი (საფ) | 160 996 |
| 20. ხოსე აკასუსო (არგ) | 152 217 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელ) | 6330 |
| 2(2). ანა ივანოვიჩი (სერ) | 3896 |
| 3(3). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3750 |
| 4(4). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3685 |
| 5(5). მარია შარაპოვა (რუს) | 3526 |
| 6(6). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2875 |
| 7(8). ვინუს უილიამსი (აშშ) | 2646 |
| 8(7). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2617 |
| 9(9). მარიონ ბარტოლი (საფ) | 2198 |
| 10(11). ელენა დემენტიევა (რუს) | 2180 |
| 11(10). სერენა უილიამსი (აშშ) | 2022 |
| 12(12). პატი შნიდერი (შვეიც) | 1721 |
| 13(13). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1693 |
| 14(14). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1672 |
| 15(15). დინარა საფინა (რუს) | 1627 |
| 16(16). ნადია პეტროვა (რუს) | 1569 |
| 17(18). შაარ პეერი (ისრ) | 1475 |
| 18(17). აგნეს შავაი (უნგ) | 1455 |
| 19(19). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 1442 |
| 20(20). სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1371 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუს) | 1465 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერ) | 965 |
| 3. ჟუსტინ ენენი (ბელ) | 875 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 775 |
| 5. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 625 |
| 6. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 591 |
| 7. ელენა დემენტიევა (რუს) | 566 |
| 8. ნა ლი (ჩინ) | 565 |
| 9. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 560 |
| 10. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 443 |
| 11. ვერა ზვონარევა (რუს) | 437 |
| 12. ფლავია პენეტა (იტა) | 411 |
| 13. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 340 |
| 14. ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 321 |
| 15. შაარ პეერი (ისრ) | 320 |
| 16. ვინუს უილიამსი (აშშ) | 316 |
| 17. ლინდსი დავენპორტი (აშშ) | 315 |
| 18. ამელი მორესმო (საფ) | 310 |
| 19. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 290 |
| 20. კატარინა სრებოტნიკი (სლოვაკ) | 281 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუს) | 1 559 076 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერ) | 664 690 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 437 998 |
| 4. ჟუსტინ ენენი (ბელ) | 371 685 |
| 5. ელენა დემენტიევა (რუს) | 352 818 |
| 6. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 335 998 |
| 7. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 304 577 |
| 8. ალიონა ბონდარენკო (უკრ) | 261 706 |
| 9. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 250 191 |
| 10. ვერა ზვონარევა (რუს) | 257 558 |
| 11. კატერინა ბონდარენკო (უკრ) | 245 508 |
| 12. ნა ლი (ჩინ) | 208 597 |
| 13. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 204 837 |
| 14. ვინუს უილიამსი (აშშ) | 199 673 |
| 15. შაარ პეერი (ისრ) | 188 520 |
| 16. სერენა უილიამსი (აშშ) | 166 288 |
| 17. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 157 204 |
| 18. ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 153 687 |
| 19. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 141 702 |
| 20. ჟი იანი (ჩინ) | 136 936 |

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ნოტინგემი-კარლაილი | 0:1 |
| **კონფერენცი** | |
| ტორკი-ოლდერშოტი | 1:2 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფრაიბურგი-მაინცი | 1:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ტრუა-ავრი | 4:1 |
| **პორტუგალია** | |
| ფერეირა-ბელენენსეში | 1:2 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვინტერტური-ვილი | 1:2 |
| **ჩეხეთი** | |
| სიგმა-სპარტა | 0:0 |
| **უნგრეთი** | |
| ვაშაში-რეაკ | 2:1 |
| **რუმინეთი** | |
| პოლი ტიმიშოარა-უნირეა | 0:0 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **სლოვაკეთი** | |
| პოპრადი-კოშიცე | 3:5 |
| ჟილინა-სლოვანი | 1:2 |
| **ჩეხეთი** | |
| კარლოვი ვარი-ლიტვინოვი | 6:2 |
| ლიბერეცი-სპარტა | 4:1 |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-ფრიბურგი | 5:1 |
| კლოტენი-ციურიხი | 4:5 |
| ჟენევა-რაპერსვილი | 6:0 |
| ცუგი-დავოსი | 2:2 |
| **შვედეთი** | |
| ავ 71-სიოდერტალე | 2:4 |
| ლულეა-იურგორდენი | 1:3 |
| ლინჩოპინგი-სკელეფტეო | 2:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. დუბაი** | |
| ანდრეევი-მინარი | 6:3, 6:4 |
| იუუნი-სანტორო | 3:6, 4:6 |
| ფერერი-ჰაასი | 6:3, 6:0 |
| ვერდასკო-შუტლერი | 7:6, 4:6, 6:1 |
| დავიდენკო-გარიბი | 6:4, 6:0 |
| ფედერერი-მარეი | 7:6, 3:6, 4:6 |
| გასკე-ტურსუნოვი | 6:4, 6:4 |
| **ATP. ლას ვეგასი** | |
| კანიასი-ტ. იოჰანსონი | 6:3, 7:6 |
| კიფერი-ბეკერი | 6:4, 6:3 |
| **WTA. ბანგალორი** | |
| ნაკამურა-ტანასუგარნი | 6:7, 6:1, 6:2 |
| ბამერი-მორიგამი | 2:6, 6:3, 7:5 |
| შვედოვა-ამანმურადოვა | 3:6, 6:3, 3:6 |
| შავაი-უბეროი | 6:1, 6:4 |

## TV სპორტი

**4 მარტი. სამშაბათი**

**რუსთავი 2**

23:40 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-არსენალი (LIVE).
02:10 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩების მიმოხილვა.
03:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნ-ლიონი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
15:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:25 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
20:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:40 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
21:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
01:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-არსენალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:30 სპორტდოსიე.
08:56 ფეხბურთი. Barca TV.
09:03 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:55 სპორტკლუბი.
10:58 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:49 ფეხბურთი. Barca TV.
11:56 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ვიგანი.
13:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ფიორენტინა.
15:32 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბარსელონა.
17:16 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:06 ფეხბურთი. Barca TV.
18:12 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
18:41 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ბოსტონი.
20:29 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
20:56 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:58 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:55 სპორტკლუბი.
23:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნ-ლიონი (LIVE).
02:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-არსენალი.
03:53 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-აინტრახტი.
05:40 სპორტდოსიე.
06:08 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბარსელონა.
07:50 ფეხბურთი. Barca TV.

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 მულტისპორტი.
12:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. კვალიფიკაცია. ლაჰტი. ფინეთი.
13:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II დღე. დუბაი. საემიროები (LIVE).
17:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. 1/8 ფინალი. I მატჩი. სელტიკი-ბარსელონა.
18:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. 1/8 ფინალი. I მატჩები.
19:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. კვალიფიკაცია. ლაჰტი. ფინეთი.
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
22:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
23:00 მულტისპორტი.
23:15 პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. ბაზელი. შვეიცარია.
01:00 პროფესიული კრივი. WBA-ს ვერსია. ოსაკა. იაპონია.
02:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ბრაზილია.
02:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მექსიკა.
03:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. ლაჰტი. ფინეთი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. კალგარი-ტორონტო.
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. ავსტრალია.
15:00 ახალი ამბები.
17:00 არენა-ფეხბურთი. ამერიკის ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-სან ხოსე.
18:30 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
19:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პანათინაიკოსი-მარუსი.
20:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. პლეიოფი. ყაზანი (რუსეთი)-კანი (საფრანგეთი) (LIVE).
22:00 BMX. მსოფლიო თასი. მალაგა. ესპანეთი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I ცდა. ავსტრალია.
00:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. ავსტრალია.
01:00 არენა-ფეხბურთი. ამერიკის ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-სან ხოსე.
02:00 ახალი ამბები.
02:15 რესტლინგი.
03:15 ახალი ამბები.

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ ჯერსი–სან ანტონიო 83:93**

20:27, 23:26, 20:19, 20:21

**ნიუ ჯერსი:** დ. ჰარისი (21 ქ. 5 მ), ვ. კარტერი (21 ქ. 8 მ. 2 ჩ), რ. ჯეფერსონი (18 ქ. 6 მ).

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (25 ქ. 8 მ. 7 პ), ჯინობილი (17 ქ. 4 მ. 3 პ), დანკანი (13 ქ. 14 მ), უდოკა (13 ქ. 5 მ).

**ლეიკერსი–დალასი 108:104 (ო)**

29:23, 21:24, 15:21, 28:25, 15:11

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (52 ქ. 11 მ. 4 პ. 2 დ), გასოლი (17 ქ. 14 მ. 5 პ. 3 ჩ. 2 დ), ფიშერი (11 ქ. 5 მ. 4 პ), უოლტონი (11 ქ. 6 მ. 2 ჩ), ოდომი (6 ქ. 10 მ. 2 დ).

**დალასი:** ნოვიცკი (30 ქ. 13 მ. 5 პ. 2 ჩ. 2 დ), ტერი (18 ქ), დემპიე (16 ქ. 17 მ. 2 პ), კიდი (15 ქ. 11 პ. 6 მ. 4 ჩ), ჯოშ ჰოვარდი (11 ქ. 7 მ).

**კლივლენდი–ჩიკაგო 95:86**

24:17, 18:22, 23:29, 30:18

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (37 ქ. 6 მ. 6 პ), შჩერბიაკი (17 ქ), ბ. უოლასი (7 ქ. 8 მ. 2 ჩ. 2 დ).

**ჩიკაგო:** ჰიუზი (23 ქ. 5 მ. 4 პ), ტაირუს ტომასი (12 ქ. 7 მ. 2 დ), გუდენი (11ქ . 10 მ), ნოა (11 ქ. 8 მ. 2 დ), გორდონი (11ქ . 7 მ. 3 პ), დენგი (10 ქ. 6 მ. 3 პ).

**ვაშინგტონი–ნ. ორლეანი 101:84**

18:20, 35:20, 21:29, 27:15

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (28 ქ. 9 მ. 2 პ. 2 ჩ), სტივენსონი (16 ქ. 5 პ), ბლატჩე (11 ქ. 3 მ. 3 პ. 2 ჩ. 2 დ), ჰეივუდი (6 ქ. 10 მ. 4 დ).

**ნიუ ორლეანი:** სტოიაკოვიჩი (17 ქ. 7 მ), პოლი (16 ქ. 8 პ. 4 მ. 3 ჩ), დევიდ უესტი (14 ქ. 9 მ), ჩენდლერი (12 ქ. 8 მ. 4 პ), მ. ჯეიმსი (12 ქ).

**შარლოტი–ტორონტო 110:98**

22:32, 26:17, 34:21, 28:28

**შარლოტი:** ჯ. რიჩარდსონი (30 ქ. 7 მ. 3 პ), ფელტონი (17 ქ. 8 პ. 5 მ), დადლი (17 ქ. 10 მ), კეროლი (15 ქ. 6 მ. 3 პ), ოკაფორი (14 ქ. 15 მ).

**ტორონტო:** ე. პარკერი (24 ქ. 6 მ. 2 ჩ), ნესტეროვიჩი (16 ქ. 5 მ. 3 დ), კალდერონი (4 ქ. 10 პ).

**ინდიანა–მილუოკი 128:106**

29:29, 35:21, 33:35, 31:21

**ინდიანა:** მ. დანლივი-უმცროსი (36 ქ. 5 მ. 3 პ. 2 ჩ), გრეინჯერი (27 ქ. 9 მ. 3 პ), დიენერი (15 ქ. 6 პ. 4 ჩ), მერფი (13 ქ. 5 მ), რაში (13 ქ), ფოსტერი (3 ქ. 16 მ. 3 პ. 2 დ).

**მილუოკი:** რედი (28 ქ. 3 მ), დ. მეისონი (15 ქ. 5 მ), მო უილიამსი (15 ქ. 9 მ. 4 პ), ბოგუტი (13 ქ. 9 მ. 4 პ).

**ბოსტონი–ატლანტა 98:88**

26:22, 13:22, 31:23, 28:21

**ბოსტონი:** პირსი (30 ქ. 6 მ. 2 დ), გარნეტი (20 ქ. 16 მ. 3 პ. 2 ჩ), რ. ალენი (17 ქ. 4 მ. 2 ჩ), პერკინსი (11 ქ. 12 მ. 6 პ. 4 დ), რონდო (6 ქ. 8 პ. 2 ჩ).

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (22 ქ. 9 მ. 3 დ), ჰორფორდი (14 ქ. 11 მ. 2 დ), ბიბი (14 ქ. 9 პ. 4 მ), ჩილდრესი (12 ქ. 4 მ), ზაზა ფაჩულია (3 ქ. 4 მ. 1 პ).

**გ. სტეიტი–პორტლენდი 110:104**

29:22, 25:27, 27:32, 29:23

**გოლდენ სტეიტი:** ს. ჯექსონი (29 ქ. 9 მ. 2 დ), მ. ელისი (22 ქ. 10 მ. 6 პ), ბ. დევისი (18 ქ. 5 პ. 2 ჩ), ბ. რაიტი (13 ქ. 7 მ), რ. ჰარინგტონი (!3 ქ. 7 მ).

**პორტლენდი:** როი (26 ქ. 6 მ. 3 პ. 2 ჩ), ტ. აუთლო (17 ქ. 5 მ), ოლდრიჯი (15 ქ. 7 მ. 4 პ. 3 ჩ), ჯეიმს ჯოუნსი (12 ქ. 6 მ.2 დ), ბლეიკი (11 ქ. 6 პ), პრჟიბილა (6 ქ. 10 მ. 2 დ).

**მინესოტა–სიეტლი 108:111 (ო)**

26:34, 25:24, 25:17, 26:27, 6:9

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (30 ქ. 12 მ. 5 პ), მაკკენტსი (18 ქ), კ. სმიტი (15 ქ. 5 პ. 4 მ. 3 ჩ), კ. ბრიუერი (14 ქ. 6 მ. 3 ჩ), ფოიე (13 ქ. 5 პ. 4 მ. 2 ჩ).

**სიეტლი:** დიურანი (25 ქ. 4 მ), უილკოქსი (18 ქ. 15 მ. 2 დ), ე. უოტსონი (15 ქ. 9 პ. 2 ჩ), კოლისონი (14 ქ. 8 მ. 2 პ), რიდნური (13 ქ. 7 პ).

**ჰიუსტონი–დენვერი 103:89**

21:18, 29:22, 30:31, 23:18

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (22 ქ. 6 მ. 6 პ. 3 ჩ), ბეტიე (20 ქ. 5 მ. 3 პ. 2 დ), სკოლა (18 ქ. 14 მ. 2 პ), ალსტონი (16 ქ. 8 პ. 3 მ. 2 ჩ), ლანდრი (12 ქ. 5 მ).

**დენვერი:** ენტონი (19 ქ. 6 მ. 4 პ), აივერსონი (17 ქ. 4 პ. 3 ჩ), კენიონ მარტინი (12 ქ. 10 მ), ჯეი. არ. სმიტი (12 ქ. 3 მ. 3 ჩ), ე. კარტერი (10 ქ. 5 პ. 3 ჩ), კემბი (8 ქ. 8 მ. 3 პ. 2 დ).

**საკრამენტო–მაიამი 120:109**

24:37, 22:35, 41:20, 30:20

**საკრამენტო:** არტესტი (32 ქ. 3 მ), კევინ მარტინი (29 ქ. 4 მ), უდრიხი (23 ქ. 9 პ. 4 მ. 3 ჩ), ბ. მილერი (14 ქ. 9 მ. 7 პ).

**მაიამი:** უეიდი (26 ქ. 7 პ), მერიონი (19 ქ. 8 მ. 2 პ), ჯეისონ უილიამსი (18 ქ. 8 პ. 5 მ), რ. დევისი (14 ქ).



კობი ბრაიანტი



ჩარლზ ბარკლი



ლებრონ ჯეიმსი

### ექსპერტის აზრი

# კობი ბარკლის ფავორიტია

**რამდენიმე** დღის წინათ, ლეგენდარულმა ჩარლზ ბარკლიმ ახალი კონტრაქტი გააფორმა ტელეკომპანია TNT-სთან. რის შესახებაც ჩვენი გაზეთი გუშინდელ ნომერში წერდა. გარდა კომენტატორისა და ანალიტიკოსის ამპლუისა, სხარტი აზროვნებისა და დიდი ინტელექტის მქონე "სერ ჩარლზი", ალაგ-ალაგ სხვადასხვა რეიტინგების საკუთარ ვერსიებს აქვეყნებს და რაკილა ოკეანისგაღმეთში რეგულარულის ორი მესამედი მიილია, ბარკლიმ ამ ეტაპისთვის ყველა ინდივიდუალური ჯილდოს თავისებური ვერსია გამოაცხო. "ფილადელფიის", "ფინიქსისა" და "ჰიუსტონის" ექს-ნევრი მიიჩნევს, რომ ფავორიტები შემდეგი მოთამაშეები არიან:

## დასავლეთის MVP
### კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)

**ბარკლი:** *"არის თუ არა კობი ლიგის ყველა დროის უდიდესი მოთამაშე, რომელსაც არასოდეს მოუგია საუკეთესო კალათბურთელის ჯილდო? თუ ჩემს თავსა და პატრიკ იუინგს არ ჩავთვლით, ნამდვილად ასეა. ბრაიანტი შეიცვალა და სწორედ "ახალი", გუნდურ თამაშზე ორიენტირებული კობია იმის მიზეზი, რომ "ლეიკერსი" ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტია. პაუ გასოლი დიდი ძალაა და ნებისმიერ გუნდს მნიშვნელოვნად წინ წასწევდა, თუმცა ის, რომ გასოლს "ლეიკერსში" თითქმის არ დასჭირვებია აკლიმატიზაციის გავლა, ისევ და ისევ ბრაიანტის დამსახურებაა. ბოლოს და ბოლოს, კობი აკეთებს ყველაფერს, რომ გუნდის ყველა წევრს რეგულარულის ბოლომდე სრულად დახარჯვის მოტივაცია შეუნარჩუნოს. მას დღესაც თავისუფლად შეუძლია ერთ მატჩში საშუალოდ 33-35 ქულის გაკეთება, მაგრამ კობი თავის გამოჩენის შანსს სხვებსაც აძლევს. ამიტომაცაა "ლეიკერსში" შექმნილი იდეალური ატმოსფერო და ყველაფერს ამას აკეთებს ადამიანი, რომელიც სეზონის დაწყებამდე გუნდიდან წასვლით იმუქრებოდა".*

კანდიდატები: კრის პოლი (ნიუ ორლეანი), სტივ ნეში (ფინიქსი), მანუ ჯინობილი (სან ანტონიო).

## აღმოსავლეთის MVP
### ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)

**ბარკლი:** *"კევინ გარნეტს ტრავმის გამო ცხრა შეხვედრა რომ არ გამოეტოვებინა, ფავორიტი "სელტიქსის" ფორვარდი იქნებოდა, მაგრამ გარნეტს არ უთამაშია, "ბოსტონმა" ერთკვირიანი მონაკვეთი ჩააგდო, ამის პარალელურად კი ჯეიმსმა კარიერაში საუკეთესო კალათბურთი ითამაშა. განსხვავებით კობისგან, ლებრონს არ ჰყავს იმდენად ძლიერი თანაგუნდელები, რომ საკუთარ თავს, თუნდაც მცირე ხნით, მოდუნების საშუალება მისცეს. იგი კობიზე მეტ ქულას, მოხსნას, შედეგიან გადაცემას, ჩაჭრასა და დაფარებას აგროვებს და ცოტათი მაინც რომ დაავდოს ტემპი, "კლივლენდს" პრობლემები შეექმნება. ჯეიმსი საჩემპიონო გუნდში არ ირიცხება და ყველაფერს აკეთებს, რომ "კლივლენდი" გრანდად აქციოს, თუმცა ძლიერი გამთამაშებლისა და ფარქვეშეთში დომინანტი ცენტრის გარეშე, "კავალიერსს" ამის გაკეთება გაუჭირდება. ვნახოთ, როგორ გამოადგება გუნდს ბენ უოლასი, თუმცა ვერც ის, ვერც ილგაუსკასი და ვერც ჯო სმიტი ჯეიმსისთვის დიდ დამხმარე ძალად ვერ იქცევიან. "კავალიერსმა" ბოლო 28 მატჩიდან 20 მოიგო და ამაში "დამნაშავე" სწორედ ლებრონია".*

კანდიდატები: კევინ გარნეტი (ბოსტონი), დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო), ჩონსი ბილაპსი (დეტროიტი).

## მწვრთნელი
### ფილ ჯექსონი (ლეიკერსი)

**ბარკლი:** *"დასავლეთში ასეთი დიდი კონკურენცია არასოდეს ყოფილა და მიუხედავად იმისა, რომ აქ "ფინიქსი", "სპურსი", "დალასი" და ბევრი სხვა გამოცდილი გუნდი ირიცხება, ფილ ჯექსონმა პაუ გასოლის დამატებამდეც აალორძინა "ლეიკერსი" და გუნდს ის დამაჯერებლობა დაუბრუნა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ, შაკილ ონილმა "მაიამიში" გაიყოლა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ - ის ფაქტი, რომ გასოლი უმტკივნეულოდ მოერგო გუნდის ყველა სათამაშო სქემას, ყველაზე მეტად. ბრაიანტისა და ჯექსონის დამსახურებაა, ხოლო მთავარი კი რაც ფილმა გააკეთა, იყო ის, რომ მან კობის მოტივაცია ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე შეუნარჩუნა, მერე და მერე კი, ყველაფერი იდეალურად აეწყო. არ არის გამორიცხული, რომ "ლეიკერსი" წელს დასავლეთის ფინალშიც კი ვერ გავიდეს, მაგრამ სამწლიანი ჩავარდნის შემდეგ, გუნდი კვლავ საჩემპიონოდ იბრძვის და ჯექსონიც ჩემი მთავარი ფავორიტია".*

კანდიდატები: ბაირონ სკოტი (ნიუ ორლეანი), დოკ რივერსი (ბოსტონი), ნეიტ მაკმილანი (პორტლენდი).

## ახალგაზრდა
### კევინ დიურანი (სიეტლი)

**ბარკლი:** *"არ მომწონს წლევანდელი დებიუტანტების ჯგუფი, მაგრამ სამი მოთამაშე მაინც გამოირჩევა. კევინ დიურანს შეუძლია ძალიან დიდი კალათბურთი ითამაშოს, თუ ცხადია, "სონიქსის" მომავალი გაირკვევა და კევინსაც გუნდში ჯანსაღი ვითარების შენარჩუნების გარანტია ექნება. 19 წლის ახალგაზრდისთვის, დიურანი საკმაოდ დამაჯერებელია და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრ სროლას აფუჭებს, მისი ნიჭი აშკარაა. კევინზე არანაკლებ მომწონს სკოლაც და ჰორფორდიც, თუმცა სკოლას თამაში მანამდეც მქონდა ნანახი და საქმე მხოლოდ ის იყო, რამდენად სწრაფად მოახერხებდა იგი ლიგაში საკუთარი თავის პოვნას. მან ეს მოახერხა და დღეს, როდესაც "როკეტსს" იაო მინი დააკლდა, მასზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ჰორფორდი კი ორმაგი დუბლების მანქანაა და თუ "ჰოქსი" პლეი ოფში გავა, საუკეთესოდ იქნებ ელი დაასახელონ."*

კანდიდატები: ელ ჰორფორდი (ატლანტა), ლუის სკოლა (ჰიუსტონი), ჯეფ გრინი (სიეტლი).

## მეექვსე მოთამაშე
### მანუ ჯინობილი (ს. ანტონიო)

**ბარკლი:** *"მანახეთ მოთამაშე, რომელიც მოედანზე 30 წუთზე ოდნავ მეტს ატარებს, ხშირად სასტარტოშიც კი არ არის და საუკეთესო მოთამაშის პრიზის მოპოვების რეალური ფავორიტია? მანუ ყოველთვის ჩემს ერთ-ერთ უსაყვარლეს მოთამაშედ რჩებოდა და მიხარია, რომ მიმდინარე რეგულარულში ჯინობილი ბოლომდე გაიხსნა. მას დღეს "სან ანტონიოში" უკვე ტიმ დანკანზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქციები ეკისრება და თუ "სპურსი", ბოლოს და ბოლოს, შეძლებს და ჩემპიონობას პირველად, ზედიზედ მეორედ მოიგებს, ეს ყველაზე მეტად მანუს დამსახურება იქნება."*

**კანდიდატები:** ლეანდრო ბარბოსა (ფინიქსი), ნიკ კოლისონი (სიეტლი), ჯერი სტექჰაუზი (დალასი).

## დამცველი
### ბრიუს ბოუენი (სან ანტონიო)

**ბარკლი:** *"ბრიუსი საუკეთესო დამცველებში უკვე 5-6 წელიწადია შედის, მაგრამ ჟურნალისტები მასზე წინ ყოველთვის ვინმე სხვას აყენებდნენ. წელს ვერც რონ არტესტს გამოვარჩევ და ბენ უოლასი ხომ ახლაღა იწყებს კალათბურთის თამაშს, რადგან "ჩიკაგოში" მის ყოფნას არანაირი აზრი არ ჰქონია. ბოუენი არასოდეს ყოფილა ლიგის ერთ-ერთი ლიდერი ჩაჭრებსა და დაფარებებში, მაგრამ მისი პლუსიც ისაა, რომ შეტევის საწყის ფაზაში ბოუენი იმდენად დიდ დისკომფორტს უქმნის ნებისმიერ ოპონენტს, რომ საქმე ჩაჭრამდე ან დაფარებამდე არ მიჰყავს. ბოუენი რეგრესს განიცდის? მის გარეშე "სპურსის" დაცვა გაცილებით იოლად გასავლელი იქნებოდა."*

**კანდიდატები:** კრის პოლი (ნიუ ორლეანი), მარკუს კემბი (დენვერი), კევინ გარნეტი (ბოსტონი).

## გაუმჯობესებული მოთამაშე
### ხოსე კალდერონი (ტორონტო)

**ბარკლი:** *"საინტერესოა, რომ პრიზის მოპოვების შანსი წელსაც აქვს "უორიორზის" მსროლელ მონტა ელისს, რომელიც ამ ჯილდოს მოქმედი მფლობელია. ელისი, ისევე როგორც თურქოღლუ, ძალიან სოლიდურ სეზონს ატარებს, მაგრამ ჩემი ფავორიტი მაინც კალდერონია, რომელიც ლიგაში საუკეთესოა შედეგიანი გადაცემებისა და შეცდომების შედარებისას. ელისის მეორედ გამარჯვება არარეალურია, რაც კალდერონს უპირობო ფავორიტად აქცევს. ჩემთვის რომ ეკითხათ, კალდერონი "ყველა ვარსკვლავის" მატჩის მონაწილედაც უნდა აერჩიათ. ვნახოთ, როგორ გადაუნაწილებს სემ მიტჩელი სათამაშო დროს კალდერონსა და გამოჯანმრთელებულ ტი. ჯეი. ფორდს".*

კანდიდატები: კრის კამანი (კლიპერსი), ჰედო თურქოღლუ (ორლანდო), მონტა ელისი (გოლდენ სტეიტი).


**სპორტული გაზეთი**

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

**სპორტი**

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი:
შპს გაზეთი ლელო

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**